www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 24 მარტი, 2003 წელი. №81 (293)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### მარადიული არაფერია, მათ შორის - ხელისუფლებასთან კორწინება

პოლიტიკური რესურსების არარსებობა და ადმინისტრაციული ბერკეტების შესუსტება მათ მდგომარეობას მეტად ამძიმებს. შეიძლება, სწორედ ეს ჩიხური სიტუაცია გახდეს იმის საფუძველი, რომ სახელისუფლო ძალებმა თავის გადარჩენის ალტერნატიული გზების ძიება დაიწყონ.

A3

## ომი

### აშშ რუსული იარაღის ერაყელებისათვის მიყიდვას აპროტესტებს

კვირას შეერთებულმა შტატებმა რუსული ფირმების მიერ ერაყისათვის ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებისა და ღამის ხედვის ბინოკლების მიყიდვა გააპროტესტა.

A4

## უცხოეთი

### ჩეჩნეთში რეფერენდუმი ჩატარდა

რეფერენდუმის დაწყებამდე, რუსეთის საზოგადოებრივმა ტელევიზიამ საგანგებოდ აჩვენა 46 ჩეჩენი მებრძოლი, რომელმაც ხელისუფლებას იარაღი ჩააბარა. სამაგიეროდ, მათ თავისუფლება და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება მიიღეს.

A5

## ეკონომიკა

### "კავკასიონის" აღდგენა ორი დღით გადაიდო

რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელი 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი, ამჯერადაც, მატერიალური გამორჩენის მსურველ მოსახლეობას "ემსხვერპლა".

A6

## სამართალი

### ქუთაისის ავტოქარხნის დირექტორის გათავისუფლებაში 50 ათასი დოლარია გადახდილი

A7

## საზოგადოება

### პროცესი №2: პენსიონერები - „ბ.ქ.ბ.„

*"გაერთიანებულ ქართულ ბანკს" საქმე სასამართლოში აქვს. იგი ასაჩივრებს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც ბანკს 190 პენსიონერისთვის 60979 ლარის გადახდა დაეკისრა.*

A8

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 3 |
| ქუთაისი | 12 |
| ბათუმი | 10 |
| სოხუმი | 10 |
| ფოთი | 12 |
| თელავი | 5 |
| ზუგდიდი | 13 |
| გორი | 4 |
| ახმეტა | 4 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1400 |
| ევრო | 2.2888 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3433 |
| რუბლი | 0.0682 |

# მეოთხე დღის ქრონიკა



რეინჯერები და ბედუინი - შეხვედრა უდაბნოში.

REUTERS

შოთა უტიაშვილი
რევაზ ბახტაძე

გუშინ გვიან საღამოს ვაშინგტონმა ოფიციალურად განაცხადა, რომ კვირას მოკავშირეთა ჯარებს ყველაზე დიდი წინააღმდეგობა შეხვდათ. თუმცა, გუშინ გამართულ პრესკონფერენციებზე როგორც პრეზიდენტი ბუში, ისე ამერიკელი სამხედროები ამტკიცებდნენ, რომ ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის.

დაუსახლებელ ადგილებში ამერიკული და ბრიტანული ჯარები კვლავინდებურად სწრაფად მიიწევენ წინ და ბაღდადიდან 160 კილომეტრში არიან. მოკავშირეები აცხადებენ, რომ ისინი ერიდებიან ქალაქებში ბრძოლების გამართვას, რამდენადაც მათი მთავარი მიზანია, რაც შეიძლება, სწრაფად მიუახლოვდნენ დედაქალაქს. ბრძოლები ამჟამად ოთხი ქალაქის ირგვლივ მიმდინარეობს. ესენია: ნასირია, ნაჯაფი, უმ ქასრი და ბასრა.

**ნასირია.** როიტერის ცნობით, ქალაქ ნასირიას ახლოს ერაყის არმიამ შეძლო, შეეჩერებინა მოკავშირეთა ჯარების მსვლელობა ბაღდადისაკენ. მოკავშირეთა შორის არის მსხვერპლი, რამდენიმე ჯარისკაცი ერაყელებმა ტყვედ აიყვანეს.

სამხრეთში მებრძოლი ერაყის ჯარები პარტიზანულ ტაქტიკაზე გადავიდნენ. განსაკუთრებით აქტიურობს გასამხედროებული დაჯგუფება "სადამის ფედაინები". ნასარიას მისადგომებთან, ევფრატზე გადებულ ერთ-ერთ ხიდთან სწორედ მათ შეძლეს ამერიკელი საზღვაო ქვეითების შეჩერება. როიტერის კორესპონდენტის თქმით, ხიდთან ბრძოლები მთელი დღე გრძელდებოდა. ორივე მხრიდან არის მსხვერპლი.

ანონიმი ამერიკელი გენერლის განცხადებით, უგზო-უკვლოდ დაიკარგა 12 ჯარისკაცი. ერაყის ტელევიზიამ აჩვენა ოთხი დაღუპული ამერიკელი.

როგორც ანონიმმა წყარომ განუცხადა როიტერს ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროში, ბაღდადის შტურმი შეიძლება 36 საათში დაიწყოს. "ეს მძიმე ბრძოლა იქნება," – განაცხადა მან.

"ნეტა მალე მოვიდნენ", – უთხრა ჟურნალისტებს ერაყის ვიცე-პრეზიდენტმა რამადანმა - "ჩვენ მათ ჭკუას ვასწავლით!"

**ნაჯაფი.** მოკავშირეთა ჯარების მეორე კოლონა, რომელიც ცდილობს, ბაღდადს დასავლეთიდან შემოუაროს, მიზნიდან 160 კილომეტრის მოშორებით, ქალაქ ნაჯაფთან შეჩერდა. ამერიკელი სამხედროების განცხადებით, მათ გზა გადაუღობა რესპუბლიკური გვარდიის დივიზიამ. ბრძოლები ნაჯაფის ახლოს უკვე ორი დღეა, გრძელდება. როიტერის ინფორმაციით, მოკავშირეებმა შეძლეს ერაყელთა წინააღმდეგობის დაძლევა.

ამერიკელი სამხედროების განცხადებით, მოკლულია 70 ერაყელი ჯარისკაცი.

ეს უთანასწორო ბრძოლა იყო, – განაცხადა ამერიკელმა პოლკოვნიკმა ჰილდენბრანდმა, არ მესმის, რატომ არ დაგვნებდნენ.

**უმ ქასრი.** გუშინ, დღის განმავლობაში არტილერია და ავიაცია განუწყვეტლივ ბომბავდა იმ შენობებს, სადაც ერაყელი ჯარისკაცები იყვნენ გამაგრებულები. ამის მიუხედავად, ღამის დადგომისთანავე, ერაყელებმა სროლა განაახლეს. სამხედროების ცნობით, ქალაქში რესპუბლიკური გვარდიის 120-მდე ჯარისკაცია გამაგრებული.

მოკავშირეები უკვე აკონტროლებენ უმ ქასრის პორტს.

**ბასრა.** ბრიტანული ჯარების პრეს-მდივნის, კაპიტან ალ ლოკვუდის განცხადებით, ბასრა ჯერ კიდევ არ არის დაკავებული. ბრიტანული "უდაბნოს ვირთხები" ქალაქის გარეუბნებში იბრძვიან. ქალაქსა და მის შემოგარენში გამაგრებულია ბაასის პარტიის წევრებისაგან შემდგარი დაჯგუფებები, რომლებშიც ასეულობით წევრია. ისინი კალაშნიკოვებითა და "ერ-პეგეებით" არიან შეიარაღებულნი. ისინი მუდმივად იცვლიან პოზიციებს.

გაგრძელება A4 გვერდზე

# "კარგი სამეურნეო მუშაკები" - პრეზიდენტის პოლიტიკური დასაყრდენი

გიორგი ასანიშვილი

ხელისუფლებაში ყოფნა, ძალაუფლებით ტკბობასთან ერთად, "შავი სამუშაოს" შესრულებასაც გულისხმობს. არჩევნების მოახლოების კვალობაზე, მმართველ ძალას კაბინეტების შესანარჩუნებლად დიდი შრომა და ძალისხმევა სჭირდება. დიდი პოლიტიკური გამოცდილებისა და სახელისუფლებო ბერკეტების მეშვეობით, პრეზიდენტი შევარდნაძე საარჩევნო მორევს აქამდე ყოველთვის უმტკივნეულოდ და უდანაკარგოდ აღწევდა თავს. მისი ტექნოლოგია, ძირითადად, სამ ფაქტორზე იყო გათვლილი: 1) პოლიციისა და ადგილობრივი ადმინისტრაციის, აგრეთვე, მმართველი კლანების ბრმა ერთგულება და მორჩილება, 2) შედარებით ფართო დიაპაზონის მქონე ორგანიზაციის (თავის დროზე, "მოქალაქეთა კავშირი") შექმნა და თავის დასაყრდენად მისი გამოცხადება, 3) ისეთი საარჩევნო კანონის მოქმედება, რომელიც პირველი ორი ფაქტორის "ჰარმონიზების" შემთხვევაში, ყოველგვარ შემთხვევითობას გამორიცხავს.

ძალიან საქჭვოა, რომ ამ მექანიზმმა მომავალ საპარლამენტო არჩევნებშიც ეფექტურად იმუშაოს - უკანასკნელ წლებში პოლიტიკური სპექტრი კარდინალურად შეიცვალა, თვალნათლივ წარმოჩინდა საარჩევნო კანონის გადასინჯვის აუცილებლობა. ერთადერთი "უცვლელი ღირებულება", რომლის იმედიც პრეზიდენტს ნამდვილად შეიძლება ჰქონდეს, პოლიციისა და ადგილობრივი ადმინისტრაციების მხარდაჭერაა. ძნელი სათქმელია, საკმარისი იქნება თუ არა მხოლოდ ეს არჩევნების მოსაგებად. ასეც რომ მოხდეს, ასეთი გამარჯვება სრულფასოვანი მაინც არ იქნება. პოლიციის, გუბერნატორების და გამგებლების დახმარებით, არჩევნების შედეგების გაყალბების შემთხვევაში, ისედაც ავტორიტეტშელახული ხელისუფლება საერთაშორისო ასპარეზზეც საბოლოოდ დათმობს პოზიციებს - არადემოკრატიულ რეჟიმებთან ურთიერთობა დასავლეთში მაინცადამაინც არ სიამოვნებთ.

გაგრძელება A3 გვერდზე

# ვის ერგო „ოქროს ჟოლო"?



"ოქროს ჟოლოს" მფლობელები - გაი რიჩი და მადონა.

REUTERS

თამარ სუხიშვილი

"რეიზის" დაჯილდოების ცერემონიალს, რომელიც ოსკარების გადაცემამდე იმართება ხოლმე, ყოველწლიურად უამრავი კინომოყვარული ელის. მათ არანაკლებ აინტერესებთ იმის გაგება, თუ ვინ გახდება წლის ყველაზე ცუდი მსახიობი თუ რეჟისორი, ანუ ვის ერგება "ოქროს ჟოლო". 2002 წელს კინოკრიტიკოსთა ბრჭყალებში მადონა და მისი მეუღლე, გაი რიჩი მოექცნენ - ეს წყვილი მარტო კინოეკრანზე კი არა, რეალობაშიც "გარიყული" აღმოჩნდა.

ალბათ კარგად გახსოვთ ფილმი "გარიყულნი" (Swept Away), კუნძულზე გამორიყული ქალისა და მამაკაცის რომანტიკულ სიყვარულზე რომ მოგვითხრობს. აქ მთავარ როლში ცნობილი პოპ-ვარსკვლავი მადონაა, ფილმის სცენარის ავტორი და რეჟისორია გაი რიჩი. ამ ფილმმა ხუთ ნომინაციაში გამარჯვებით წელს "რეიზის" რეკორდი დაამყარა. ერთ-ერთი ნომინაცია "2002 წლის ყველაზე ცუდი ფილმი" გახლდათ.

გაგრძელება B2 გვერდზე

# დაზარალებული მოსამართლეებს ადანაშაულებს

## "მართლმსაჭულება კრიმინალთა ინტერესებს იცავს," აცხადებს ყაჩაღთა მსხვერპლი

*"ქვეყანაში სამართალი რომ არ არსებობს და არც სასამართლო რეფორმა გატარებულა, ამაში საბოლოოდ დავრწმუნდი. მართლმსაჯულებასთან ხანგრძლივი ურთიერთობის მიუხედავად, ვერ მივაღწიე დამეცვა ჩემი უფლებები", – აცხადებს რამდენიმე წლის წინ ყაჩაღთა მიერ ზედიზედ ორჯერ დაზარალებული აზა ქაძანაია. მისი საქმე, უკვე ოთხი წელია, ინსტანციიდან ინსტანციაში გადადის და, მიუხედავად იმისა, რომ საქმის განხილვისას, კანონის უხეში დარღვევით გამოტანილი განაჩენისთვის, საოლქო სასამართლოს სამი მოსამართლე დისციპლინურ პასუხისგებაში იქნა მიცემული, ხოლო იმ პოლიციელების მიმართ, რომლებმაც ქაძანაიას მიმართ ჩადენილი დანაშაული რეგისტრაციაში არ გაატარეს, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, დაზარალებული კვლავ აპროტესტებს უკვე მერამდენედ განხილულ საქმეზე გამოტანილ განაჩენს. იგი ქვეყნის პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, სახალხო დამცველს, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარესა და იუსტიციის საბჭოს მდივანს სამართლის დადგენაში დახმარებას სთხოვს.*

ხათუნა ჭანგირაშვილი

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ოთხი წლის წინ, ერთ-ერთი სამუშაო დღის ბოლოს, როდესაც ბორჯომის ვაგზალზე მდებარე ვალუტის გადამცვლელ ჯიხურში მომუშავე ცოლ-ქმარი, აზა ქაძანაია და დემურ მარხულია, უკვე სახლში წასასვლელად ემზადებოდნენ, ჯიხურს უცხო პიროვნება დაესხა თავს, პოლიეთილენის პარკში მოთავსებულ ფულს სტაცა ხელი და გაიქცა. მძარცველმა 22 ათას 256 დოლარის ექვივალენტური თანხა გაიტაცა. ყაჩაღს ცოლ-ქმარი, გვერდზე ჯიხურებში მომუშავეები და იქ შეგროვილი ხალხი დაედევნა. გაქცეულმა მდევრებს ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლა, რკინიგზის რესპუბლიკური საავადმყოფოს ეზოში გადახტა და გაუჩინარდა. იმავე საღამოს, დაყაჩაღებულმა ცოლ-ქმარმა ყაჩაღის იარაღიდან გასროლილი ტყვიის მასრა იქვე, გასროლის ადგილზე იპოვა. **"მასრა შევინახეთ და შეგნებულად არ გამოვუჩინეთ პოლიციას, რადგან ცოტა ხნის წინ საკუთარ სადარბაზოში ხუთმა შეიარაღებულმა უცნობმა იარაღის გამოყენებით დაგვაყაჩაღა, რის შედეგადაც სერიოზული დაზიანებები მივიღეთ, პოლიციამ თავდამსხმელებს ვერ მიაკვლია, პირველი ყაჩაღობის საქმე დღემდე გაუხსნელია, ამიტომ არც გვქონდა იმედი, რომ ამ შემთხვევაში მაინც დააკავებდნენ დამნაშავეს და გადავწყვიტეთ, ქურდული სამყაროს დახმარებით მოგვეძებნა სავალუტო ჯიხურზე თავდამსხმელი, ბევრი ვიწვალეთ, მაგრამ ვერაფერს გავხდით. ამის მერე, ისევ სამართალდამცველებს მივმართეთ. ტრანსპორტის პოლიციას ჩვენს მიერ ნაპოვნი ტყვიის მასრა წარვუდგინეთ, რომელიც ჩვენი და მოწმეების თანდასწრებით დაილუქა",** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას აზა ქაძანაიამ.

გაგრძელება A7 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ომი A5 უცხოეთი A6 ეკონომიკა A7 სამართალი A8 საზოგადოება

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

# "ჩატეხილი ხიდი" - გორელი პოლიციელების მთავარი პრობლემა

*მას შემდეგ, რაც გორის სამართალდამცავ ორგანოებში საკადრო ცვლილებები განხორციელდა, ახალმა ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ რეგულარულად შეხვდება საზოგადოებას, რათა მათ შორის "ჩატეხილი ხიდი" გამთელდეს და ნდობა აღდგეს. ასეთი შეხვედრა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა, მაგრამ დამსწრეთა უმრავლესობას სტუდენტები შეადგენდნენ, რომლებსაც კარში ჩამდგარი ლექტორები გარეთ არ უშვებდნენ.*

ვასილ გულეური

შეხვედრა უნივერსიტეტის რექტორმა გედეონ ხელაიამ გახსნა, რომელმაც თავიდანვე მოუწოდა დამსწრეთ, ობიექტურად შეაფასონ სამართალდამცავთა საქმიანობა და გაიგონ, რა საშუალებები, რა ფინანსური რესურსები გააჩნიათ მათ დამნაშავეთა წინააღმდეგ საბრძოლველად. შემდეგ ბატონმა რექტორმა ახალგაზრდობაში გავრცელებულ დანაშაულობებზე ისაუბრა. როგორც მან აღნიშნა, უნივერსიტეტში 4 ათასზე მეტი სტუდენტია, მათ ქალაქის ახალგაზრდობაც ემატება, რომლებიც, თურმე, მთელი დღე ხეტიალობენ უნივერსიტეტის კორპუსებს შორის, კაფე-ბარებში დროს ატარებენ და მერე დანაშაულის ჩადენის სურვილიც უჩნდებათ.

**"თუ გინდათ, ჩვენთან დამყარდეს წესრიგი, მაშინ აქ აუცილებლად უნდა მორიგეობდეს ერთი-ორი პოლიციელი,"** - განუცხადა გედეონ ხელაიამ სამართალდამცავებს. თუმცა, იმაზე არაფერი უთქვამს, თუკი სტუდენტები მთელ დღეს კაფეში ატარებენ, როგორღა აბარებენ გამოცდებს და როგორ ამთავრებენ უნივერსიტეტს.

დღევანდელ საზოგადოებაში ქურდის ავტორიტეტზე შიდა ქართლის შს რეგიონული სამმართველოს უფროსმა ალეკო სუხიტაშვილმა ისაუბრა.

**"საზოგადოების დიდი ნაწილი მათ მხარს უჭერს და ბევრი ახალგაზრდის საბოლოო მიზანსაც ქურდობა წარმოადგენს,"** – განაცხადა მან. შემდეგ კი მასმედია დაადანაშაულა იმაში, რომ დღეს აქტიურად ხდება კანონიერი ქურდების საქმიანობის გაშუქება სამართალდამცავთა საწინააღმდეგოდ.

**"ყოველთვის შუქდება რაღაც ცუდი პოლიციის მიმართ, ხოლო კარგის გაშუქება არ ხდება. ძირითადად, ცენტრალური სატელევიზიო საშუალებები მაქვს მხედველობაში,"** – აღნიშნა ალეკო სუხიტაშვილმა და ისიც დასძინა, რომ ადგილობრივ მასმედიასთან ურთიერთობა შედარებით მოწესრიგებულია.



მამია დარჩია, გედეონ ხელაია, შიო კოშაძე, ალეკო სუხიტაშვილი.

ვასილ გულეურის ფოტო

**"მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ღონისძიებები მიმართულია იქით, რომ პოლიციელი დადებით პიროვნებად წარმოჩინდეს. თუ ჩვენთანაც ეს არ დამკვიდრდა, ძნელი იქნება რაიმეს შეცვლა. სამართალდამცავების მხარდაჭერა სწორედ უნივერსიტეტიდან, ინტელიგენციისგან უნდა დაიწყოს,"** – მხარი დაუჭირა სამმართველოს უფროსს ოლქის პროკურორმა ამირან ნოზაძემ.

ქალაქ გორის გამგებელმა პაატა ჩხეიძემ "ჩატეხილი ხიდის" ცნება განმარტა და პარალელი გაავლო გასულ საუკუნეებთან. **"ეს XIX საუკუნეში წარმოშობილი ტერმინია. მაშინ "ჩატეხილი ხიდის" პრობლემა იყო ახალგაზრდა და ძველ თაობებს შორის, თავადაზნაურობასა და გლეხებს შორის. დღეს შეიძლება ვილაპარაკოთ საზოგადოებასა და სამართალდამცავებს, ახალგაზრდობასა და სამართალდამცავებს შორის ჩატეხილ ხიდზე,"** – აღნიშნა მან და დადებითი პოლიციელის იმიჯის როლზეც ისაუბრა. გაიხსენა მის ახალგაზრდობაში პოპულარული ამერიკული ფილმი "ახალი ცენტურიონები" და აღნიშნა, რომ 70-იან წლებში, ამ ფილმის გავლენით ბევრმა ახალგაზრდამ მოინდომა პოლიციაში სამსახური.

**"მიუხედავად არაერთგზის თხოვნისა, ვერ მივაღწიე იმას, რომ თვითმმართველობამ ინფორმაცია მიიღოს პოლიციისაგან. მომხდარ დანაშაულებს მეორე-მესამე დღეს ვიგებ მასმედიისგან. კარგია, რომ პოლიცია ენდობა მასმედიას, მაგრამ საწყენია, რომ არ ენდობა თვითმმართველობას,** - საყვედური თქვა პაატა ჩხეიძემ, შემდეგ კი "ჩატეხილი ხიდის" გამთელების გზაც მიანიშნა, – **როდესაც ხალხის მიერ არჩეულთან ნდობას არ გამოხატავ, გაძნელდება ხალხთან მისვლა."**

შსს საზოგადოებრივი აზრის კვლევის ინსტიტუტის რექტორმა მამია დარჩიამ სტატისტიკური მონაცემები გააცნო საზოგადოებას: როგორც მან აღნიშნა, საქართველოში მომხდარი დანაშაულიდან, 84 პროცენტი ჩადენილია 29 წლის ასაკამდე ახალგაზრდების მიერ. მათგან არასრულწლოვანთა წილი 3-4 პროცენტს შეადგენს. 1992-94 წლებთან შედარებით ეს მაჩვენებელი შემცირდა (მაშინ არასრულწლოვანებზე დანაშაულის 18-19% მოდიოდა), მაგრამ **"ეს ის პროცენტია, რაც დამნაშავეთა სამყაროს შემავსებელ რეზერვს წარმოადგენს. ბოლო 6-7 წლის მანძილზე ყოველწლიურად ქუჩაში ვუშვებთ 55 ათას მოსწავლეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ მძიმე სოციალურ-ეკონომიკური პირობებია, ერთი მილიონი ადამიანი საზღვარგარეთ წავიდა, საქართველოში 100 ათასი ფსიქიურად დაავადებულია, 30 ათასი სულით ავადმყოფი - ადვილად წარმოვიდგენთ, რა პირობებში ხდება ახალგაზრდების ჩამოყალიბება,"** – აღნიშნა მან.

სტუდენტებთან შეხვედრა მაინც იმედიანად დასრულდა. როგორც სამართალდამცავებმა აღნიშნეს, მსგავსი შეხვედრები რეგულარულად გაიმართება და საზოგადოებასთან "ჩატეხილ ხიდსაც" უეჭველად გაამთელებენ, მაგრამ მათ გაკვრითაც არ უხსენებიათ რაიონში უკიდურესად გართულებული კრიმინოგენული ვითარების მიზეზები, რომელთა აღმოსაფხვრელად, სულ ცოტა ხნის წინ პანკისის მსგავს ანტიკრიმინალურ ღონისძიებებზე ალაპარაკდნენ.

## საქართველოს საპატრიარქოს განცხადება

### საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ემიჯნება როგორც რელიგიურ ექსტრემიზმს, ისე უკიდურეს სარწმუნოებრივ ლიბერალიზმს

საზოგადოდ ცნობილია, რომ რელიგიური ფაქტორი, გარდა სარწმუნოებრივი შინაარსისა, დიდ კულტურულ და პოლიტიკურ დატვირთვასაც ატარებს. სრულიად ნათელია 20-საუკუნოვანი ტრადიციის მქონე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნისთვის, რომელიც მუდამ იყო და არის ეროვნული მსოფლმხედველობის და ფასეულობების დაცვის მთავარი გარანტი.

იმის გამო, რომ საქართველოს გეოპოლიტიკური როლი თანდათან ფართო მასშტაბებს იძენს, იზრდება ეკლესიის ფუნქციაც და, აქედან გამომდინარე, მრავალთა ინტერესიც ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღის მიმართ. ბუნებრივია, სხვადასხვა ძალებს სურთ, რომ საქართველოს რელიგიური მოწყობაც მათი ინტერესების შესაბამისად მოხდეს, რამაც რელიგიურ კონფლიქტთან დაკავშირებული ორი მიმართულება წარმოშვა; მათი მიზნები და მეთოდები ერთმანეთს ეწინააღმდეგება და, ამავე დროს, სრულიად განსხვავებული და მიუღებელია მართლმადიდებელი ეკლესიისთვის. შექმნილი სიტუაცია ნათლად გვიჩვენებს, რომ ერთი ძალა ცდილობს ექსტრემისტული მეთოდების დანერგვით საქართველო რელიგიური დაპირისპირების არენად გადააქციოს, ხოლო მეორე ძალა კი ირიბი და დახვეწილი ხერხებით უკიდურეს რელიგიურ ლიბერალიზმს, ანუ რელიგიურ ნიჰილიზმსა და ინდიფერენტიზმს უკაფავს გზას.

ვიმეორებთ, სარწმუნოებრივ ნიადაგზე ჩვენს ქვეყანაში შექმნილი პრობლემები ამ ძალებს შორის დაპირისპირების შედეგია. ორივე მხარისთვის მთავარ სამიზნედ მაინც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია რჩება, რადგან მათ სურთ, რომ იგი თავისი პოზიციის მხარდამჭერად და გამტარებლად აქციონ. საქართველოს ეკლესია კი ყოველთვის ემიჯნებოდა ყოველგვარ უკიდურესობას და ირჩევდა "სამეუფო გზას" – ერთი მხრივ, ჭეშმარიტების დაცვასა და ქადაგებას, მეორე მხრივ, მშვიდობიან თანაცხოვრებას.

სამწუხაროდ, ზემოაღნიშნულ პროცესებში მონაწილეობას იღებს ჩვენი ეკლესიის ზოგიერთი წევრი და სასულიერო პირი. მათი თვითნებური ქმედებანი ეწინააღმდეგება რჯულის კანონს, დანაშაულებრივია და მხოლოდ ზიანის მომტანი, როგორც ეკლესიისთვის, ისე ქვეყნისთვის.

ეკლესიის წინააღმდეგ სხვადასხვა სახის დაპირისპირება შეიძლება კვლავაც გაგრძელდეს. ჩვენთვის ეს მდგომარეობა უცხო არ არის, რადგან ამქვეყნად ეკლესია მებრძოლი ეკლესიაა. საზოგადოებას კი მოვუწოდებთ მეტი დაკვირვებულობისაკენ, რათა ღრმად გააანალიზოს ის რთული მდგომარეობა, რომელშიც საქართველო და ჩვენი ეკლესია ამ გარდამავალ პერიოდში მოექცა.

**საქართველოს საპატრიარქო**
**23.03.2003.**

## მოკლედ

**თბილისი.** მოსკოვში სამუშაო ვიზიტით მყოფი საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი თედო ჯაფარიძე დღეს ოფიციალურ შეხვედრებს გამართავს რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობასთან, მათ შორის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილესთან, რუსეთის პრეზიდენტის პირად წარმომადგენელთან აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საკითხებში ვალერი ლოშჩინინთან.

დღესვე ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი თედო ჯაფარიძე, სავარაუდოდ, თავის რუს კოლეგას ვლადიმერ რუშაილოსაც შეხვდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ამ დღეებში სოხუმში გაიხსნა „ზემლიაჩესტვო კაზაკოვ რასიის“ ოფისი, რომელიც ე.წ. აფხაზეთის „რესპუბლიკის“ მოქალაქეებზე გასცემს რუსეთის ე. წ. საზღვარგარეთულ პასპორტებს. სეპარატისტული მთავრობის განკარგულებით, ამ საქმიანობას დღეისთვის ეწევა ორი საზოგადოებრივი ორგანიზაცია – "რუსეთის სათვისტომოთა კონგრესი" და "ზემლიაჩესტვო კაზაკოვ აბხაზიი", რომლებიც თანამშრომლობენ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის კახა სიხარულიძის განცხადებით, ქვეყნის საგარეო უწყება ვერ შეასრულებს ამერიკის მთავრობის მოთხოვნას საქართველოში ერაყის საელჩოს დახურვასთან დაკავშირებით, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ ქვეყანას დიპლომატიური წარმომადგენლობა საქართველოში არ გააჩნია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი საპარლამენტო მუშაობისადმი ბოიკოტის შეწყვეტას არ აპირებს. როგორც რჩეულიშვილმა განაცხადა, იგი ორშაბათს პარლამენტის თავმჯდომარეს საპარლამენტო კრიზისის შეფასებისა და კრიზისის დაძლევისათვის საპარლამენტო ფრაქციებს შორის დიალოგის გამართვის მოთხოვნით მიმართავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ ქართველმა კომუნისტებმა ერაყში ომის შეწყვეტის მოთხოვნით ვაკის პარკში ერაყის მხარდამჭერი აქცია გამართეს. აქციის მონაწილეთა სიმცირეს მისი ორგანიზატორები უამინდობით ხსნიდნენ. მათ მიაჩნიათ, რომ ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობა ამ ომის წინააღმდეგია. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე ირაკლი წერეთელი რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარის აკაკი ჩხაიძის მიერ დაფუძნებულ სახალხო მოძრაობასთან „დიდი აბრეშუმის გზა“ საარჩევნო ბლოკის შექმნას აპირებს და ამ მიზნით ახლადშექმნილ ორგანიზაციასთან აქტიურ კონსულტაციებს მართავს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპარლამენტო ფრაქცია "აღორძინების" წევრი სანდრო ბრეგაძე მიიჩნევს, რომ შემოდგომაზე არჩეულ ახალ პარლამენტში სადეპუტატო უფლებამოსილებები არ უნდა გაუგრძელდეს 1992 წელს საკანონმდებლო ორგანოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკიდან არჩეულ 12 დეპუტატს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შავი ზღვის აუზის ექვსი ქვეყნის სამხედრო-საზღვაო ძალები აგვისტოში ბულგარეთში დაგეგმილ სწავლებებში მიიღებენ მონაწილეობას და ზღვაზე ანტიტერორისტული ოპერაციების ჩატარებისთვის ერთობლივ მოქმედებებს დაამუშავებენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი** მარტის ბოლოს თბილისში ჩამოდის რუსეთსა და საქართველოში შვედეთის საელჩოს სამხედრო ატაშე. ქართული და შვედური მხარეები თანამშრომლობის გეგმას შეიმუშავებენ. **პრაიმ-ნუისი**

## საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია აცხადებს კომერციულ კონკურსს GSM სისტემის გამოყენებით ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად

**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ გადაწყვიტა:**

1. გამოცხადდეს კომერციული კონკურსი (შემდგომში "კონკურსი") ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად;
ლიცენზიის სახე: სიხშირული სპექტრის გამოყენებით საქმიანობა;
ლიცენზიის სახეობა: ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურება;
ლიცენზიის საგანი: ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურება 1725,2-1740 მგჰც (გადაცემაზე) და 1820,2-1835 მგჰც (მიღებაზე) სიხშირულ დიაპაზონში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

2. კონკურსი ჩატარდეს 2003 წლის 11 ივლისს, 16 საათზე;

3. სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობა განისაზღვროს 1 026 000 (მილიონ ოცდაექვსი ათასი) ლარით;

4. ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღება მოხდეს 2003 წლის 20 მარტის 10:00 საათიდან 2003 წლის 27 მაისის 17:00 საათამდე;

5. ფიჭური სატელეფონო ქსელით მომსახურებაზე ლიცენზიის მისაღებად ლიცენზიის მაძიებელი კომისიას მიმართავს განცხადებით, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:
ა) ფიზიკური პირისთვის – სახელი, გვარი, დაბადების ადგილი და თარიღი, რეგისტრაციის მონაცემები, მისამართი, მოქალაქეობა;
ბ) იურიდიული პირისთვის – საფირმო სახელწოდება, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, იურიდიული მისამართი (ადგილსამყოფელი), სამეწარმეო რეესტრში რეგისტრაციის მონაცემები, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი და გვარი, მონაცემები დამფუძნებლების შესახებ;
გ) ლიცენზიის სახე, რომლის მიღებასაც მოითხოვს ლიცენზიის მაძიებელი;
დ) ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურების გავრცელების გეოგრაფიული ზონის დაფარვის გრაფიკი და პრაქტიკული საქმიანობის დაწყების ვადა.

6. ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას თან უნდა დაერთოს:
ა) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი საბუთი.
ბ) სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის 10%-ის გადახდის დამადასტურებელი საბუთი. ეს თანხა ჩაირიცხება კომისიის ანგარიშზე. ლიცენზიის მიუღებლობის შემთხვევაში ლიცენზიის მაძიებელს აღნიშნული თანხა დაუბრუნდება საბანკო მომსახურების ხარჯების გამოკლებით, კომისიისთვის წერილობითი განცხადების წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში ლიცენზიის მფლობელი დარჩენილ თანხას იხდის ლიცენზიის გაცემის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებით დადგენილი წესის შესაბამისად.
გ) სახელმწიფო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები; ფიზიკური პირისათვის – აგრეთვე პირადობის მოწმობის ასლი;
დ) განსახორციელებელი საქმიანობის ტექნიკური პროექტი, რომელმაც სამშენებლო, სანიტარიულ-ჰიგიენური, ეკოლოგიური ექსპერტიზის და სათანადო ნებართვების უზრუნველყოფის მიზნით ექსპერტიზა უნდა გაიაროს კომისიასთან შექმნილ მუდმივმოქმედ ქვეკომისიაში. ლიცენზიის მაძიებელი კონკურსზე დაიშვება ქვეკომისიის დადებითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში.

7. კონკურსში მონაწილეობის უფლება არა აქვს პირს, რომელიც კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში GSM 1800 მგჰც სიხშირულ დიაპაზონში რესურსის საერთო მოცულობის 50%-ის ან მეტის მფლობელი გახდება.

8. თუ ლიცენზიის მაძიებლის მიერ არასრულყოფილადაა წარმოდგენილი ამ გადაწყვეტილების მე-5 და მე-6 პუნქტებში მითითებული მონაცემები და დოკუმენტაცია, ლიცენზიის მაძიებელს განცხადების წარდგენისთანავე განემარტება. ლიცენზიის მაძიებელს უფლება აქვს 5 სამუშაო დღის ვადაში შეავსოს ხარვეზი. კონკურსში მონაწილეობის თაობაზე განცხადებისა და დოკუმენტაციის კომისიისთვის საფოსტო გზავნილების სახით მიწოდება დაუშვებელია.

9. კონკურსი ითვლება არშემდგარად და ფორმდება სათანადო ოქმი, თუ:
ა) განცხადების გამოქვეყნების შემდეგ, დადგენილ ვადაში კომისიაში არ იქნა წარდგენილი არცერთი განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ;
ბ) კომისიაში წარდგენილი განცხადებებიდან არცერთი არ შეესაბამება კონკურსის მოთხოვნებს.

10. კონკურსის პირობებია:
ა) კომისიისათვის წარდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით გამოსაყენებელი ტექნიკური საშუალებების ევროპულ ჰარმონიზებულ სტანდარტებთან შესაბამისობა;
ბ) ფიჭური სატელეფონო კავშირით მომსახურების გავრცელების გეოგრაფიული ზონის დაფარვის ვალდებულება (არაუმეტეს სამი წლის ვადაში ლიცენზიის გაცემიდან).

11. გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია მაქსიმალური სალიცენზიო გადასახდელის გადახდა.

12. კონკურსი ტარდება შემდეგი პროცედურით:
ა) საკონკურსო სხდომის თავმჯდომარე აცხადებს სალიცენზიო გადასახდელის საწყის ოდენობას და მინიმალურ საკონკურსო ბიჯს. საკონკურსო ბიჯი წარმოადგენს კონკურსის მიმდინარეობისას კონკურსის მონაწილის მიერ ყოველ მომდევნო დაფიქსირებულ თანხასა და წინა დაფიქსირებულ თანხას შორის მინიმალურ სხვაობას, რომლის ოდენობა შეადგენს სალიცენზიო გადასახდელის 5 პროცენტს, დამრგვალებულს მთელ რიცხვამდე. საკონკურსო ბიჯი უცვლელია. იგი ჯერადად უნდა დაემატოს კონკურსის მსვლელობისას ბოლო მაქსიმალურ განაცხადში დაფიქსირებული თანხის ოდენობას.
ბ) კონკურსის მონაწილის მიერ კონკურსის დაწყებისას დაფიქსირებული თანხის ოდენობა არ უნდა იყოს სალიცენზიო გადასახდელის საწყისი ოდენობის და საკონკურსო ბიჯის ჯამზე ნაკლები.
გ) კონკურსის მონაწილის მიერ ყოველი მომდევნო თანხის დაფიქსირება ხდება უკანასკნელ დაფიქსირებულ თანხაზე საკონკურსო ბიჯის დამატებით. კონკურსის მონაწილეს უფლება აქვს დააფიქსიროს საკონკურსო ბიჯზე მეტი თანხა.
დ) კონკურსში გამარჯვებულად ჩაითვლება ის მონაწილე, რომელიც კონკურსის მსვლელობისას გადასახდელი თანხის მაქსიმალურ ოდენობას დააფიქსირებს.
ე) კონკურსში მონაწილეთა მიერ ყოველი დაფიქსირებული თანხა აისახება სხდომის ოქმში, რომელსაც კონკურსის დამთავრების შემდეგ ხელს აწერენ საკონკურსო სხდომის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი. სხდომის ოქმი იკინძება და მოწმდება კომისიის ბეჭდით.
ვ) კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ მიიღება კომისიის გადაწყვეტილება.
13. საკონკურსო სხდომაზე ლიცენზიის მაძიებლის უფლებამოსილი წარმომადგენლის დასწრება სავალდებულოა;

14. ფიჭური სატელეფონო ქსელით მომსახურებაზე ლიცენზია გაიცემა კონკურსში გამარჯვებულის მიერ სალიცენზიო გადასახდელის 30%-ის გადახდიდან 7 სამუშაო დღის ვადაში. სალიცენზიო გადასახდელის დარჩენილი ნაწილის გადახდის ვადა და პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15. კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია ლიცენზიით ნებადართული საქმიანობის განხორციელების პროცესში დაიცვას საქართველოს კანონმდებლობით და ლიცენზიით დადგენილი წესები და პირობები;
16. კონკურსის საფუძველზე ლიცენზიის მიღებისას ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას კონკურსის და მის მიერ კონკურსში მონაწილეობისათვის წარდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნული პირობები.
17. საკონკურსო სხდომა საჯაროა.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, მისამართზე:
**თბილისი, გიორგი ჭანტურიას ქ. 12 ტელ.: 921667 ფაქსი: 921625**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# "კარგი სამეურნეო მუშაკები" - პრეზიდენტის პოლიტიკური დასაყრდენი

პირველი გვერდიდან

ასეა თუ ისე, შევარდნაძეს, საპარლამენტო არჩევნების დროს, პოლიციასა და თავის მიერვე დანიშნულ გუბერნატორებსა თუ გამგებლებთან პრობლემები არ ექნება. სამაგიეროდ, დიდი კითხვის ნიშანი ჩნდება იმ არჩევანთან, რომელიც პრეზიდენტმა არსებული პარტიული სისტემის შიგნით გააკეთა.

მაინც, ვის იმედზეა დღეს შევარდნაძე, ვინ შედის იმ პოლიტპარტიულ ბანაკში, რომელსაც პრეზიდენტმა ნდობა გამოუცხადა?

ოფიციალურად, ესენი არიან "მოქალაქეთა კავშირი" და სოციალისტური პარტია - ანუ, გუნდი, რომელმაც 2 ივნისის არჩევნებში ტესტირება ვერ გაიარა და, რბილად რომ ვთქვათ, "არადამაკმაყოფილებელი" შეფასება დაიმსახურა. ამავე ბანაკში მოიაზრებიან "მრეწველებიც", რომლებსაც პროსამთავრობო პოზიციებზე ყოფნა ესირცხვილებათ, მაგრამ კრიტიკული სიტუაციებში არაერთხელ უხსნიათ კანცელარია. დასახელებული ტრიპლეტის ბაზაზე პარლამენტში შექმნილი ე.წ. "თემატური უმრავლესობა" რა ხვითოც გამოდგა, კარგად გამოჩნდა 115-ლარიან მინიმალურ ხელფასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ორგანოში გაჩაღებული ბატალიების დროს: შევარდნაძის მრავალრიცხოვანმა საკანონმდებლო "გვარდიამ" საპარლამენტო ოპოზიციის შემოტევებისგან თავისი მთავარსარდლის დაცვა ვერ შეძლო. არადა, იგი, უბრალოდ, ვალდებული იყო, ეს გაეკეთებინა - რაც არ უნდა იყოს, შევარდნაძის მომხრეები სხვა პოლიტიკურ ჯგუფებზე მეტნი არიან და უმრავლესობად იწოდებიან!

"საპარლამენტო კრიზისად" მონათლულმა პროცესმა ნათლად წარმოაჩინა, რომ სახელისუფლებო ფრაქციებს თვითრეგულირების, მოვლენების ჭვრეტის, ზუსტი ტაქტიკის შერჩევის უნარი და ინტელექტის ის აუცილებელი მინიმუმი არ გააჩნიათ, რამაც მომგებიანი პოზიცია (უმრავლესობაში ყოფნა) მოწინააღმდეგის ლოგიკურ დაშამათებამდე უნდა მიიყვანოს. მეტიც, შევარდნაძის ამჟამინდელმა ფავორიტებმა პრეზიდენტის ძველი რაზმისგან აქეთ მიიღეს შამათი. როგორც ჩანს, წელიწადნახევრის წინათ საპარლამენტო უმრავლესობის დაშლას "ტვინების გადინებაც" მოჰყვა, რადგან ამჟამინდელი სახელისუფლებო ფრაქციების ქმედებებში გონივრული გადაწყვეტილებების მიღების უნარის დანახვა ძალიან ძნელია.



მათ ვერ დაიცვეს პრეზიდენტი.

პრეზიდენტი შევარდნაძეც, ეტყობა, ხვდება, რომ ეს გუნდი საარჩევნო ლელოს გამტანი არ არის და მისთვის ახალი სისხლის გადასხმას ცდილობს. თუმცა, ძიების პროცესში იგი ძალიან შორს არ მიდის და რეზერვს თავის ახლო გარემოცვაში ეძებს. ამიტომ, უნდა ვივარაუდოთ, რომ საპარლამენტო კოჰორტაში ადგილის მაძიებელთა შორის მრავლად იქნებიან "აპარატჩიკები" - გუბერნატორები, გამგებლები და ათასი ჯურის ჩინოვნიკები, რომლებიც ელექტორატში არც თუ კარგი სახელით სარგებლობენ. მათ აქტივში მხოლოდ ფული და პრეზიდენტის მფარველობაა.

შევარდნაძისთვის მისაღები "კარგი სამეურნეო მუშაკის" პოლიტიკურ სამოსელში გამოწყობის მაგალითს წარმოადგენს ორგანიზაცია "დიდი აბრეშუმის გზის" ჩამოყალიბება, რომელსაც რკინიგზის დეპარტამენტის შეფი აკაკი ჩხაიძე უდგას სათავეში.

დიდი გონიერება არ არის საჭირო იმის ამოსაცნობად, რომ "აბრეშუმის გზის" მიზანი მომავალ საკანონმდებლო ორგანოში, შევარდნაძისთვის სასურველი, რაც შეიძლება მეტი პერსონის შეყვანაა. მოსალოდნელია, რომ საპარლამენტო არჩევნების მოახლოების კვალობაზე, ანალოგიური ტიპის გაერთიანებები კიდევ არაერთი შეიქმნება. შევარდნაძე, როგორც ჩანს, სხვა გამოსავალს ვერ ხედავს. მას უნდა, რომ საპრეზიდენტო უფლებამოსილების დარჩენილი ვადა მშვიდ პოლიტიკურ გარემოში გაატაროს, საამისოდ კი ჩხაიძე და მის მსგავსად საჩქაროდ გაპოლიტიკოსებული ჩინოვნიკ-მოხელეები პირდაპირ მისწრება იქნება.

სანდო, ფულიანი ხალხის გაპარლამენტარება ადმინისტრაციული რესურსების სრული მობილიზების შემთხვევაშიც რომ გაუჭირდება, შევარდნაძემ კარგად იცის. სრული "უსაფრთხოებისთვის" აუცილებელია "შესაბამისი" საარჩევნო კანონიც, რადგან, თუ არ იქნება ხალხის არჩევანის "კორექტირების" შესაძლებლობა, ადვილად მოსალოდნელია, ხელისუფლება კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს. ასეთი "გაუგებრობის" გამოსარიცხად, კანცელარიაში უკვე დაიჭირეს თადარიგი. პრეზიდენტის ბანაკში, ეტყობა, "დაავიწყდათ", რომ ახალ საარჩევნო კანონზე პარლამენტში, დიდი ხანია, ინტერფრაქციული ჯგუფი მუშაობს და შექმნეს ახალი სტრუქტურა, რომელსაც სათავეში პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი მარიამ ცაცანაშვილი ჩაუყენეს. ჯერჯერობით, ძნელია იმის თქმა, რით დამთავრდება "ორხელისუფლებიანობა" საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწის ლოზუნგით მიმდინარე პროცესში, მაგრამ ერთი რამ აქედანვე ცხადია: ხელისუფლება ეცდება, არ დაუშვას იმ ხვრელების ბოლომდე ამოვსება, რომლებიც არჩევნების სასურველი შედეგით დასრულების შესაძლებლობას იძლევა.

# მარადიული არაფერია, მათ შორის - ხელისუფლებასთან ქორწინება

ბადრი კოპლატაძე

ერაყის ომმა მთელ მსოფლიოში, მათ შორის საქართველოშიც, სხვა დანარჩენ მოვლენებს, ერთგვარად, აქტუალობა და სიმძაფრე დაუკარგა. როდესაც საინფორმაციო საშუალებები ბაღდადის დაბომბვის საშინელ სცენებს პირდაპირ ეთერში აჩვენებენ, ძალზე ძნელია, იმაზე იფიქრო, თუ რატომ ვერ იკრიბება საქართველოს პარლამენტში კვორუმი ან რა მიზნებისათვის აფუძნებს რომელიმე ჩინოვნიკი პოლიტიკურ პარტიას. მაგრამ ეს ომიც, ალბათ, მალე დამთავრდება და კვლავ მოგვიწევს ჩვენი საშინაო პრობლემებისადმი თვალის გასწორება.

სახელისუფლო ფრონტზე "მოქკავშირის გვერდით" უკვე აშკარად გამოიკვეთა "აბრეშუმის გზად" წოდებული ახალი ძალა. დღეს ბევრს დავობენ იმის შესახებ, თუ კონკრეტულად რომელი პოლიტიკური ფიგურები დგანან ამ გაერთიანების უკან, თუმცა მათი ვინაობა სიტუაციას პრინციპულად არ ცვლის.

სახელისუფლო ძალებში არსებული დაპირისპირება, შეიძლება ითქვას, ორგანიზაციულად გაფორმდა. სახელმწიფო მინისტრის სურვილი, ყველა სახელისუფლო ძალა ერთპიროვნულად დაექვემდებარებინა, სურვილადვე დარჩა. ყველა ის ადამიანი, რომელიც შევარდნაძის გარშემოა და ჟორჟოლიანთან არის დაპირისპირებული, ამ ახალ გაერთიანებაში იყრის თავს. თუმცა, ორივე მხარის წარმომადგენლები ერთხმად ამტკიცებენ, რომ არჩევნებში სახელისუფლო ძალები ერთიანი სიით გამოვლენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სახელისუფლო ბლოკი კიდევ უფრო არაერთგვაროვანი და, აქედან გამომდინარე, მყიფე იქნება, ვიდრე 1999 წლის არჩევნების წინ იყო "მოქკავშირი". რა შეიძლება ასეთი ტიპის სახელისუფლო გაერთიანებამ მოსახლეობას შესთავაზოს? რა შეიძლება გახდეს მათი საარჩევნო კამპანიის ქვაკუთხედი? ეს კითხვები უფრო ადვილად პასუხგასაცემი იქნება, თუ მათ სხვაგვარი ფორმით ჩამოვაყალიბებთ: რას ვერ შესთავაზებენ სახელისუფლო ძალები ამომრჩეველს და რა ვერ გახდება მათი საარჩევნო კამპანიის ქვაკუთხედი?

ნებისმიერი ტიპის არჩევნებში წარმატებას მხოლოდ ისინი აღწევენ, ვისაც ზურგს უმაგრებს ან წარსულში გაკეთებული საქმეები, ან ისეთი ადამიანები, ვინც მოსახლეობას მომავლის იმედს ჩაუსახავენ. არც ერთი ამ კომპონენტის მიხედვით ხელისუფლების მდგომარეობა სახარბიელო არ არის. ის ადამიანები, რომლებსაც უკვე წლების განმავლობაში უპყრიათ მართვის სადავეები და რომელთა მოღვაწეობის შედეგებს ყველა ნათლად ხედავს, ვერანაირად ვერ დაარწმუნებენ უბრალო ადამიანებს, რომ მათ კვლავ უნდა მიეცეთ ქვეყნის გაძღოლის საშუალება. უფრო მეტიც, არც ერთი სახელისუფლო ლიდერი, არც "მოქკავშირიდან" და არც "აბრეშუმის გზიდან" მოსახლეობაში პოპულარულობით არ სარგებლობს, არც ერთი მათგანი არ არის თუნდაც მცირედით მაინც გამორჩეული ფიგურა, რომლის გაკეთებული საქმეები მოსახლეობაში სიმპათიას აღძრავდა.

შეიძლება ითქვას, რომ სახელისუფლო ძალები ამომრჩეველს ვერც გაკეთებულ საქმეებს სთავაზობენ და ვერც პოპულარულ, იმედის მომცემ ლიდერებს. სამართლიანი არჩევნების შემთხვევაში, გამანადგურებელი მარცხისათვის ეს სრულიად საკმარისი იქნებოდა, თუმცა სწორედ აქ უნდა ვახსენოთ ხელისუფლების მთავარი იმედი – ე.წ. ადმინისტრაციული ბერკეტები. მათ გამოყენებას ქართულ სინამდვილეში ასეთი განსაზღვრება შეიძლება მიეცეს – არჩევნების შედეგების გაყალბების მიზნით, ცენტრალური და ადგილობრივი სახელისუფლო სტრუქტურების საარჩევნო პროცესში უშუალოდ ჩართვა. ყველა სახელისუფლო ლიდერი ხვდება, რომ ამ მიზნის მიღწევას სახელისუფლო ძალები მხოლოდ კოორდინირებული ქმედებების პირობებში შეძლებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ურთიერთსაპირისპირო მოქმედება ნულოვან შედეგს მოიტანს. ამას ემყარება ერთიანი ბლოკის შექმნის სურვილიც. აქაც ყველაფერს თვითგადარჩენის ინსტიქტი განაპირობებს.

თუმცა არსებობს სხვა სახის პრობლემებიც. ედუარდ შევარდნაძის განცხადებებმა, რომ ის აქტიურად აღარ ჩაერთვება საარჩევნო კამპანიაში, კანცელარიის სხვადასხვა დაჯგუფებებთან დაკავშირებულ პარტიებში ერთგვარი დაბნეულობა შეიტანა – ღირს კი ასეთ გადამწყვეტ მომენტში ხელისუფლებასთან ურთიერთობა, თუ თვითონ პრეზიდენტი პასიური მაყურებლის პოზიციას დაიკავებს? პრეზიდენტის ამ პროცესებიდან გამოთიშვის შემთხვევაში ზემოთ ნახსენები ადმინისტრაციული რესურსი კიდევ უფრო სუსტდება, რაც წარუმატებლობის ალბათობას ზრდის. თემატური უმრავლესობის ზოგიერთი წარმომადგენლის ბოლოდროინდელი ჭირვეულობა სწორედ ასეთი ტიპის გათვლებით აიხსნება.

გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ კიდევ ერთი რამ. ხელისუფლების ყველა რგოლში კარგად აცნობიერებენ, რომ არაფერი მუდმივი ამ ქვეყნად არ არის, მით უფრო მაშინ, როდესაც წინ ორი არჩევნებია. ამიტომაც მოულოდნელი ნამდვილად არ იქნება, თუ სხვადასხვა რანგის ჩინოვნიკები, ყოველგვარი ზემოქმედების გარეშე, საკუთარი ინიციატივით, პოლიტიკურ პარტიებთან ურთიერთობის დამყარებას შეეცდებიან და ასე იზრუნებენ თავიანთ სამომავლო კარიერაზე. ტყუილად არ ახსენებენ მთავრობის სხდომებზე ორ სკამზე მსხდომ ჩინოვნიკებს. ეს რეაქცია იმის მაჩვენებელიც არის, რომ ხელისუფლება ასეთი საფრთხის შესაძლებლობას რეალურად განიხილავს.

საბოლოო ჯამში სახელისუფლო ძალებისათვის მეტად მძიმე სიტუაცია იქმნება. პოლიტიკური რესურსების არარსებობა და ადმინისტრაციული ბერკეტების შესუსტება მათ მდგომარეობას მეტად ამძიმებს. შეიძლება, სწორედ ეს ჩიხური სიტუაცია გახდეს იმის საფუძველი, რომ სახელისუფლო ძალებმა თავის გადარჩენის ალტერნატიული გზების ძიება დაიწყონ. სამწუხაროდ, როგორც საქართველოს უახლესი ისტორია, ისე სხვა ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ ხელისუფლებაში მყოფნი მდგომარეობის დაკარგვას, რბილად რომ ვთქვათ, მტკივნეულად განიცდიან, რაც ხშირ შემთხვევაში ხელისუფლების შენარჩუნების უზომო სურვილში გადაიზრდება ხოლმე. მაკიაველის ცნობილი პრინციპიც, რომ მიზანი ამართლებს საშუალებას, სწორედ ამ დროს იწყებს სრული ძალით მოქმედებას.

*კულუარები*

# გიორგი თარგამაძის შემცვლელს ეძებენ

ლელა მჭედლიძე

**"ფრაქციაში ბევრი ღირსეული პიროვნებაა, რომელსაც შეუძლია, ჩემი ადგილი დაიკავოს,"** – ამ სიტყვებით დატოვა პარლამენტი ფრაქცია "ერთიანი საქართველოს" თავმჯდომარემ გიორგი თარგამაძემ. მისი წასვლის შემდეგ 11-კაციან ფრაქციაში თავმჯდომარის პოსტი კვლავაც ვაკანტურია. თარგამაძის მხრიდან გადაწყვეტილების გახმაურების დღესვე მთავარ კანდიდატად ჯუმბერ პატიაშვილი მიიჩნიეს, მაგრამ იგი უარზეა. კანდიდატთა შორის ყასიდად გაიელვა ვიცე-სპიკერ როსტომ ჯაფარიძის სახელმაც, თუმცა, იქვე ისიც ითქვა, რომ აჭარის ბლოკის კვოტით სპიკერატში მიღებულ ადგილს ჯაფარიძეს ფრაქციის თავმჯდომარის პოსტში არ გადააცვლევინებდნენ. მართალია, შესაძლებელია შეთავსება, მაგრამ ეს პარლამენტის ბიუროს სპეციალური ნებართვის შემდეგ უნდა მოხდეს. სავარაუდო კანდიდატთა სიაში არიან ასევე გენპროკურორის ყოფილი მოადგილე ვახტანგ გვარამია და ბათუმის ყოფილი მერი ასლან სმირბა.

გვარამია პატიაშვილის მხარდამჭერ და ასლან აბაშიძისათვის მისაღებ კანდიდატურად მიიჩნევა. რაც შეეხება ასლან სმირბას, აბაშიძისადმი მის ერთგულებაში ეჭვი არავის ეპარება, თუმცა იგი რეკორდსმენ გამცდენ დეპუტატთა სიაში ირიცხება.

**"ვნახოთ, ვთათბირობთ,"** – ამბობს "აღორძინების" ლიდერი ჯემალ გოგიტიძე, რომელიც აკონკრეტებს, რომ გადაწყვეტილება ფრაქციის პოსტზე ამა თუ იმ დეპუტატის არჩევის შესახებ, რა თქმა უნდა, პარტიისა და ავტონომიის ლიდერთან, ასლან აბაშიძესთან უნდა შეთანხმდეს.

"პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ" კანონისა და პარლამენტის რეგლამენტის მიხედვით, თანამდებობის პირის მიერ პოსტის დატოვებიდან 10 დღის ვადაში უნდა გადაწყდეს მისი მემკვიდრის ვინაობა. გიორგი თარგამაძემ პარლამენტი უკვე დატოვა, თუმცა ოფიციალურად, ჯერჯერობით, ეს ასე არ გახლავთ. პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე განცხადების დაწერის შემდეგ, დეპუტატისათვის უფლებამოსილების შეჩერების საკითხი პარლამენტის სხდომაზე კენჭისყრით უნდა გადაწყდეს. ჯემალ გოგიტიძე აცხადებს, რომ გიორგი თარგამაძემ ყოფილი თანაფრაქციელების თხოვნა გაითვალისწინა და განცხადება პარლამენტიდან წასვლის შესახებ არ დაუწერია. იგივეს ამტკიცებს პარლამენტის აპარატის უფროსი ხათუნა გოგორიშვილი.

სხვათა შორის, გაჩნდა ვერსია, რომ "აღორძინების" შემადგენლობიდან "ერთიან საქართველოში" გადაისროდნენ სანდრო ბრეგაძეს, რომელსაც ჩააბარებდნენ კიდეც ფრაქციის საჭეს. ეს თითქოს ერთგვარი კომპენსაცია იქნებოდა დეპუტატისათვის, რომელსაც, დიდი სურვილის მიუხედავად, ელენე თევდორაძის გადადგომის შემდეგ, ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარეობა ვერ ეღირსა.

თავად ბრეგაძის განცხადებით, მსგავსი შემოთავაზება არსებობდა, მაგრამ მან უარი განაცხადა. მიზეზი კი ორია: გარდა იმისა, რომ მას გიორგი თარგამაძის ადგილზე ყოფნა არ იზიდავს, ფრაქციის თავმჯდომარის პოსტზე არჩევას, პარლამენტის უფლებამოსილების გასვლამდე რამდენიმე თვით ადრე, აზრი არა აქვს. თავად იგი, მის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე ამტკიცებს, რომ "აღორძინების" ხელმძღვანელობას ორი ფრაქციის - "ერთიანი საქართველოსა" და "აღორძინების" გაერთიანება აქვს გადაწყვეტილი. უფრო კონკრეტულად ყველაფერი ამ დღეებში უნდა გადაწყდეს, მას შემდეგ, რაც "აღორძინების" საპარლამენტო ლიდერები აჭარის ლიდერს მოინახულებენ.

*ინტერვიუ*

# ვალერი მანილოვი: "საქართველომ რუსეთს ზურგში მახვილი ჩასცა"

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

რუსმა სენატორმა, პარლამენტის ზედა პალატის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, რუსეთის გენერალური შტაბის უფროსის ექს-მოადგილემ, გენერალ-პოლკოვნიკმა ვალერი მანილოვმა "24 საათისათვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა:

- ერაყში საომარი მოქმედებების განვითარების სამი სცენარი არსებობს: ოპტიმისტური, რეალისტური და პესიმისტური და ეს სცენარი აშშ-ს სტრატეგიული კვლევების ცენტრში დიდი ხნის წინათ დაიწერა. ოპტიმისტური სცენარი გულისხმობს ომის 12 კვირაში დასრულებას, რეალისტური 3-4 თვეში, ხოლო პესიმისტური სცენარის მიხედვით ომი რამდენიმე წელიწადს გაგრძელდება.

**- თუ შეიძლება უკვე ამ ომის გეოპოლიტიკურ შედეგებზე საუბარი?**

- გეოპოლიტიკური საშიშროება იმაშია, რომ აშშ-მ განახორციელა მსოფლიოში მონოპოლარული მოდელის შექნის თავხედური იდეა, როცა ყველაფერი ძალის უხეშ გამოვლინებაზეა დამოკიდებული.

**- სამხედროები ამტკიცებენ, რომ აშშ ერაყში რამდენიმე ტიპის ახალ იარაღს გამოცდის. თქვენ გაქვთ ამაზე ინფორმაცია?**

- ყველა ომში აშშ ახალ იარაღს ცდის. ამ ვითომ უმაღლესი დემოკრატიის მქონე სახელმწიფოს არ სჩვევია იარაღის სამხედრო პოლიგონებზე გამოცდა. აუცილებლად ხალხი უნდა გაჟულიტონ. პირველი დარტყმების დროს უკვე გამოიცადა 2-3 ტონიანი ე.წ. ღრმული ბომბები, რაც აუცილებლად გამოიწვევს მთელს რეგიონში დამანგრეველ მიწისძვრებს. იცით, რას ნიშნავს ექვსი ამერიკული ავიამზიდი? ამას მიუმატეთ 700-ზე მეტი თანამედროვე ტიპის გამანადგურებელი, სამი ათასამდე ფრთოსანი რაკეტა და ა.შ. ძალის მხრივ აშშ ერაყს სჯობნის, შეფარდებაა ერთი ხუთთან, მაგრამ ბასრაში 21 მარტის "ნახტომის" დროს აშშ-ს სამხედრო მანქანა უდაბნოს ქვიშაში ჩაეფლო.



გენერალი მანილოვი

**- რამდენად შეესაბამება სინამდვილეს ხმები რუსეთიდან ერაყში შეიარაღების გაგზავნაზე?**

- ამაში არავინ და არაფერი გვიშლის ხელს, მსოფლიოს წინაშე პასუხისმგებლობის გარდა, მაგრამ ჩვენ დღეს გამოვდივართ მრავალეროვნული რუსეთის ტრაგიკული წარსულის მაგალითებიდან, ამერიკას ვერ მივბაძავთ. რუსული მახვილის გადაცემა ერაყისათვის არ შეიძლება. ჩვენ ამერიკელებივით ვერ დავარღვევთ საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და აგრესორებად ვერ ვიქცევით. ასეთ ვითარებაში ერაყს რუსეთმა იარაღი არ უნდა გადასცეს.

**- შეუძლია ვინმეს ომის შეჩერება?**

- არის ერთი ძალა, რომელიც ერაყის კრიზისს შეაჩერებს - ესაა მსოფლიო საზოგადოებრიობის ერთობა. რუსეთის მისიაა, შეინარჩუნოს გაერო-ს უშიშროების საბჭო, რომელიც უკვე ამზადებს პოლიტიკურ კონტრდარტყმას აშშ-ზე და ინგლისზე.

**- რუსეთს რაიმე საფრთხე ემუქრება?**

- სამხედრო-ტექნიკური თვალსაზრისით - არა. მაგრამ თუ აშშ-ს სამხედრო უსამართლობა არ აღიკვეთა, საფრთხე მსოფლიოს სტრატეგიულ უსაფრთხოებას დაემუქრება. რუსეთის თავდაცვის ობიექტები და შეირაღების კომპლექსი, სტრატეგიული დანიშნულების ობიექტები დაცულია სპეცსამსახურებთან ერთად შემუშავებული გეგმის მიხედვით. შესაძლო ტერორისტული აქტების თავიდან ასაცილებლად და ტერორისტების გამოსავლენად მიმდინარეობს სწრაფი რეაგირების დანაყოფების ეფექტური მუშაობა. დეტალებზე გენერლები არ საუბრობენ. ტერორიზმის საფრთხე დღეს მარტო რუსეთს არ უახლოვდება. შეიძლება ტერაქტების ობიექტად საქართველოც იქცეს.

**- იმიტომ, რომ საქართველომ მხარი დაუჭირა ერაყში სამხედრო ძალის გამოყენებას?**

- მე, როგორც სამხედრო, საქართველოს უღირს პოზიციას მიუღებელი ტერმინოლოგიით შევაფასებდი, მაგრამ თავს ამის უფლებას ვერ მივცემ. როგორც ადამიანი კი ვიტყვი, რომ საქართველომ რუსეთს ამით ზურგში მახვილი ჩასცა, უღალატა მეზობლობის და კეთილი ტრადიციების მრავალსაუკუნოვან ისტორიას.

*ინფორმაცია*

## ასლან აბაშიძე პრეზიდენტს აკრიტიკებს

აჭარის ავტონომიის მეთაური ასლან აბაშიძე აცხადებს, რომ ცენტრალური ხელისუფლების პასუხისმგებლობა რეგიონების, მათ შორის აჭარის, მიმართ პრაქტიკულად ნულის ტოლია. აჭარის მეთაურის პრეს-მდივნის თამაზ ბაკურიძის თქმით, ასლან აბაშიძე აცხადებს, რომ საქართველომ ძალზე სერიოზული, მრავალმილიარდიანი დახმარება მიიღო დასავლეთისაგან, და არა მარტო დასავლეთისაგან, მაგრამ აქედან ცენტრს აჭარისათვის "არც ერთი თეთრი არ გაუნაწილებია". ასლან აბაშიძის თქმით, **"პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ამტკიცებს, რომ თურმე ცენტრი აჭარას ეხმარება, სინამდვილეში კი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების მოგვარებისკენ მიმართული ყველა სერიოზული პროექტი ჩაშალა, რასაც მალულად აკეთებს და არა პირდაპირ".**

აჭარის მეთაური მიიჩნევს, რომ თავისუფალი ეკონომიკური ზონა ურთულესი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამოსვლის ერთ-ერთი უმთავრესი ბერკეტია, რაც არ მოითხოვს დიდ დაბანდებებს, თუმცა პრეზიდენტი უარყოფით შეფასებას აძლევს ამ ინიციატივას და აცხადებს, რომ რა გადაწყვეტილებაც არ უნდა მიიღოს პარლამენტმა, იგი მის განხორციელებას ხელს შეუშლის. **პრაიმ-ნიუსი**.

## "ტრადიციონალისტთა" პრობლემები და გეგმები

საპარლამენტო ფრაქცია "ტრადიციონალისტის" წევრი ალექსანდრე შალამბერიძე აცხადებს, რომ "ტრადიციონალისტების", "დემოკრატების", "ნაციონალური მოძრაობის" და "ერთობის" შესაძლო საარჩევნო ბლოკის შექმნის პროცესში, "აქილევსის ქუსლად" იქცა "ერთობის" თანათავმჯდომარის ალექსანდრე ჭაჭიას საკითხი.

ალექსანდრე შალამბერიძის თქმით, "ტრადიციონალისტები" "ერთობის" ლიდერს ჯუმბერ პატიაშვილს ალექსანდრე ჭაჭიას ჩამოცილების პირობას უყენებენ, ოღონდ "არა ულტიმატუმის ენით". **"ჭაჭია ამ დღეებში პარლამენტის მიერ რატიფიცირებული აშშ-სა და საქართველოს შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის ხელშეკრულების წინააღმდეგი იყო, თუმცა დანარჩენი ოპოზიციური პარტიები შეთანხმებას მხარს უჭერდნენ",** - თქვა ალექსანდრე შალამბერიძემ.

თავად "ტრადიციონალისტები" საპარლამენტო არჩევნებზე მაჟორიტარებად რამდენიმე კანდიდატურას დაასახელებენ: ვანის რაიონში - პარლამენტარ ბეჟან ხურციძეს, ზესტაფონში - ამავე რაიონის დღევანდელ მაჟორიტარს დავით კოვზირიძეს, თელავში - კახეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარეს გოჩა მამაცაშვილს, ხოლო ზუგდიდში - ამ ქალაქის საკრებულოს წევრს მერაბ დანელიას. **პრაიმ-ნიუსი**

## ევროპის საბჭოს მორიგი რეკომენდაცია

ევროსაბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ საქართველოს ხელისუფლებისთვის მიცემული რეკომენდაციების შესრულებისა და საარჩევნო კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის ფარგლებში, საგარეო საქმეთა სამინისტრომ, ანტიკორუფციულ ბიუროსთან ერთად, ევროსაბჭოს გენერალურ სამდივნოსთან კონსულტაციები გამართა.

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის დეპარტამენტის ცნობით, კონსულტაციების დროს მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, უახლოეს ხანებში ევროპის საბჭოს დახმარებით თბილისში გაიმართება ორმხრივი სემინარი თემაზე "საქართველოს კანონმდებლობაში პარლამენტის წევრობის კანდიდატების იმუნიტეტის საკითხის შესწავლა". აღსანიშნავია, რომ ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა დოკუმენტის საფუძველზე, საქართველოს ხელისუფლებას მიეცა რეკომენდაცია, გადასინჯოს სახელმწიფოში არსებული იმუნიტეტების სისტემა და პარლამენტის წევრობის კანდიდატებისთვის ქვეყნის კანონმდებლობით დაწესებული იმუნიტეტი გააუქმოს. **მედია-ნიუსი**

## რუსეთი პროტესტს გამოთქვამს

რუსეთმა ამერიკის შეერთებულ შტატებს ოფიციალური პროტესტი განუცხადა საქართველო-რუსეთის საზღვართან ამერიკული სადაზვერვო თვითმფრინავების ფრენის გამო. ოფიციალური მოსკოვი უკმაყოფილოა ვაშინგტონის ახსნა-განმარტებით, რომ ამგვარი ფრენა საერთაშორისო ტერორისტული ბაზების მოსაძებნადაა აუცილებელი. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებით, ამერიკის სადაზვერვო საქმიანობა პროვოცირებას უკეთებს რეგიონში დამატებით დაძაბულობას. რუსი სამხედროების თქმით, შაბათს რუსეთის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ძალებმა აღმოაჩინეს მზვერავი თვითმფრინავი, რომელიც რუსეთის საზღვრიდან 20-30 კილომეტრში საქართველოს ტერიტორიის თავზე ფრენას ახორციელებდა. საზღვრის შესაძლო დარღვევის თავიდან აცილების მიზნით, ჰაერში გამანადგურებლები აუშვეს. **ინტერ-პრესი**

# მეოთხე დღის ქრონიკა



ამერიკელი ჯარისკაცები ერაყელს ატყვევებენ.

პირველი გვერდიდან

ამერიკელი სამხედროების განცხადებით, ისინი ქალაქის დაკავებას არც შეეცდებიან, რადგან მათთვის მთავარია, რაც შეიძლება, სწრაფად გააგრძელონ მოძრაობა ჩრდილოეთისაკენ.

ერაყის ინფორმაციის მინისტრის, საიდ ალ საჰაფის განცხადებით, ბასრას დაბომბვის შედეგად 77 მშვიდობიანი მოსახლე დაიღუპა. მისი თქმით, ქალაქში გამართულ ბრძოლებში მოკავშირეთა 3 ჯარისკაცი მოკლეს.

## შოკი და შიში

მეოთხე დღეა, გრძელდება ბაღდადის დაბომბვა. ქალაქში მყოფი კორესპონდენტების ცნობით, გუშინ განსაკუთრებით მძიმე ბომბები ჩამოყარეს. "ჩვენ ფეხქვეშ მიწა შეირყა. ირყეოდა ირგვლივ ყველა შენობა. ცოტა ხანში რამდენიმე ასეული მეტრის სიმაღლის მტვრის სვეტი დადგა", - წერს როიტერის კორესპონდენტი, ნადიმ ლანკი. მოსახლეობაში პანიკა იზრდება. ქალაქის ირგვლივ კვლავ ცეცხლი უკიდია ნავთობის საბადოებს, მაგრამ კვამლი მოწინააღმდეგის ავიაციასა და რაკეტებს ხელს ვერ უშლის.

ჩრდილოეთ ერაყის ნავთობით მდიდარი ორი ქალაქი მოსული და კირკუკი მთელი ღამის განმავლობაში იბომბებოდა. მოსულში არსებული ქურთული სადაზვერვო წყაროების ცნობით, მოკავშირეთა ავიაციას სამიზნეში ჰქონდა ამოღებული სადამ ჰუსეინის სასახლე, სამხედრო ბანაკები და ერაყის სამხედრო დაზვერვის შტაბ-ბინა.

დაიბომბა კირკუკის აეროდრომიც. ეს ძალიან დიდი აეროპორტია მიწისქვეშა ბუნკერებითა და ინფრასტრუქტურით, რომელმაც, შესაძლოა, ძალზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს, თუ კოალიცია ჩრდილოეთ ფრონტის გახსნას შეძლებს.

სხვადასხვა წყაროების ინფორმაციით, ჩრდილოეთ ერაყში ამერიკელ ჯარისკაცთა "არც ისე ბევრი ქვედანაყოფი" იმყოფება.

"სიენენის" ცნობით, პენტაგონის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა განაცხადა, რომ თურქეთთან შეუთანხმებლობის გამო, ამერიკელები ჩრდილოეთ ერაყში კვლავ ვერ შედიან, შესაბამისად, კირკუკში არსებული ნავთობსაბადოების უსაფრთხოება ჯერ გარანტირებული არაა. ეს ფაქტი თავის პრესკონფერენციაზე პრეზიდენტმა ბუშმაც დაადასტურა.

## კუვეიტი

გუშინ ერთი ამერიკელი ჯარისკაცი დაიღუპა და 15 დაიჭრა, როდესაც მუსლიმმა ამერიკელმა სამხედრო მოსამსახურემ ხელყუმბარები შეაგდო სამ კარავში.

აფეთქებაში ეჭვმიტანილი საინჟინრო დანაყოფის ინჟინერი დილას მომხდარი აფეთქებების შემდეგ, მალევე დააკავეს საკომანდო ცენტრში ქუვეითში.

"ის მუსლიმია და, ჩანს, რომ ომის წინააღმდეგია", - განაცხადა ერთ-ერთმა ამერიკელმა სამხედრომ.

საკომანდო ცენტრში მყოფი ოფიცრების აზრით, დამნაშავეს ეს ოპერაცია საკმაოდ კარგად ჰქონდა ჩაფიქრებული. მან ჯერ გენერატორები გამორთო, რომლიდანაც ელექტროენერგია მიეწოდებოდათ კარვებში, ხოლო შემდეგ ხელყუმბარები შეაგდო.

დაკავებისას მან ცეცხლი გაუხსნა ამერიკელ ჯარისკაცებს.

## ამერიკელი ტყვეები

კვირას ერაყის ტელევიზიამ საგანგებოდ გადაღებული კადრები აჩვენა ამერიკელ ჯარისკაცებზე, რომელთაგან 4 მკვდარი იყო, ხოლო 5 დატყვევებული. კადრების მიხედვით, რომელიც ალ-ჯაზირამ გადასცა, ორი ტყვე დაჭრილია, მათ შორის ერთი ქალია.

ისინი პირველი ამერიკელი ტყვეები არიან, რომლებიც ერაყის ომის დაწყების შემდეგ აიყვანეს. სამხედრო ტყვეები დაკითხეს, მათ თავიანთი სახელები, სამხედრო საიდენტიფიკაციო ნომრები და მშობლიური ქალაქები დაასახელეს.

ერაყის ტელევიზიის მიერ გავრცელებული კადრები "ალ-ჯაზირამ" მთელს მსოფლიოს უჩვენა. "ალ-ჯაზირას" ინფორმაციით, ამერიკელი მებრძოლები ერაყის სამხრეთში მდებარე ქალაქ ნასირიაში დაატყვევეს, სადაც ამერიკელი სამხედრო ქვეითები ქალაქზე კონტროლის მოპოვებას ცდილობენ.

პრეზიდენტმა ბუშმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პირდაპირ ეთერში ტყვეების დაკითხვით, ერაყმა დაარღვია ჟენევის კონვენცია, რომელიც სამხედრო ტყვეთა უფლებებს იცავს და მოუწოდა ჰუსეინს, ისევე მოექცეს ამერიკელ ტყვეებს, როგორც მოკავშირეები ექცევიან ერაყელებს.

ალ-ჯაზირა მთელი დღე გადასცემდა კადრებს, როგორ ეძებდნენ ერაყელები ბაღდადის თავზე ჩამოგდებული ამერიკული თვითმფრინავის პილოტებს. თვითმფრინავის ჩამოგდების ფაქტი პენტაგონს ჯერ არ დაუდასტურებია.

## ტორნადო

გუშინ კუვეიტში დიდი ბრიტანეთის კუთვნილი გამანადგურებელი "ტორნადო" ჩამოაგდეს. წინასწარი ინფორმაციით, ტორნადო შეცდომით ჩამოაგდო ამერიკულმა "პეტრიოტის" ტიპის რაკეტამ. ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების წარმომადგენელმა მომხდარს "ტრაგედია" უწოდა.



ნასირიის მისადგომებთან მოკლული ამერიკელი ჯარისკაცი.



დატყვევებული ამერიკელი სამხედროები.

# არაბული სამყარო ომის მოსალოდნელი შედეგებით შეშფოთებულია

ჯული ფლინტი
*IWPR*



საკუთარი სახლის ნანგრევებთან.

სამხრეთ ერაყში ამერიკელებისა და ბრიტანელების მიერ პირველად დაკავებულ ქალაქ საფვანში მცხოვრები მუსლიმები მღეროდნენ და ცეკვავდნენ, თავიანთ "გამათავისუფლებლებს" ხელზე კოცნიდნენ და გაჰყვიროდნენ: "სადამ, შენი დღეები დათვლილია!" ქალაქის მცხოვრებლები ჯარისკაცებს საკვებსა და წყალს სთავაზობდნენ. მათ სადამ ჰუსეინის სურათები დახიეს და ნაგლეჯებზე ფეხებით შედგნენ.

ომის მესამე დღეს, ერაყელმა შიიტებმა მთელ ქვეყანაში სასწრაფოდ გაავრცელეს ცნობა, რომ საფვანში ამერიკელების შესვლით ისინი "ძალიან ბედნიერები" არიან.

ერაყელი შიიტებისგან განსხვავებით, ომის მოსალოდნელი გრძელვადიანი შედეგების გამო მეზობელ არაბულ ქვეყნებსა და ისრაელშიც კი, შეშფოთებულები არიან.

არაბულ სამყაროში ერაყის რეჟიმის შესაცვლელად დაწყებული ანგლო-ამერიკული ომი უკანასკნელი ერთი საუკუნის განმავლობაში მესამე დიდ უბედურებად იქნა აღქმული, ოსმალთა იმპერიის დანგრევისა და 1948 წლის არაბ-ისრაელის ომის შემდეგ.

"მაშინდელის მსგავსად, დღეს მიმდინარე პროცესის სამ ასპექტზე შეიძლება მივუთითოთ, რაც, არაბების თვალსაზრისით, განსაკუთრებით შემაშფოთებელია", - ნათქვამია ლიბანის ყოველდღიურ გაზეთ "სტარში". "ცვლილებების მომტანი ძალა რეგიონის მიღმა მდებარეობს და არაბ ხალხს იმ მოვლენებზე გავლენის მოხდენა, ფაქტობრივად, არ შეუძლია, რომელიც მათ მომავალს განსაზღვრავს და, პრაქტიკულად, არავინ უწყის, რა მოხდება".

თუმცა, ზოგიერთებს სჯერათ, რომ იციან, როგორ განვითარდება მოვლენები. მათი აზრით, შეერთებულ შტატებს ომის მოგების არანაირი პრობლემა არ ექნებათ, მაგრამ ვერ შეძლებენ მშვიდობის დამყარებას, ისევე როგორც ეს ისრაელს დაემართა ლიბანის ოკუპაციის შემდეგ. ტელევიზიით ნაჩვენები სიუჟეტები, სადაც შიიტები ამერიკელ გამათავისუფლებლებს ოვაციებით ხვდებოდნენ, ძალიან ჰგავდა ლიბანელი შიიტების რეაქციას, როდესაც 1982 წელს შესულმა ისრაელის ჯარმა პალესტინის გამათავისუფლებელი ორგანიზაცია ქვეყნიდან განდევნა.

ლიბანის ერთ-ერთი წამყვანი პარტიის თავმჯდომარის მოადგილემ, შეიხმა ნაიმ ყასემმა ძალიან ბევრის აზრი გამოხატა, როდესაც ბეირუთში გამოსვლისას განაცხადა, რომ ერაყში ომი განპირობებულია ვაშინგტონის რეგიონული ამბიციებით - ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკა შეცვალოს და ნავთობი გააკონტროლოს.

"შეერთებული შტატები, უკეთესი იარაღის წყალობით, ომს იოლად მოიგებს, მაგრამ ის წააგებს ომს პოლიტიკურად, სოციალურად და ეკონომიკურად, რადგან ვაშინგტონის ერთპიროვნული მოქმედება მთელ მსოფლიოში დიდ წინააღმდეგობას აწყდება", - განაცხადა ყასემმა.

12 წლის შემდეგ, ამერიკის მეორე ომმა ერაყში არაბებსა და ებრაელებში ერთნაირი კითხვები აღძრა.

"რატომ ერაყი? რატომ ახლა? რატომ ომის მეშვეობით?" კითხულობს ყოველდღიური "იედით აჰრონოთი" სარედაქციო წერილში.

გაზეთმა გაიხსენა პრემიერ-მინისტრ არიელ შარონის განცხადება: მხოლოდ ერთი პროცენტი არსებობს იმ საშიშროებისა, რომ ბაღდადმა ისრაელს დარტყმა მიაყენოს.

"იედით აჰრონოთის" მტკიცებით, ომი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება გამართლებული, თუ ჯარისკაცები მასობრივი განადგურების იარაღს მართლა აღმოაჩენენ.

სხვა შემთხვევაში, წერს გაზეთი, "ბუშის ადმინისტრაციის მიმართ ნდობა საბოლოოდ ამოიწურება და ახლო აღმოსავლეთის მცხოვრებებს მეხსიერებაში მხოლოდ ამერიკელების მიერ არაბების ჩახოცვის სურათები შემორჩებათ".

# აშშ რუსული იარაღის ერაყელებისათვის მიყიდვას აპროტესტებს

კვირას შეერთებულმა შტატებმა რუსული ფირმების მიერ ერაყისათვის ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებისა და ღამის ხედვის ბინოკლების მიყიდვა გააპროტესტა.

პირველად ეს ცნობა "ვაშინგტონ პოსტმა" გაავრცელა. გაზეთის მიხედვით, ამერიკის ხელისუფლებამ რუსებს ერაყელი სამხედროებისათვის იარაღის მიყიდვის შეწყვეტა მკაცრად მოსთხოვა.

"ვაშინგტონ პოსტმა" ბუშის ადმინისტრაციის ერთ-ერთი თანამშრომლის სიტყვები დაიმოწმა, რომლის თანახმად, რუსული კომპანიები ერაყელებს ამერიკული თვითმფრინავების წინააღმდეგ ელექტრონული დანადგარების გამართვაში ეხმარებოდნენ, ხოლო კიდევ ორმა რუსულმა ფირმამ რამდენიმე ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა და ასეულობით ღამის ხედვის ბინოკლი მიჰყიდა ბაღდადს, რითაც გაერო-ს მიერ დაწესებული სანქციები დაარღვია. ამავე წყაროს ცნობით, მოსკოვმა ამერიკისთვის მოსალოდნელი საფრთხე არ გაითვალისწინა.

"ჩვენ ამას ძალზე სერიოზულად განვიხილავთ", - განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ბრენდა გრინბერგმა. "რუსეთის მთავრობის წინაშე ჩვენ აღნიშნული საკითხი რამდენჯერმე დავსვით, მათ შორის, ძალიან მაღალ დონეზე და, განსაკუთრებით, უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში. პასუხი არადამაკმაყოფილებელია".

"ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ პასუხისმგებლობის მქონე რუსული უწყებები ჩვენს შეშფოთებას სერიოზულად მოეკიდებიან", - დასძინა მან. "ერაყელების ხელში მოხვედრილი მოწინავე სამხედრო იარაღი შეერთებული შტატებისა და კოალიციის შეიარაღებულ ძალებს უშუალო საფრთხეს უქმნის".

# თურქეთის ჯარები, შესაძლოა, ქურთისტანში შევიდნენ

შოთა უტიაშვილი

"ვიტოვებთ უფლებას, ჯარები გავგზავნოთ ჩრდილოეთ ერაყში, უმჯობესი იქნება, თუ ამას ამერიკის თანხმობით გავაკეთებთ," – განაცხადა თურქეთის ელჩმა შეერთებულ შტატებში ფარუკ ლოგუღლუმ. მისმა განცხადებამ დიპლომატიურ წრეებში სერიოზული შეშფოთება გამოიწვია.

"შეერთებული შტატები წინააღმდეგია ჩრდილოეთ ერაყში თურქეთის, ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს მხრიდან ცალმხრივი ქმედებისა," – განაცხადა სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ბაუჩერმა.

"თუ თურქეთი ერაყის ქურთისტანში ჯარებს გაგზავნის, ევროკავშირში გაწევრიანება შეუძლია დაივიწყოს," - განაცხადა გუშინ ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრმა, მიშელმა.

ეს განცხადებები აშკარად მოწმობს იმ უთანხმოების მთელ სიმწვავეს, რომელიც ქურთისტანის საკითხთან დაკავშირებით არსებობს. ექსპერტები აცხადებენ, რომ ჩრდილოეთ ერაყში რომელიმე მხარის უპასუხისმგებლო ქმედებამ შეიძლება მთელი სამხედრო კამპანია საფრთხის ქვეშ დააყენოს.

გუშინ ქურთისტანის პატრიოტული კავშირის ლიდერმა, ტალაბანიმ განაცხადა, რომ თურქეთს საზღვართან მობილიზებული ჰყავს 75-ათასიანი, მძიმედ შეიარაღებული არმია და, საჭიროების შემთხვევაში, სამხრეთით 40 ათასი კაცის გადასროლას აპირებს.

ანკარას იმედი აქვს, რომ ჩრდილოეთ ერაყში ჯარების შეყვანაზე ამერიკის თანხმობას მიიღებს. თურქეთის პრემიერმა ერდოგანმა განაცხადა, რომ ამის თაობაზე შეთანხმება უკვე მიღწეულია. მაგრამ, ვაშინგტონი შეთანხმების არსებობას უარყოფს. შეთანხმება ჯერ რომ არ არის მიღწეული, ამას ისიც ადასტურებს, რომ თურქეთს ამერიკული ბომბდამშენებისთვის საჰაერო სივრცე ჯერ არ გაუხსნია. თურქეთი არც მალავს, რომ პენტაგონის თვითმფრინავებს თურქეთზე გადაფრენის ნებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მისცემს, თუ სამაგიეროდ ჩრდილოეთ ერაყში ჯარების შეყვანაზე ნებართვას მიიღებს. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ თურქეთმა ეს ნებართვის გარეშეც გააკეთოს. ანკარა ოფიციალურად აცხადებს, რომ იგი, უბრალოდ, იძულებული იქნება, ერაყშივე შეაკავოს ლტოლვილების ტალღა, რომელიც თურქეთს მიაწყდება.

ამერიკა აშკარად უხერხულ მდგომარეობაშია. ერაყთან ომში მისი მთავარი მოკავშირეები, ქურთები და ძველი რეგიონული პარტნიორები, თურქები ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ არიან დაპირისპირებულნი. ორივეს ინტერესების გათვალისწინება კი, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

არის რამდენიმე სადავო მომენტი. სადამის წინააღმდეგ ომში მხარდაჭერის სანაცვლოდ, აშშ ქურთებს ერაყის ფედერალიზაციასა და ქვეყნის მომავალ მთავრობაში ადგილებს ჰპირდება. უკვე შექმნილია 6-კაციანი "მრჩეველთა საბჭო", რომელმაც მთავრობა უნდა დააკომპლექტოს. მასში ქურთების ინტერესები ფართოდ არის წარმოდგენილი. ქურთთა ლიდერები, ტალაბანი და ბარზანი აცხადებენ, რომ ისინი დამოუკიდებლობას არ მოითხოვენ და მათთვის ავტონომიაც მისაღები იქნება. ანკარა კი აცხადებს, რომ მისთვის მისაღებია მხოლოდ ცენტრალიზებული ერაყი.

განხეთქილების მეორე მიზეზი მოსულისა და კირკუკის საკითხია. ამ ქალაქებს ერაყელი ქურთები ისტორიულად თავიანთ საკუთრებად მიიჩნევენ, თუმცა, ამჟამად ორივე ქალაქი სადამ ჰუსეინის კონტროლს ექვემდებარება. ანკარა შიშობს, და საფუძვლიანადაც, რომ ქურთები ამ ქალაქებზე კონტროლის დამყარებას შეეცდებიან. წინასწარი ინფორმაციით, მოსულსა და კირკუკში უკვე ბრუნდება ასეულობით ქურთი, რომლებმაც ეს ქალაქები 90-იანი წლების დასაწყისში დატოვეს. თუ ქურთებმა აღნიშნული ქალაქები ხელში ჩაიგდეს და ახლომდებარე ნავთობის საბადოებზე კონტროლის დამყარება შეძლეს, მაშინ ქურთულ სეპარატიზმს ფინანსური დასაყრდენი გარანტირებული ექნება.

შეერთებული შტატები ცდილობს, დაპირისპირებულ მხარეებს შორის შუამავლის როლი შეასრულოს. პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი ერაყში ზალმაი ხალილზადი ანკარაში ზედიზედ აწყობს შეხვედრებს ქურთებისა და თურქების მონაწილეობით. თუმცა, მოლაპარაკებების მიმდინარეობით ქურთები უფრო კმაყოფილნი ჩანან, ვიდრე თურქები. ქურთთა ლიდერები აშკარად პროამერიკულ პოზიციას იკავებენ და ბუშს ერაყელი ხალხის გამათავისუფლებლად და ახალ ჩერჩილად მოიხსენიებენ. ამ დროს, პრესა ავრცელებს ინფორმაციას, რომ ბუშისა და ერდოგანის ბოლო სატელეფონო საუბრის დროს, უკმაყოფილო ბუშმა თანამოსაუბრეს ყურმილი დაუკიდა და გენშტაბს ალტერნატიული საომარი გეგმის წარმოდგენა დაავალა, რომელიც თურქეთის ტერიტორიის გამოყენებას აღარ გულისხმობს.

ექსპერტები შიშობენ, რომ თუ თურქეთმა ქურთისტანში ჯარები შეიყვანა, ამას შეიძლება მოჰყვეს, ჯერ ერთი, თურქებსა და ქურთებს შორის შეიარაღებული დაპირისპირება და მეორე, ქურთების ტერიტორიებზე ირანის შეიარაღებული ძალების გამოჩენაც. ჯერჯერობით, ირანი აცხადებს, რომ იგი "აქტიურ ნეიტრალიტეტს" იცავს.

თუ თურქეთმა ამჯერად არ შეიყვანა ქურთისტანში ჯარები, იგი აუცილებლად შეეცდება ამის გაკეთებას მოგვიანებით, როდესაც დღის წესრიგში ომისშემდგომ ერაყში გაერო-ს ეგიდით საერთაშორისო სამშვიდობო ძალების განლაგების საკითხი დადგება.



ქურთები ომისთვის მზად არიან.

# ჩეჩნეთში რეფერენდუმი ჩატარდა



რუსი ჯარისკაცები რეფერენდუმზე.

კვირას, ჩეჩნეთში კრემლის მიერ ორგანიზებული რეფერენდუმი გაიმართა, რომელსაც მოსკოვი რეგიონში მშვიდობის დამყარების უმნიშვნელოვანეს კომპონენტად განიხილავს.

ხელისუფლება ხმის მისაცემი უბნების გახსნამდე ვარაუდობდა, რომ აღრიცხული 540 000 ამომრჩევლის უმრავლესობა რეფერენდუმში მონაწილეობას მიიღებდა და ახალი კონსტიტუციის მიღებაზე დათანხმდებოდა, რომლის თანახმად, რეგიონი "რუსეთის ფედერაციის განუყოფელი ნაწილია". სანაცვლოდ, პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ჩეჩნეთში მცხოვრებთ ფართო ავტონომია აღუთქვა.

ჩეჩნეთში საარჩევნო უბნები დილის 8 საათზე გაიხსნა და საღამოს რვაზე დაიხურა. რეფერენდუმამდე, საბოტაჟის თავიდან ასაცილებლად, რუსეთის უშიშროებისა და საპოლიციო ძალებმა მასშტაბური ოპერაცია ჩაატარეს.

რეფერენდუმის წინ მოსკოვმა უპრეცედენტო პროპაგანდას მიმართა. ხალხის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, ჩეჩნეთიდან მცირე რაოდენობის შეიარაღებული ძალები გაიყვანა კიდეც. სამხედროებმა ყველგან გააკრეს პლაკატები, რომელზეც დიდი ასოებით ეწერა: "ყველანი რეფერენდუმზე – ბოლო მოვუღოთ ომს!" ამავდროულად, რეფერენდუმის საწინააღმდეგო ყველა გამოსვლა აიკრძალა. ოფიციალური მონაცემების თანახმად, რეფერენდუმში მონაწილეობა მოქალაქეთა 79 პროცენტმა მიიღო.

დასავლურმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა დამკვირვებლების გაგზავნაზე უარი განაცხადეს, თუმცა, ბოლო მომენტში ეუთო მცირე ჯგუფის გაგზავნას მაინც დათანხმდა.

რეფერენდუმის დაწყებამდე, რუსეთის საზოგადოებრივმა ტელევიზიამ საგანგებოდ აჩვენა 46 ჩეჩენი მებრძოლი, რომელმაც ხელისუფლებას იარაღი ჩააბარა. სამაგიეროდ, მათ თავისუფლება და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება მიიღეს.

ასლან მასხადოვი რეფერენდუმს არ ცნობს და აცხადებს, რომ ომის შეჩერება მხოლოდ კრემლთან გამართული უშუალო მოლაპარაკებებით შეიძლება.

მოსკოვი მასხადოვთან მოლაპარაკებაზე კატეგორიულად ამბობს უარს და იმედოვნებს, რომ კვირას ჩატარებული რეფერენდუმი საშუალებას მისცემს ჩეჩნებს, ცოტა ხნის შემდეგ ადგილობრივი საკანონმდებლო ორგანო და პრეზიდენტი აირჩიონ.

რეფერენდუმის შედეგები დღეს გახდება ცნობილი.


რეფერენდუმში 79-მა პროცენტმა მიიღო მონაწილეობა.

# სლოვენიელებმა ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანება უნდა გადაწყვიტონ

გუშინ სლოვენიაში საყოველთაო რეფერენდუმი ჩატარდა. მოსახლეობას ორი მთავარი საკითხი უნდა გადაეწყვიტა: სურთ თუ არა ევროკავშირსა და ნატო-ში გაწევრიანება.

სლოვენია იმ ათ სახელმწიფოში შედის, რომლებიც 2004 წელს ევროკავშირის წევრები უნდა გახდნენ. ევროპის ოჯახში შესვლასთან დაკავშირებით, კანდიდატი ქვეყნებიდან პირველი რეფერენდუმი მალტაში ჩატარდა, რომლის მოსახლეობის უმრავლესობამ ევროკავშირში შესვლას დაუჭირა მხარი. ახლა ჯერი სლოვენიაზეა. დამკვირვებელთა და მიმომხილველთა ვარაუდით, სლოვენიის მოსახლეობაც ამ საკითხს დადებითად გადაწყვეტს.

რაც შეეხება ნატო-ში ქვეყნის შესვლას, სლოვენიის მოსახლეობა ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთგვაროვანია. ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების მომხრეების აზრით, ეს ხელს შეუწყობს ბალკანეთზე სტაბილურობას და ქვეყნის უსაფრთხოებას გაამყარებს. რაც შეეხება მოწინააღმდეგეთა პოზიციას, ეს, ძირითადად, ერაყში საომარი მოქმედების მიმდინარეობით არის განპირობებული. მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში ანტისაომარი და, შესაბამისად, ანტიამერიკული განწყობები საკმაოდ ძლიერია, რამაც, შესაძლებელია, ნატო-ში სლოვენიის გაწევრიანებაზე გარკვეული გავლენა მოახდინოს. მიუხედავად ამისა, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ რეფერენდუმზე დაყენებულ ორივე საკითხს მოსახლეობა დადებითად გადაწყვეტს.

ევროკავშირში წევრობის კანდიდატ ქვეყნებში უკვე დადგენილია რეფერენდუმების ჩატარების გრაფიკი: კვიპროსი - 30 მარტი, უნგრეთი – 12 აპრილი, ლიტვა - 10-11 აპრილი, სლოვაკეთი – 16-17 მაისი, პოლონეთი - 8 ივნისი, ჩეხეთი - 15-16 ივნისი, ესტონეთი - 14 სექტემბერი, ლატვია - 20 სექტემბერი.

# საპროტესტო დემონსტრაციები არ წყდება

გუშინ მთელ მსოფლიოში ათიათასობით ადამიანი გამოვიდა და ერაყში მიმდინარე ომი დაგმო, ხოლო რომის პაპმა იოანე პავლე მეორემ, კონფლიქტის დაწყების შემდეგ, პირველი კომენტარი გააკეთა და განაცხადა, რომ ეს ომი "კაცობრიობის მომავალს ემუქრება".

დემონსტრაციათა უმრავლესობა მშვიდობიან ხასიათს ატარებდა, თუმცა, ბრიუსელში აშშ-ს საელჩოსთან მივარდნილი ხალხის შესაჩერებლად პოლიციას წყლის ჭავლის გამოყენება მოუხდა. ათენში დემონსტრანტებმა შეერთებული შტატების საელჩოს ეზოში ორი "მოლოტოვის კოქტეილი" ისროლეს.

რომის პაპმა ვატიკანში გამოსვლისას აღნიშნა, რომ "როდესაც ერაყის მსგავსი ომი კაცობრიობის მომავალს ემუქრება, მაშინ აუცილებელია, მტკიცედ განვაცხადოთ: სამართლიანი საზოგადოების აშენების საშუალება მხოლოდ მშვიდობაა".

"ამ შემთხვევაში რაოდენობა ბევრს ნიშნავს", - აღნიშნა ბერლინელმა ჰაიდი შლოიტერმა. "ვისურვებდი, რომ ამერიკის პრეზიდენტმა მთელი მსოფლიოს ხმა შეისმინოს".

დემონსტრანტები გერმანიის სხვა ქალაქებშიც შეიკრიბნენ. შტუტგარტში, ამერიკული სამხედრო ბაზების წინ, პოლიციამ ხალხი დაშალა, რადგან ისინი მჯდომარე აქციის დაწყებას აპირებდნენ.

მადრიდში პოლიციამ ხალხის დასაშლელად რეზინის ტყვიები გამოიყენა. პოლიციის ინფორმაციით, ბარსელონაში, საპროტესტო აქციაში 150 000 ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. ოსლოში, შეერთებული შტატების საელჩოს წინ კი, დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის შეტაკება მოხდა.

"როიტერის" ცნობით, პარიზში 80 000 ადამიანი გამოვიდა ქუჩაში. თუმცა, ყველაზე შთამბეჭდავი და თეატრალიზებული დემონსტრაციები მაინც ავსტრალიაში მოეწყო. ათიათასობით ავსტრალიელი სიდნეის ქუჩებში გამოვიდა.


ომის საწინააღმდეგო დემონსტრაცია ავსტრალიაში.

ლონდონში უპრეცედენტო რაოდენობის დემონსტრანტმა მოიყარა თავი. ამის ერთ-ერთი მიზეზი ერაყიდან მოსული ცნობა გახდა, რომლის თანახმად, მოკავშირეების ორი შვეულმფრენის შეჯახების შედეგად, ექვსი ბრიტანელი ჯარისკაცი დაიღუპა, ერთი დღით ადრე კი რვა ბრიტანელი გარდაიცვალა.

"არ გვინდა სისხლისღვრა!" "თავისუფლება პალესტინას!" - გაჰყვიროდნენ დემონსტრანტები. ბევრის თქმით, ისინი შეაძრწუნა ბაღდადის მასირებულმა დაბომბვამ, რომელსაც ტელევიზიით უჩვენებდნენ.

"ჩემი მთავრობის ლიდერი მოქალაქეთა უმრავლესობას არ უსმენს და ერთადერთი ლეგიტიმური გზა, რომელიც ჩვენ დაგვრჩენია, არის ქუჩის პროტესტი", - განაცხადა ერთ-ერთმა დემონსტრანტმა "როიტერთან" საუბრისას.

გერმანიაში, სადაც მთავრობა ომს ეწინააღმდეგება, დაახლოებით, 40000-50000 კაცი შეიკრიბა ბერლინში. აღსანიშნავია, რომ აქ საპროტესტო აქციები, უკვე მესამე დღეა, მიმდინარეობს.

დემონსტრანტებს ბუშის ფიტული მიჰქონდათ, უკან ოთხფეხზე დამდგარი ავსტრალიის პრემიერ-მინისტრის გამოსახულება მიჰყვებოდა, რომელიც ფინიასავით მისდევდა ბუშს და კოცნიდა. ადელაიდაში ხალხს კუბოები მიჰქონდა.

"ავსტრალია პირველად იპყრობს სხვა ქვეყანას. ჩვენ აგრესორები გავხდით, ეს კი ტერორიზმის საფრთხეს გაზრდის", - ამბობს სამი შვილის მამა. "ვინ იქნება შემდეგი?" პაკისტანი, ინდოეთი, თუ ჩრდილოეთ კორეა? შესაძლოა, პანდორას ყუთი გაიხსნას".

ერაყის მმართველი პარტია "ბაასი" მსოფლიოში მიმდინარე საპროტესტო აქციებს სასწრაფოდ გამოეხმაურა და მათ მაღალი შეფასება მისცა. ერაყის ხელისუფლებამ ხალხის გამოსვლებს "დემოკრატიის ჭეშმარიტი გამოვლინება და "ამერიკის იმპერიალისტური რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული საერთო ძალისხმევა" უწოდა.


ავსტრალიელები საკუთარ პრემიერ-მინისტრს დასცინიან.

# პალესტინაში ახალი პოლიტიკური ერა დაიწყო


პალესტინის პირველი პრემიერ-მინისტრი მაჰმუდ აბასი.

ლევან ღირსიაშვილი

პალესტინის ავტონომიის ლიდერის იასირ არაფატის მოადგილემ მაჰმუდ აბასმა პრემიერ-მინისტრად დანიშვნაზე თანხმობა განაცხადა. ამის თაობაზე არაფატის მთავრობის წარმომადგენელმა ნაბლი აბუ რუდეინამ გაავრცელა ინფორმაცია. მისი თქმით, ბატონმა აბასმა ეს შეთავაზება მიიღო და ამით ყველა კონსტიტუციური პროცედურა, ფაქტობრივად, დასრულებულია.

როგორც ცნობილია, პალესტინის ავტონომიაში პრემიერ-მინისტრის თანამდებობის შემოღება ე.წ. ოთხეულის (აშშ, ევროკავშირი, გაერო და რუსეთი) მოთხოვნით განხორციელდა, მაგრამ უპირველესი როლი ამ საკითხში მაინც შეერთებულ შტატებს ეკუთვნის. პალესტინის ავტონომიის მმართველობაში მკვეთრი რეფორმების განხორციელების საკითხი სწორედ ვაშინგტონმა დააყენა.

გასულ სამშაბათს კი, პალესტინის პარლამენტმა პრემიერ-მინისტრის პოსტის შემოღებას მხარი დაუჭირა, რის შემდეგაც ავტონომიის ლიდერმა იასირ არაფატმა ამ თანამდებობაზე მაჰმუდ აბასის კანდიდატურა წარმოადგინა. მაგრამ, თავად აბასი თანხმობისგან თავს იკავებდა.

აშშ-ს პრზეიდენტმა ჯორჯ ბუშმა პალესტინის პარლამენტის გადაწყვეტილებას **"პროგრესული ნაბიჯი"** უწოდა. ამასთან დაკავშირებით, თავისი პოზიცია გამოთქვა დიდმა ბრიტანეთმაც. კერძოდ, საგარეო საქმეთა მინისტრი ჯეკ სტრო ამ თანამდებობაზე აბასის დანიშვნას მიესალმა და მას **"მშვიდობის ღირსეული დამცველი"** უწოდა. ჯეკ სტრომ, ბრიტანეთის მთავრობის სახელით, იმედი გამოთქვა, რომ მაჰმუდ აბასი საკმაოდ ძლიერი პრემიერ-მინისტრი იქნება.

უნდა ითქვას, რომ აშშ-ს და ისრაელის დაჟინებული მოთხოვნის თანახმად, პალესტინის ატონომიის პრემიერ-მინისტრს რეალური ძალაუფლება და ავტორიტეტი უნდა ჰქონოდა. სწორედ ასეთ პიროვნებად განიხილება მაჰმუდ აბასიც. მიუხედავად იმისა, რომ ის 67 წლისაა, საკმაოდ თანამედროვედ და პროგრესულად აზროვნებს და ებრაელი მოქალაქეების წინააღმდეგ ძალადობრივ და ტერორისტულ აქტებს მკვეთრად უპირისპირდება. აბასი ასევე დიდი პატივისცემით სარგებლობს თავად პალესტინელებს შორის და მას რეფორმატორის იმიჯი აქვს დამკვიდრებული. მაგრამ, ზოგიერთი ექსპერტი აცხადებს, რომ აბასს მოწინააღმდეგეებიც ჰყავს. ისინი, ძირითადად, ღაზას სექტორსა და იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე მოქმედი რადიკალური დაჯგუფებების აქტივისტები არიან.

ერთი რამე თავიდანვე აშკარაა, რომ მაჰმუდ აბასს ურთულეს პრობლემებთან პირისპირ შეჯახება მოუწევს. ახალი პრემიერ-მინისტრი იძულებული იქნება, რადიკალურ ისლამისტურ ჯგუფებს ანგარიში გაუწიოს და, ამიტომ, დასაწყისში ის, ალბათ, ერთგვარ დაბალანსების პოლიტიკას გატარებს.

პარლამენტის მიერ მიღებული კანონის თანახმად, მაჰმუდ აბასს მთავრობის ფორმირებისათვის სამკვირიანი ვადა აქვს, რის შემდეგაც მან პალესტინის პარლამენტს მინისტრების კადიდატურები უნდა წარუდგინოს დასამტკიცებლად.

მაჰმუდ აბასს პალესტინის ყოველდღიური პრობლემების გადაჭრა და მოგვარება აქვს დაკისრებული, მაშინ როდესაც პრეზიდენტ იასირ არაფატს უშიშროების ძალებზე მეთვალყურეობა და ისრაელთან სამშვიდობო მოლაპარაკებების წარმართვა ევალება. აქამდე კი ყველაფერი არაფატის დაქვემდებარებაში იყო მოქცეული. სწორედ ამიტომ, პალესტინელების ყოფითი პრობლემები, ეკონომიკური და სოციალური საკითხები დღემდე გადაუჭრელია. იასირ არაფატის მთელი ძალისხმევა უსაფრთხოების და საგარეო საკითხებისადმი იყო მიმართული.

**"ეს გარდაქმნების დასაწყისია. ეს მართლაც შემობრუნების წერტილია ახალი პოლიტიკური კულტურის ჩამოსაყალიბებლად. ახლა ჩვენ უკვე გვყავს კარგად გამოკვეთილი ხელისუფლება, სადაც ძალაუფლება გამიჯნულია,"** - განაცხადა პალესტინის პარლამენტის წევრმა ჰანან აშრავიმ.

მიუხედავად იმისა, რომ თავიდან იასირ არაფატი პრემიერ-მინისტრის თანამდებობის შემოღებას აშკარად ეწინააღმდეგებოდა, მან, საერთაშორისო ზეწოლის შემდეგ, ჩათრევას მაინც ჩაყოლა ამჯობინა. მისი წინააღმდეგობა კი შეიძლება სულ მარტივად აიხსნას. გარდა იმისა, რომ იასირ არაფატის უფლებები შეიკვეცა, პრემიერ-მინისტრი მაჰმუდ აბასი ბევრი მიმომხილველის მიერ არაფატის რეალურ შემცვლელად განიხილება.

# გაერო: ომი აშშ-ჩრდილოეთ კორეას შორის შესაძლებელია


ჩრდილოეთ კორეელი ჯარისკაცები.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სპეციალურმა წარმომადგენელმა შორეულ აღმოსავლეთში მორის სტრონგმა განაცხადა, რომ შესაძლებელია ომის დაწყება შეერთებულ შტატებსა და ჩრდილოეთ კორეას შორის, თუკი მხარეები არსებული კონფლიქტის გადაჭრას დიპლომატიური გზით ვერ შეძლებენ. მისი თქმით, ამ ეტაპზე ომის არავითარი საჭიროება არ არსებობს, მაგრამ შეიარაღებული კონფლიქტი, შესაძლოა, დაიწყოს, თუკი ვაშინგტონი და ფხენიანი მოლაპარაკებათა მაგიდას დაუყოვნებლივ არ მიუსხდებიან.

პარალელურად, ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებამ სამხრეთ კორეასთან ეკონომიკურ თანამშრომლობაზე მოლაპარაკების დაწყება გადადო, რომელიც მომავალ კვირას იყო დაგეგმილი. ფხენიანმა ეს ნაბიჯი სეულის მტრული განწყობით ახსნა. გასულ ხუთშაბათს სამხრეთ კორეის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იმ დროს, როდესაც აშშ ერაყში ომითაა დაკავებული, შესაძლოა, ფხენიანმა ამით ისარგებლოს და კორეის ნახევარკუნძულზე დაძაბულობის ესკალაციის პროვოცირება მოახდინოს.

## მოკლედ

**თბილისი.** ფრაქცია "აღორძინების" საკანონმდებლო ინიციატივით, "სპეციალური ეკონომიკური ზონების შესახებ" მომზადებული კანონპროექტის განხილვას საქართველოს პარლამენტი მომავალი კვირიდან დაიწყებს. დღეს კანონპროექტს პარლამენტის გადასახადებისა და შემოსავლების კომიტეტი განიხილავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ოფიციალური შეთანხმება საქართველოში დისლოცირებული რუსეთის სამხედრო ბაზების მოსამსახურეებისათვის ხელფასების ქართულ ლარებში გაცემის შესახებ ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტ ივანე ვახტანგიშვილსა და რუსეთის ცენტრალური ბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ოლეგ მოჟაისკოვს შორის ორშაბათს გაფორმდება. მხარეები შეთანხმებას საკორესპოდენტო ანგარიშების გახსნისა და საკასო მომსახურების შესახებაც გააფორმებენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის ტერიტორიაზე რკინიგზის აღდგენის სამუშაოების ჩასატარებლად რუსეთის ფედერაციიდან შემოყვანილია სარკინიგზო ჯარის სამშენებლო ბატალიონის 100-კაციანი ქვედანაყოფი. სამუშაოების წარმოება, რომელთა მიზანია უმოკლეს ვადაში ოჩამჩირე-სოჭის მონაკვეთზე სამგზავრო და სატვირთო მატარებლების მოძრაობის დაწყება, ოჩამჩირის სალიანდაგო დისტანციის ბრიგადას (უფროსი იროდიონ დოჩია) დაეკისრა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ეკონომიკის ექსპერტის ლადო პაპავას აზრით, ერაყში მიმდინარე ომის გამო, საქართველოში ნავთობპროდუქტებზე ფასების ზრდის ობიექტური საფუძველი არ არსებობს, თუმცა ნავთობის ხელოვნური გაძვირება არ გამოირიცხება. როგორც პაპავამ განაცხადა, არსებობს ალბათობა, რომ "ვილაცეებმა, პირადი გამდიდრების მიზნით, ნავთობის ფასების ზრდას პროვოცირება გაუკეთონ". სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური მონაცემებით, გასულ კვირას თბილისში ნავთობის ფასი 25 თეთრით გაიზარდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 2001 წელს თბილისში მოქმედი კერძო სასტუმროებიდან სხვადასხვა გადასახადის სახით ბიუჯეტს არანაკლებ 15 მილიონი ლარი უნდა მიეღო, ფაქტობრივად კი, ეს თანხა ბიუჯეტში არ შესულა, - ამ დასკვნის საფუძველს კონტროლის პალატას 2001-2002 წლის შემოწმების შედეგები აძლევს. თანხის ფაქტობრივი ამოღების მიხედვით, საქართველოს კურორტებზე 2001 წელს 7.600-მა კაცმა დაისვენა, მაშინ როდესაც ზამთრის სეზონზე დამსვენებელთა რიცხვი მხოლოდ ბაკურიანში 17 ათასს აღწევს. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აკრეფილმა გადასახადის თანხამ 32 ათასი ლარი შეადგინა. ეს მაშინ, როდესაც მხოლოდ ქობულეთში დამსვენებელთა რიცხვი 30 ათას კაცს აღწევს. ასეთ შემთხვევაში კი, საკურორტო გადასახადი, დაახლოებით, 300 ათასი ლარი უნდა ყოფილიყო. კონტროლის პალატა მიიჩნევს, რომ სწორი ადმინისტრირების პირობებში, საკურორტო და სასტუმრო გადასახადები უახლოეს მომავალში, შესაძლოა, სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების სერიოზულ წყაროდ იქცეს. **მედია-ნიუსი**



## კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საველე მეთვალყურე

კომპანია "ბი-პი" პროექტების მიზნების განსახორციელებლად და კომპანია "ბი-პი"-ს მენეჯმენტის კონტროლის ქვეშ შ.პ.ს. IRA-ს სურს სამუშაოდ აიყვანოს შესაფერისი კვალიფიციური პირი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საველე მეთვალყურის თანამდებობაზე.

**სამუშაოს აღწერა:**

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საველე მეთვალყურე უზრუნველყოფს, რომ მშენებლობასთან დაკავშირებული ყველა საქმიანობა ასახავდეს პროექტის კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის გეგმის (CHMP) მიზნებს, კონტრაქტის გარემოს დაცვის პირობების მიხედვით. კერძოდ, მეთვალყურე უხელმძღვანელებს არქეოლოგიური ძეგლების გამოკვლევას და ამასთან დაკავშირებულ საქმიანობას მშენებლობის რაიონებში მე-4 ფაზის პროექტის კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის გეგმის (CHMP) შესაბამისი პროცედურების თანახმად. მეთვალყურე ჩააბარებს ანგარიშს კომპანია "ბრითიშ პეტროლეუმს" და დაეხმარება მას მილსადენის პროექტის განხორციელებაში უსაფრთხოდ და არქეოლოგიურ ადგილებსა და ძეგლებზე მინიმალური ზემოქმედებით. მეთვალყურე გარეშე სააგენტოებს მხოლოდ კომპანია "ბრითიშ პეტროლეუმის" ნებართვით დაუკავშირდება.

**ფუნქცია და პასუხისმგებლობა:**

ფუნქციები შეიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება:

- მიწაზე წარმოებული მშენებლობის საქმიანობის შემოწმება, რომელიც გამოააშკარავებს მანამდე დაუდგენელ არქეოლოგიურ სიმდიდრეს, მიღებულ უარყოფით და დადებით მონაცემებზე ყოველდღიური ანგარიშების მომზადება
- სამშენებლო საქმიანობის და ძეგლთა დაცვის პროცედურების შესაბამისობის მეთვალყურეობა და ყოველდღიური ანგარიშები
- ადგილის ზედამხედველის მეშვეობით რეკომენდაციები მშენებლობის კონტრაქტორისთვის და/ან გარემოს დაცვის საველე ზედამხედველისთვის, რამაც შეიძლება ხელი შეუწყოს კულტურული მემკვიდრეობის მენეჯმენტის გეგმის (CHMP) მიზნების მიღწევას
- მონაწილეობა გარემოს დაცვის საველე და სოციალური ზედამხედველის მიერ შემუშავებულ სასწავლო პროგრამაში
- პროექტის საველე პერსონალის ინსტრუქციებით უზრუნველყოფა კულტურული მემკვიდრეობის საკითხებში გასარკვევად და სამოქმედოდ
- მონიტორინგის ყოველდღიური საქმიანობის და სპეციალური ანგარიშების მიმდინარე აღრიცხვის წარმოება
- საქმის კურსში ჩააყენონ ზედამხედველი, რომ საჭიროა ყოველგვარი შეუსაბამობის შესახებ კონტრაქტორის გაფრთხილება, კონტრაქტის პირობების მიხედვით
- მოთხოვნის შესაბამისად ხელმძღვანელობა სპეციფიური/ადგილობრივი მარშრუტის საკითხებთან დაკავშირებით
- კონტრაქტორისთვის კულტურული მემკვიდრეობის სპეციალური საკითხების გაცნობა და პროექტის კულტურული მემკვიდრეობის საკითხებთან დაკავშირებული სპეციალური ინსტრუქცებისა და სახელმძღვანელო მასალის მომზადებაში ხელის შეწყობა
- ხელის შეწყობა შესაბამისი გამაფრთხილებელი აზრების მომზადებასა და განთავსებაში, არქეოლოგიური სიმდიდრის და ისტორიული მონუმენტების შემოღობვაში
- სასწრაფო მნიშვნელოვანი შეტყობინების მომზადება და ფაქსით გაგზავნა CAS-ში და ძეგლთა დაცვის დეპარტამენტში მნიშვნელოვანი ბოლო აღმოჩენების და ძეგლების დადგენის თაობაზე, და ამ რაიონის გამოკვლევის კოორდინირება საქართველოს ხელისუფლების ორგანოების მიერ.
- შემთხვევითი აღმოჩენების მნიშვნელობის საწყისი მიმოხილვის წარდგენა.

**მოთხოვნები:**

- კვირაში ექვსი დღე საველე ბანაკებში გატარებისთვის მზადყოფნა
- უპირატესობა ეძლევა ადრინდელ გამოცდილებას მილსადენის მშენებლობის ტექნოლოგიაში
- ურთიერთობის კარგი უნარი
- ინგლისურის თავისუფალი ცოდნა (წერილობითი და ზეპირი ანგარიშები ინგლისურად)
- რეგიონის არქეოლოგიის, ისტორიის და გეოლოგიის ცოდნა
- არქეოლოგიური კვლევებისა და ძიების გამოცდილება
- ამგვარი საქმიანობის მინიმუმ 3 წლიანი გამოცდილება
- კონტრაქტორის თანამშრომლებთან მჭიდრო ურთიერთობის სურვილი, კონტრაქტორის საქმიანობაზე ზეგავლენის უნარი
- ორგანიზებული და პრაქტიკული
- კომპანია "ბრითიშ პეტროლეუმის" პრინციპების და ძირითადი ღირებულებების გაცნობიერება და მათი განხორციელებისთვის მზადყოფნა.

**განცხადების შეტანა / დამატებითი ინფორმაცია**

თუ მიგაჩნიათ, რომ გაქვთ შესაბამისი უნარი და გამოცდილება ამ ფუნქციების შესასრულებლად, გთხოვთ წარადგინოთ თქვენი CV და შეავსოთ განაცხადის შესაბამისი ფორმა, რომელიც შეიძლება მიიღოთ ქვემოთ მდებარე მისამართზე. განაცხადის მიღების ბოლო დღე 18:00, პარასკევი, 28 მარტი, 2003.

საქართველოს მოქალაქეობა აუცილებელია.

**მიღებული იქნება ყველა განაცხადი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველა კანდიდატი გავა ინტერვიუზე და მიიღებს სამუშაოს.**

**კადრების განყოფილება**

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია
კომპანია "ბრითიშ პეტროლეუმ" საქართველო
საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა 38


## "კავკასიონის" აღდგენა ორი დღით გადაიდო

მაია ურუშაძე

რუსეთ-საქართველოს დამაკავშირებელი 500-კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი, რომლითაც საქართველოში რუსული ელექტროენერგიის იმპორტი ხორციელდება, ამჯერადაც, მატერიალური გამორჩენის მსურველ მოსახლეობას "ემსხვერპლა".

ხაზი 21 მარტს დაზიანდა, როცა რუსეთში, ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორიაზე, ქალაქ ზელინჩუკთან ახლოს, "კავკასიონის" 262-ე ანძა წაიქცა და რუსეთიდან 400 მეგავატი სიმძლავრის ელექტროენერგიის იმპორტი შეწყდა.

რაც შეეხება ანძის წაქცევის მიზეზს, ის ერთობ ბანალურია: როგორც გაირკვა, ადგილობრივმა მოსახლეობამ ამ 20-ტონიან კონსტრუქციას საყრდენი კუთხოვანები მოხსნა და საკუთარი სახლების მშენებლობისთვის გამოიყენა.

გაძარცული ანძის აღდგენას საქართველო-რუსეთის ერთობლივი საწარმოს "საქრუსენერგოს" სარემონტო ბრიგადა აწარმოებს. "საქრუსენერგოს" გენერალური დირექტორის, შოთა მაისურაძის განცხადებით, წაქცეული ანძის ნაცვლად სპეციალისტებმა "დროებითი ხიდის" დამონტაჟება სცადეს, მაგრამ ამაოდ: სუსტმა კონსტრუქციამ ვერ გაუძლო და ანძის თავიდან დამონტაჟება გახდა აუცილებელი. შედეგად, "კავკასიონის" აღდგენა ორი დღით გადაიდო. მაისურაძე ვარაუდობს, რომ ელექტროგადამცემი ხაზის აღდგენა ოთხშაბათამდე მოხერხდება. მანამდე კი, საქართველოს ენერგოსისტემას რუსეთიდან შემოტანილი ელექტროენერგიის გარეშე მოუწევს მუშაობა. ამის გამო, თბილისის იმ უბნებში, რომელთაც სომხეთიდან იმპორტირებული ელექტროენერგია არ მიეწოდებათ, კვლავ მკაცრი გრაფიკი მოქმედებს - დღის საათებში დენი მხოლოდ სასიცოცხლო დანიშნულების ობიექტებს აქვთ.

## თბილისს გაზი არ შეუწყდება

გუშინ, დილიდან, ქალაქის მილსადენებში გაზის წნევა დაეცა და რამდენიმე რაიონს გაზმომარაგება საერთოდ შეუწყდა. დაახლოებით, შუადღისთვის, "თბილგაზმა" გაზის ტრანსპორტირების კომპანიას გაჩიანის სადგურიდან გაზის წნევის გაზრდა მოსთხოვა. "თბილგაზის" ტექნიკური დირექტორის, თენგიზ არშილავას ინფორმაციით, დედაქალაქის მოსახლეობისთვის გაზის საჭირო რაოდენობის მიწოდება გუშინ საღამომდე გახდა შესაძლებელი. **"გაზის მოწოდებაში შეფერხებები არ იქნება,"** – დაგვპირდა არშილავა.

რაც შეეხება თებერვალში მოხმარებული გაზის საფასურს, "თბილგაზის" გენერალური დირექტორის, ვახტანგ ცაავას განცხადებით, უკვე გადახდილია. ამისათვის მერიას ისევ კომერციული კრედიტის აღება მოუხდა. შეთანხმებული 15 რიცხვის ნაცვლად, როგორც ყოველთვის, გაზის საფასური ამ თვეშიც დაგვიანებით – 19 მარტს გადაირიცხა. ეს ოთხდღიანი შეღავათი ქართულმა მხარემ "იტერას" მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, გენადი სკიდანოვს თბილისში ვიზიტის დროს "გამოსთხოვა". **"ახლა გადასახდელი დაგვრჩა 300 ათასი ლარი, რომელსაც ამ კვირაში გავისტუმრებთ. ეს მას შემდეგ მოხერხდება, რაც ცენტრალური ხაზინა საბიუჯეტო ორგანიზაციების დავალიანებას – 500 ათას ლარს დაფარავს,"** – გვაცნობა გუშინ "თბილგაზის" გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ცაავამ.

*"24 საათი"*

## „ხელფასებისა და პენსიების ზრდა 2005-2006 წლამდე შეუძლებელია"

სოფიკო ოხანაშვილი

*"გაერთიანებული დემოკრატების" ინიციატივა – მინიმალური ხელფასის 115 ლარამდე გაზრდა - პოზიცია-ოპოზიციის დაპირისპირების კიდევ ერთ მწვავე საკითხად იქცა. ინიციატორების მთავარ არგუმენტს ის წარმოადგენს, რომ ამ სოციალური ვალდებულების განსახორციელებლად მთავრობას დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიება არ სჭირდება. ისინი მინიმალური ხელფასის 115 ლარამდე გაზრდის შესაძლებლობას 2003 წლის ბიუჯეტის გეგმაშივე ხედავენ. ხოლო მთავრობის კონტრარგუმენტის თანახმად, ასეთი ვალდებულების აღებას შედეგად მაკროეკონომიკური დესტაბილიზაცია, კერძოდ, ინფლაცია მოჰყვება. მთავრობა ასევე არ იზიარებს "გაერთიანებული დემოკრატების" არგუმენტს, რომ "115 ლარი" მათემატიკურ და ეკონომიკურ გათვლებს ეფუძნება. პრეზიდენტის ვეტოს მიუხედავად, გამორიცხული არ არის, რომ "გაერთიანებული დემოკრატები" თავის ინიციატივას საკანონმდებლო ორგანოს კვლავ შესთავაზებენ.*

*"24 საათმა" გადაწყვიტა, ამ სადავო საკითხის შესახებ ფინანსთა ექსმინისტრს ზურაბ ნოღაიდელს გასაუბრებოდა. მისი თქმით, მთავრობას, რომელსაც მილიონობით ძველი დავალიანება გააჩნია, ახალი სოციალური ვალდებულების აღების უფლება არა აქვს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს დაპირებაც, სხვა ადრე აღებული ვალდებულებების მსგავსად, შეუსრულებელი დარჩება. ნოღაიდელი მთავრობას ორი გადაწყვეტილების მიღებას სთავაზობს – საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის დავალების თანახმად, ბიუჯეტის სახარჯო ნაწილის 70,7 მილიონი ლარით შემცირებასა და ბიუჯეტის შესწორების შედეგად, შარშანდელთან შედარებით, დამატებითი რესურსებით გრძელვადიანი ეფექტის მომტანი რეფორმებისა და ძველი დავალიანებების დაფინანსებას.*


ზურაბ ნოღაიდელი

**- რამდენად რეალურია "გაერთიანებული დემოკრატების" ინიციატივა მინიმალური ხელფასის 115 ლარამდე გაზრდის შესახებ?**

- იმ დროს, როცა სახელმწიფოს ისედაც ამდენი ვალდებულება გააჩნია - 240-250 მილიონი ლარის ოდენობის სახელფასო, საპენსიო და სხვა დავალიანებები, - დამატებითი სოციალური ვალდებულების აღების უფლება მას არა აქვს. უბრალო მიზეზის გამო - დაპირებას ვერ შეასრულებს. ამ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, ყველაზე მთავარი, რაც მოხდებოდა, ალბათ ის არის, რომ ეს გადაწყვეტილება, უბრალოდ, ქაღალდზე დარჩებოდა. დარწმუნებული ვარ, დღევანდელი მთავრობა ვერ შეძლებს 115-ლარიანი ხელფასების გაცემას, რადგან მას უკვე დღეს დაგეგმილი სოციალური ვალდებულებების შესრულებაშიც საკმაოდ სერიოზული პრობლემები გააჩნია. თუმცა, ჩემთვის მიუღებელია მინისტრების შეფასებაც. მათი თქმით, მინიმალური ხელფასის 115 ლარამდე გაზრდა მაკროეკონომიკურ დესტაბილიზაციას გამოიწვევს. ეს აბსოლუტურად არ არის სწორი, რადგან ცალკე აღებული ასეთი გადაწყვეტილება მაკროეკონომიკური პარამეტრების მაჩვენებლების დესტაბილიზაციას ვერ გამოიწვევს, თუ ამის პარალელურად, სხვა დამატებითი გადაწყვეტილებებიც არ განხორციელდა. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, ეროვნულ ბანკს საკმარისად გააჩნია მექანიზმები, რომ ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები, ამ შემთხვევაში - ინფლაციის დონე და გაცვლითი კურსი, შეინარჩუნოს.

ამას ემატება ის ფაქტორიც, რომ, ახლანდელი მონაცემებით, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულება საკმაოდ ცუდია. ბიუჯეტი არარეალისტურია, მასში ბევრი ისეთი ვალდებულებაა გათვალისწინებული, რომელიც ვერ შესრულდება. ამ მხრივ, 115 ლარსა და მთავრობის მიერ შემოთავაზებულ იმ ვალდებულებებს შორის, რომელიც წლევანდელ ბიუჯეტშია გათვალისწინებული, სერიოზული განსხვავება არ არის. ეს ისეთი ვალდებულებებია, რომლებიც არ უნდა ყოფილიყო აღებული. ახლაც ვნანობ, რომ შარშან მასწავლებლებისთვის ხელფასების 30-პროცენტიან მომატებას ანუ სახელმწიფოს მხრიდან დამატებითი სახელფასო ვალდებულების აღებას არ აღვუდექი წინ. მთავრობამ დამატებითი ვალდებულება აიღო მაშინ, როცა უშუალოდ ამ მასწავლებლების დავალიანება ჰქონდა. ასეთ გადაწყვეტილებებს უფრო მკაცრად, ულმობლად და სასტიკად უნდა შევწინააღმდეგებოდი.

**- ასეთ არარეალისტურ ვალდებულებებს რამდენად ხშირად იღებს სახელმწიფო?**

- საკმაოდ ხშირად იღებდა ადრე და, შეიძლება, ჩემგან არაა მთლად კორექტული ამ თემაზე საუბარი, მაგრამ 2000 წლის მაისიდან - 2002 წლის ჩათვლით, გვეგონა, რომ ეს ტენდენცია სამუდამოდ მოვსპეთ, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორც 2003 წლის ბიუჯეტიდან ჩანს, ჩვენ დავუბრუნდით ამ ძველ ტენდენციას და შედეგიც სახეზეა.

**- რა არის ამის მიზეზი?**

- ამ კითხვაზე რომ გიპასუხოთ, პოლიტიკური კომენტარი უნდა გავაკეთო, რაც არ მინდა.

**- რამ განაპირობა მინიმალური ხელფასის 115 ლარამდე გაზრდის საკითხის დღის წესრიგში დაყენება?**

- მარტივად რომ გიპასუხოთ, ამის მიზეზი ოპოზიციას მთავრობის არასწორმა პოლიტიკამ მისცა. კერძოდ, ერთი მხრივ, ბიუჯეტი იყო მკვეთრად გაზრდილი, გაბერილი და, პრაქტიკულად, არარეალისტური. ახლა ამას ყველა ვხედავთ. მეორე მხრივ კი, შარშანდელთან შედარებით, არსებული ყველა დამატებითი რესურსი არაეფექტური ხარჯების დასაფინანსებლად იყო მიმართული. რა თქმა უნდა, პრიორიტეტები მთავრობის განსასაზღვრია, მაგრამ ბიუჯეტის დაგეგმვისას არ იყო გათვალისწინებული არც გრძელვადიანი ეფექტის მომტანი რეფორმების დაფინანსება და არც დავალიანებების გასტუმრება. სწორედ, ამ გარემოებამ მისცა ოპოზიციას საფუძველი, რომ ეს საკითხი დაეყენებინა. მათ სხვა ხარჯებზე მიმართული დამატებითი რესურსების ხელფასების მომატებაზე გადმომისამართება მოითხოვეს.

**- "გაერთიანებული დემოკრატები" აცხადებენ, რომ 2003 წლის ბიუჯეტი, ყველანაირი დამატებითი ფინანსური ვალდებულებების აღების გარეშე, იძლევა მათი ინიციატივის განხორციელების საშუალებას...**

- ამ საკითხის გარშემო გამართული დისკუსიების დროს გამოთქმული შეხედულებებიდან ყველაზე სწორი ლადო პაპავას მოსაზრებაა, რასაც მე თავიდან ბოლომდე ვიზიარებ. ამ პოზიციის თანახმად, ყველა დამატებითი ფინანსური რესურსი, რაც 2002 წელთან შედარებით, მთავრობას 2003 წელს გააჩნია, უპირველეს ყოვლისა, გრძელვადიანი ეფექტის მომტანი რეფორმებისა და რაც მთავარია, ადრე დაგროვილი დავალიანებების დასაფინანსებლად უნდა იყოს მიმართული. სამწუხაროდ, მთავრობას ეს არგუმენტი არ აქვს. პრაქტიკულად, ამ დისკუსიაში მთავრობა უარგუმენტოდ შევიდა. 2003 წლის ბიუჯეტში დაგროვილი დავალიანებების გასტუმრებისთვის მხოლოდ 24 მილიონი ლარია გათვალისწინებული. ამ თანხით მთავრობას მხოლოდ შარშან დაგროვილი დავალიანებების გასტუმრება აქვს ჩაფიქრებული. ბუნებრივია, ეს არ არის კარგი. ამას ემატება საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიის მემორანდუმის შინაარსიც. სავალუტო ფონდმა მთავრობას არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გამოსასწორებლად მთელი რიგი დავალებები მისცა. მათ შორის, სავალუტო ფონდის მისიამ მთავრობას ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის 70,7 მილიონი ლარით შემცირება დაავალა, რაც, ჩემი აზრით, ერთ-ერთი ყველაზე მსუბუქი შემოთავაზებაა. პრაქტიკულად, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა დაინდო საქართველო, რადგან შესაძლებელი იყო, რომ მისიას ბიუჯეტში ბევრად უფრო დიდი შესწორებების განხორციელება მოეთხოვა. თუ საქართველოს მთავრობა, 70,7 მილიონ ლართან დაკავშირებით, შესაბამის ღონისძიებებს დროულად არ განახორციელებს და ბიუჯეტს არ მოიყვანს იმ დისკუსიებთან შესაბამისობაში, რომლებიც ახლა მიმდინარეობს საქართველოში, დარწმუნებული ვარ, რომ ფონდის შემდეგი მემორანდუმი, ციფრებითაც და შინაარსითაც, ბევრად უფრო რთული იქნება.

წელს საგარეო ვალების ძირითადი თანხის გადახდის წელია. ჩვენთვის პარიზის კლუბში საგარეო ვალების რესტრუქტურიზაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ამიტომ, ჩემი აზრით, სავალუტო ფონდს საქართველოსთვის არასდროს ჰქონია ისეთი მნიშვნელობა, როგორც დღეს. ჩემი აზრით, უმჯობესია მთავრობამ, ერთი მხრივ, 70,7 მილიონი ლარით შეამციროს ბიუჯეტის სახარჯო ნაწილი, მეორე მხრივ კი, შესწორების შემდეგ, 2002 წელთან შედარებით დარჩენილი დამატებითი რესურსები შიდა ვალების დასაფარავად და გრძელვადიანი ეფექტის მომტანი რეფორმების დასაფინანსებლად მიმართოს. სხვა ფული საქართველოში არ არის, ამიტომ ზედმეტი დაპირება, უბრალოდ, ცარიელ დაპირებად დარჩება და არ დაფინანსდება. მიმდინარე წლის ბიუჯეტშიც არის პროგრამები, რომლებიც უბრალოდ არ დაფინანსდება - ბიუჯეტს ეს შემოსავლები არ ექნება.

**- რა შემთხვევაში შეეძლება საქართველოს დამატებითი სოციალური ვალდებულებების აღება?**

- ქვეყანამ ახალი სოციალური ვალდებულებები უნდა აიღოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ადრე აღებული ვალდებულებების ანუ ძველი დავალიანებების დიდი ნაწილი მაინც შესრულებული ექნება. ამ ეტაპზე კი, ამ გადაწყვეტილებით, უბრალოდ, ახალი დავალიანებები დაგროვდება. მე ამაში ეჭვი არ მეპარება.

ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად მთავრობამ რამდენიმე კონკრეტული ნაბიჯი უნდა გადადგას. პირველ რიგში, სახელმწიფომ უახლოეს პერიოდში უნდა შეასრულოს საერთაშორისო სავალუტო ფონდის დავალება და ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 70,7 მილიონი ლარით შეამციროს. ამის გარდა, მთავრობამ კიდევ მთელი რიგი სტრუქტურული ვალდებულებებიც უნდა შეასრულოს. პირველ რიგში, ბოლომდე უნდა მიიყვანოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ კანონი, რომელიც პარლამენტში ზაფხულის შემდეგ დევს და მხლოდ პირველი მოსმენა აქვს გავლილი. ეს ერთ-ერთი მთავარი, ფუნდამენტური დოკუმენტი იქნება საბიუჯეტო ურთიერთობების მოწესრიგებისთვის. საგარეო ვალების ძირითად ნაწილთან დაკავშირებული წლევანდელი ვალდებულებების შესრულების შემდეგ, მთავრობის მთელი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს ორი მთავარი ამოცანის გადასაჭრელად: 1) 2003 წლის საპარლამენტო და 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნების სამართლიანად ჩატარება და 2) ძირითად პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ საკითხებზე შეთანხმება.

ამ მთავარი ამოცანის შესრულების შემდეგ კი, პოლიტიკური ძალები კონკრეტულ საკითხებზე უნდა შეთანხმდნენ. ვთქვათ, როგორი უნდა იყოს მონეტარული პოლიტიკა უახლოესი სამი წლის განმავლობაში. ჩემი აზრით, ეს ერთ-ერთი ყველაზე ადვილად შესათანხმებელი საკითხია. მეორე მხრივ, აუცილებელია, რომ საზოგადოება შეთანხმდეს, როგორი უნდა იყოს საგადასახადო სისტემა. საგადასახადო ადმინისტრირების გაუმჯობესება და დაგეგმილი გადასახადების ამოღება აუცილებელია. ეს არის პრინციპული საკითხი, რომ საბოლოოდ გადავწყვიტოთ, გვინდა თუ არა უკვე დაგეგმილი გადასახადების ამოღება. დარწმუნებული ვარ, რომ გადასახადების ამოღებით მნიშვნელოვნად უფრო ადრე გაიზრდება შემოსავლები, ვიდრე სხვა შემთხვევაში, უფრო მეტიც, ამოღებული გადასახადები დღის წესრიგში სოციალური ვალდებულებების ზრდის საკითხსაც დასვამს. დღეს კი ასეთი სურათი გვაქვს: მსხვილი ბიზნესი, ფაქტობრივად, წელს გადასახადებს ბიუჯეტში არ იხდის. შეიძლება, შარშანაც არ იკლავდა თავს, მაგრამ წელს საერთოდ არ იხდის და ბიუჯეტის პარამეტრების შესრულება, ძირითადად, მცირე და საშუალო ბიზნესზე მოდის.

აი, ეს არის წელს შესასრულებელი ძირითადი ამოცანები. თუ მთავრობა ამ სცენარით იმოქმედებს, მაშინ სახელმწიფოს დამატებითი სოციალური ვალდებულებების აღება ბევრად უფრო სწრაფად შეეძლება, სხვა შემთხვევაში კი - ძალიან გვიან.

ვფიქრობ, საქართველოში სერიოზული სოციალური ვალდებულებების – ხელფასებისა თუ პენსიების ზრდაზე საუბარი 2005-2006 წლამდე ჩვენ არ შეგვეძლება. არა მგონია, რომ ეს პროცესები უფრო ადრე დაიწყოს. ამის თქმის საფუძველს დღეს არსებული სიტუაცია მაძლევს.

**- რამდენად შესაძლებელია ამ გეგმის განხორციელება არსებული საგადასახადო სისტემის პირობებში? თუ ეს სისტემა სერიოზულ კორექტირებას საჭიროებს?**

- მე ვფიქრობ, საგადასახადო სისტემაში საკმაოდ სერიოზული და ფუნდამენტური ცვლილებების შეტანა შეიძლება და აუცილებელიც კი არის. სხვათაშორის, ჩვენ ამ თემაზე ვმუშაობთ. თუმცა, აღვნიშნავ, რომ ისეთი ცვლილებები უნდა განხორციელდეს, რომელიც საგადასახდო ტვირთის სიმძიმეს მცირე ბიზნესიდან დიდ და მსხვილ ბიზნესზე გადაიტანს. თუ შემცირდება ან გამარტივდება მოგების, საშემოსავლო და სოციალური გადასახადები, ამ შემთხვევაში გადასახადები აქციზზე უნდა გაიზარდოს. ცვლილებები ისეთნაირად უნდა განხორციელდეს, რომ საგადასახადო ტვირთი დარჩეს იგივე, მაგრამ ისე გადანაწილდეს, რომ მსხვილი ბიზნესის ხარჯზე მცირე და საშუალო ბიზნესს ტვირთი შეუმსუბუქდეს.

ძალიან სერიოზული არჩევანის წინაშე ვდგავართ, როცა ვირჩევთ საგადასახადო სისტემას. ორი ვარიანტია: პირველი, რომ საქართველოს ექნება დაბალი ანუ ლიბერალური გადასახადები, მაგრამ, იმავდროულად, მინიმალური სოციალური ვალდებულებები და მინიმალური ხარჯები, ან საქართველოს ექნება შედარებით უფრო მეტი დაბეგვრის არეალი და ჩვენს პირობებში მაქსიმალურად მეტი სოციალური ვალდებულებები. ჩვენ არ გვაქვს არჩევანი, რომელიც ყველაზე მეტად გვინდა – გვქონდეს მაქსიმალურად ნაკლები გადასახადები და მაქსიმალურად დიდი სოციალური ვალდებულებები. ამის ვარიანტი არ არსებობს. ეს ზღაპარია.

**- რაც შეეხება ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტს...**

- საგადასახადო კოდექსი, რომლის განხილვასაც ახლა ითხოვენ, ბევრად უფრო სერიოზულ დესტაბილიზაციას მოიტანს შემოსავლებში და ბიუჯეტში, ვიდრე 115-ლარიანი ხელფასი. ასეთი საგადასახადო სისტემა, დაახლოებით, 250-280 მილიონი ლარის შემოსავლების კლებას გამოიწვევს. თან ეს შემოსავლები ბიუჯეტს მსხვილი ბიზნესიდან მოაკლდება. პრაქტიკულად გამოდის, რომ საქართველოს პენსიონერები, გაჭირვებული ფენები და საბიუჯეტო ორგანიზაციები მსხვილი ბიზნესისთვის, დაახლოებით, 250-280 მილიონი ლარის სუბსიდიას გააკეთებენ. არ მგონია, რომ ეს სწორი გადაწყვეტილება იყოს. არ მგონია, რომ საქართველოს ამ გადაწყვეტილების განხილვის უფლება აქვს, ვისი ინიციატივაც არ უნდა იყოს ეს, ვინც არ უნდა უჭერდეს ამას მხარს. თუმცა არც ის მგონია, რომ ეს საგადასახადო კოდექსი დაამტკიცონ. თურმე, როცა შემცირდება გადასახადები, რამდენიმე გადასახადი გაუქმდება და შემსუბუქდება მსხვილი ბიზნესის ტვირთი - უფრო მეტი ფული შევა ბიუჯეტში (?). ეს არის ზღაპარი და ამის მოსმენა აღარ მინდა. ნაკლები გადასახადები ნიშნავს იმას, რომ სოციალური ვალდებულებების ტვირთი სახელმწიფოდან კერძო ბიზნესზე გადავა. შეიძლება, კერძო ბიზნესმა ეს სოციალური ვალდებულებები უკეთესად შეასრულოს, ვიდრე სახელმწიფომ. შეიძლება, ეს მოდელი ჩვენი მოქალაქეებისთვის უფრო მისაღები იყოს. მაგრამ, უნდა ვიცოდეთ - რა მოჰყვება მას შედეგად. ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენ უმაღლესი განათლების, კულტურული პროგრამების დიდი ნაწილის, სპორტული ღონისძიებების დაფინანსებაზე ბიუჯეტიდან უარი უნდა ვთქვათ. ამასთანავე, მნიშვნელოვნად შემცირდება ძირითადი სოციალური ვალდებულებები - ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება. ეს ტვირთი კი, უშუალოდ მოქალაქის ან მცირე ბიზნესმენის ჯიბეს დააწვება.

# აღმასრულებლები თანამდებობაზე გამოცდის ჩაბარების შემდეგ დაინიშნებიან

თამარ კაციტაძე

ცოტა ხანში საქართველოს გამოცდაჩაბარებული სასამართლო აღმასრულებლები და სააღსრულებო ბიუროს უფროსები ეყოლება. იუსტიციის სამინისტროს სააღსრულებლო დეპარტამენტში შემუშავებული "სააღსრულებლო წარმოების მდგრადი განვითარების კონცეფციის" თანახმად, რაც სისტემაში რეფორმების გატარებას ისახავს მიზნად, სააღსრულებლო დეპარტამენტის 115 ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული იყო თავისუფალი კონკურსი.

**"დეპარტამენტის არსებობის მანძილზე, სისტემაში მოსახვედრად პირველად გამოცხადდა თავისუფალი კონკურსი. გამოცდის ჩატარების მიზანია მეტი პროფესიონალის მოსვლა სისტემაში, ხოლო ვინც დღეს მუშაობს, კიდევ ერთხელ გადაამოწმებს საკუთარ ცოდნას,"** – აღნიშნა ჩვენთან საუბარში სააღსრულებლო დეპარტამენტის თავმჯდომარემ გიგლა აგულაშვილმა.

სააღსრულებლო დეპარტამენტში მუშაობის დაწყების სურვილი თავდაპირველად, შეტანილი განცხადებების მიხედვით, 218 პიროვნებამ გამოთქვა, თუმცა გამოცდაზე მხოლოდ 143 პრეტენდენტი გამოცხადდა. საბოლოოდ რამდენი შეძლებს კონკურსის გავლას, წინასწარ ძნელი სათქმელია, რადგან გამოცდის ორგანიზატორთა განცხადებით, აღმასრულებლობის მსურველთ საკმაოდ მკაცრი გამოცდა ელით. სხვათა შორის, დამკვირვებლებად მიწვეულმა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა "შპარგალკის" გამოყენებისთვის ერთ-ერთი "აბიტურიენტი" გამოცდიდან დაითხოვეს.

აგულაშვილის თქმით, გამოცდის ორგანიზატორები, იუსტიციის სამინისტროსთან ერთად, არიან არასამთავრობო ორგანიზაციები: "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" და "იურისტთა კავშირი". იმისათვის, რომ პიროვნებას სააღსრულებლო დეპარტამენტში მუშაობის პრეტენზია ჰქონდეს, უნდა იცოდეს კანონები "აღსრულების შესახებ" და "საჯარო მომსახურების შესახებ", ასევე სისხლის სამართლის, ზოგადადმინისტრაციული და სამოქალაქო კოდექსები. აღნიშნული კანონებიდან შემდგარი 100 ტესტიდან აღმასრულებლობის მსურველებმა, სულ მცირე, 75-ს უნდა გასცენ პასუხი. თუმცა, ეს კიდევ არ ნიშნავს საბოლოო გამარჯვებას. ტესტირებაზე წარჩინებით გასულ "აბიტურიენტს" თანამდებობაზე დანიშვნამდე სპეციალური კომისია გაესაუბრება. გასაუბრების ასევე წარმატებით გავლის შემდეგ იგი თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს. დანიშვნისას კი, აგულაშვილის მტკიცებით, გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ ცოდნას და პიროვნების პროფესიონალიზმს მიექცევა.

**"აღმასრულებლების გამოცდა სამართლებრივი რეფორმის შემადგენელი ნაწილია. რეფორმირებულ სასამართლოს გადაწყვეტილება რეფორმირებულმა აღმასრულებლებმა უნდა აღასრულონ. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დეპარტამენტი იმ შემთხვევაში იმუშავებს სრულყოფილად, თუ სახელფასო სისტემა მოწესრიგდება. დღეს აღმასრულებლების ხელფასი 21 ლარია, ამიტომ მათი კორუფციაში გარევა ადვილად შესაძლებელია,"** – აღნიშნა გამოცდაზე მისულმა იუსტიციის მინისტრმა, როლანდ გილიგაშვილმა და დასძინა, რომ გამოცდაჩაბარებულ აღმასრულებლებს სამინისტროს სპეცხარჯებიდან გაზრდილი ხელფასები დაენიშნებათ.



*მომავალი აღმსრულებლები გამოცდებს აბარებენ.*

ტესტირებაში გამარჯვებულთა სიები, ოფიციალურად, 26 მარტს გამოქვეყნდება, თუმცა საგამოცდო კომისიის წევრებმა სწორი პასუხები გუშინვე, გამოცდის დამთავრებისთანავე გამოაცხადეს. ასე რომ, "აბიტურიენტებისთვის" საკუთარი ბედი წინასწარ არის ცნობილი. პრეტენზიების შემთხვევაში, მათ შეუძლიათ სპეციალურ კომისიას მიმართონ.

# ზაზა ჯიქიას გამტაცებლებს სამთვიანი პატიმრობა შეუფარდეს

სამეგრელო-ზემო სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებულის ბონდო ჯიქიას ვაჟიშვილის, ზაზა ჯიქიას გატაცებაში ბრალდებულებს თბილისის მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს თავმჯდომარემ მამუკა სონღულაშვილმა 3-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

ზაზა ჯიქია სამართალდამცველებმა გატაცებიდან 6 დღის შემდეგ, 21 მარტს თბილისში, ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში ჩატარებული სპეცოპერაციისას გაათავისუფლეს. ზაზა ჯიქიას მეთვალყურე გურამ ჯობაძე გატაცებულის სამალავში დააკავეს, ხოლო ჯგუფის დანარჩენი წევრები ტარიელ კაკათიძე, ავთანდილ დადიანი, ზვიად ტომარაძე და ჯონი ართმელაძე პოლიციელებმა თბილისსა და სამტრედიაში დააპატიმრეს. გამტაცებელთა ჯგუფის ორგანიზატორი ჯონი ართმელაძე სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის ბონდო ჯიქიას სიძის ნათესავია. ყველა დაკავებული ქობულეთელია და და სამართალდამცველები მათ ქობულეთის ჯგუფის სახელით მოიხსენიებენ. ჯგუფის წევრთა საეჭვო წარსულზე გენერალურ პროკურატურას საკმაოდ სერიოზული მასალები მოეპოვება. სამართალდამცველთა მონაცემებით, ჯონი ართმელაძე ყაჩაღობაში, ხოლო ავთო დადიანი - მკვლელობაში იყო ეჭვმიტანილი და ორივენი იძებნებოდნენ.

თბილისის პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილის დავით კეკუას ინფორმაციით, ერთ-ერთი ბრალდებული, ავთო დადიანი აცხადებს, რომ იგი შიდსის ვირუსითაა ინფიცირებული. თუმცა, პოლიციას ბრალდებულისთვის ლაბორატორიული გამოკვლევა, ჯერჯერობით, არ ჩაუტარებია. ორთაჭალის ციხეში გადაყვანისთანავე მას სამედიცინო შემოწმება ჩაუტარდება და თუ მისი შეტყობინება დადასტურდება, იგი სხვა პატიმრებისგან იზოლირებული იქნება.




# დაზარალებული მოსამართლეებს ადანაშაულებს

პირველი გვერდიდან

ტრანსპორტის პროკურატურაში, დაყაჩაღების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის აღძვრიდან ცოტა ხანში, სამართალდამცველებმა სავალუტო ჯიხურის დაყაჩაღებაში ეჭვმიტანილი "გაერთიანებული ქართული ბანკის" დაცვის პოლიციელი ჯღამაძე დააკავეს, რომელმაც დაყაჩაღებისას, "გაერთიანებული ქართული ბანკის" არარეგისტრირებული, მაკაროვის სისტემის იარაღი გამოიყენა. საოლქო სასამართლომ, მოსამართლე გვეტაძის თავმჯდომარეობით, ყაჩაღობის ნაწილში განსასჯელი ჯღამაძე გაამართლა და სახლში ტყვიების შენახვისთვის 2-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.

სხვათა შორის, ჯღამაძის საქმეში დევს მასალები, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ "გაერთიანებულ ქართულ ბანკს" 28 არარეგისტრირებული იარაღი გააჩნდა. სამი მათგანის გამოყენებით კი ჩადენილია საშიში დანაშაულებები ამავე ბანკის და საკუთრების დაცვის პოლიციის თანამშრომლების მიერ, რომელთა წინააღმდეგაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.

საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილება დაზარალებულმა ცოლ-ქმარმა, რომლებსაც ჯღამაძე სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას ღიად ემუქრებოდა, უზენაეს სასამართლოში გაასაჩივრეს, განცხადებით მიმართეს პარლამენტის მაშინდელ თავმჯდომარეს ზურაბ ჟვანიას, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, იუსტიციის მინისტრს მიხეილ სააკაშვილს, სახალხო დამცველს და იუსტიციის საბჭოს მდივანს.

**"საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლეების - ნ. გვეტაძის, მ.ხარებავასა და ლ. ბარდაველიძის მიმართ, რომლებმაც ჯღამაძის საქმის განხილვისას, კანონის უხეში დარღვევით, ყაჩაღობის ნაწილში გამამართლებელი განაჩენი გამოუტანეს განსასჯელს, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის დადგენილებით, აღიძრა დისციპლინური დევნა",** – ასეთი პასუხი მიიღეს დაზარალებულებმა იუსტიციის საბჭოდან.

**"მოსამართლე გვეტაძემ პირად საუბარში განმიცხადა, რომ "გაერთიანებული ქართული ბანკისა" და საკუთრების დაცვის პოლიციის ხელმძღვანელები მასთან მიდიოდნენ და აწუხებდნენ. როგორც გავარკვიე, ისინი შიშობდნენ, რომ ზარალის ანაზღაურება სასამართლოს მათთვის არ დაეკისრებინა და ცდილობდნენ ჯღამაძე პასუხისმგებლობისგან ეხსნათ",** - აცხადებს დაზარალებული.

ერთი სიტყვით, უზენაესმა სასამართლომ, უფლებამოსილების გადაჭარბებისთვის, საოლქო სასამართლოს მოსამართლეების მიმართ დისციპლინური დევნა განახორციელა და თავად შეუდგა დაზარალებულის სარჩელის განხილვას, რის შემდეგაც გააუქმა განაჩენი და საქმე საოლქო სასამართლოს სხვა მოსამართლეთა შემადგენლობას დაუბრუნა. საოლქო სასამართლომ ამჯერად ჯღამაძე ყაჩაღობასა და იარაღის უკანონოდ ტარებაში დაადანაშაულა და მას პატიმრობის ვადად რვა წელი განუსაზღვრა. ეს გადაწყვეტილება ახლა განსასჯელის დამცველმა გაასაჩივრა და საქმე ისევ უზენაეს სასამართლოს გადაეგზავნა. საკასაციო საჩივრის განხილვისას მოსამართლე ნინო გვენეტაძემ საქმე აიცილა: **" ამ საქმის განმხილველი მოსამართლეების მიმართ დისციპლინური დევნა მე განვახორციელე, ამიტომ საქმეს ვიცილებ",** – ასე განმარტა უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ საქმის აცილების მოტივი, რის შემდეგაც გვენეტაძე მოსამართლე კობახიძემ შეცვალა. უზენაესმა სასამართლომ საქმე ამჯერად გენერალურ პროკურატურას გადაუგზავნა ხელახალი გამოძიებისთვის.

**"უზენაესმა სასამართლომ სპეციალურად გაწელა პროცესი, რათა ჯღამაძეს 24-თვიანი საპატიმრო ვადა გასვლოდა და პატიმარი კანონის მიხედვით გასაშვები გამხდარიყო. საინტერესოა, რატომ არ გაუგრძელა უზენაესმა სასამართლომ საპატიმრო ვადა ჩემს დამყაჩაღებელს?"** - კითხულობს დაზარალებული და აცხადებს, რომ სასამართლოებს შორის თამაში მიმდინარეობს, რომლის წესებიც მოსამართლეებს კარგად აქვთ ათვისებული.

ერთთვიანი გამოძიების შემდეგ, გენერალურმა პროკურატურამ საქმე კვლავ საოლქოს გადასცა, სადაც მოსამართლე ხოლუაშვილმა, რომელმაც ჯღამაძეს აღმკვეთი ღონისძიება პოლიციის ზედამხედველობაში გადაცემით შეუცვალა, ყაჩაღობაში ბრალდებული კვლავ გაამართლა.

**"კოლეგია ხოლუაშვილის ხელმძღვანელობით თავდებით გაშვებული ჯღამაძის საქმეს 11 თვის განმავლობაში განიხილავდა. ამ თერთმეტი თვის მანძილზე სასამართლომ მხოლოდ 15 მოწმე დაკითხა. სასამართლო კოლეგიამ უსაფუძვლოდ უარყო გამოძიების მიერ სასამართლოზე წარდგენილი ყველა მტკიცებულება, უარყო ჩემი მხრიდან ჯღამაძის ამოცნობის ფაქტი. მსჯელობის საგანი გახდა ჩემი და ჩემი მეუღლის მიერ აღმოჩენილი ტყვიის მასრა, აქეთ დაგვდეს ბრალი – საიდან და როგორ იპოვეთო. ერთი სიტყვით, მოსამართლეებმა - ხოლუაშვილმა, ებრალიძემ და კვარაცხელიამ ცინიკურად და უსაფუძვლოდ, საქმის შეუსწავლელად უარყვეს ყველა მტკიცებულება და ჯღამაძე გაამართლეს. ხოლუაშვილის თავმჯდომარეობით მიმდინარე სასამართლო პროცესზე არ იგრძნობოდა, რომ დაზარალებული მე ვარ. ხოლუაშვილი ყაჩაღის ინტერესების დამცველად მოგვევლინა და სასამართლომ ჩვენს მიერ წარდგენილ ნივთმტკიცებაში – ტყვიის მასრაში ეჭვი დაუსაბუთებლად შეიტანა. არადა, ჩვენი დაყაჩაღების დღეს ნაპოვნ ტყვიის მასრაზე ჩატარებული ექსპერტიზის პასუხი საქმეში დევს. მაინტერესებს, რომელი მუხლით იხელმძღვანელა სასამართლომ, როცა გადაწყვიტა, რომ დაზარალებულს არ აქვს უფლება, სამართალდამცველებს დანაშაულის ნივთმტკიცება ერთი თვისა და ორი დღის შემდეგ წარუდგინოს. თუ ორჯერ დაყაჩაღებული ოჯახის მიერ წარდგენილი მასრა, მოწმეთა მტკიცებების მიუხედავად, საეჭვოდ მიიჩნიეს, მაშინ უნდა განემარტათ ეჭვის საფუძველი, რადგან ყოველგვარ ეჭვს დასაბუთება და დამტკიცება სჭირდება",** - ამ კითხვებზე პასუხებსა და განმარტებებს დაზარალებულები ახლა ისევ უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატისგან ელიან. **"გთხოვთ, გაითვალისწინოთ ჩემი საჩივარი, საფუძვლიანად შეისწავლოთ საქმე და შესაბამისი რეაგირება მოახდინოთ მოსამართლე ხოლუაშვილის და მისი კოლეგების მიმართ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სიმართლის დასადგენად მივმართავ უკიდურეს ზომებს",** – ასეთია ზედიზედ ორჯერ დაყაჩაღებულის, დამყაჩაღებლისგან დაშინებულისა და მართლმსაჯულებისგან განაწყენებული აზა ქაძანაიას მოთხოვნა, რომელიც უკვე უზენაეს სასამართლოშია შესული.

# ქუთაისის ავტოქარხნის დირექტორის გათავისუფლებაში 50 ათასი დოლარია გადახდილი

ბექა სისაური
*ქუთაისი*

თავისუფლად შეიძლება თქმა, რომ საქართველოში ადამიანის გატაცების შემთხვევები კრიმინალურ სამყაროში მოდურადაც კი იქცა. სამართალდამცველთა განმარტებით, ზოგიერთი კრიმინალური დაჯგუფება, თანხის გამოძალვის მიზნით, ადამიანთა გასატაცებლადაა შექმნილი. ისინი წვრილმან ქურდობებსაც მხოლოდ იმიტომ სჩადიან, რომ მოპოვებული სატრანსპორტო და სხვა საშუალებები შემდგომ ადამიანის გატაცებისათვის გამოიყენონ.

იმერეთის ოლქის პროკურორის თამაზ ჭუმბურიძის განმარტებით, რეგიონში ადამიანთა გატაცებაზე მსხვილი ჯგუფი მუშაობდა. მათგან ამჟამად სამი პირია დაკავებული: კონსტანტინე ჭრელაშვილი, მეტსახელად "ცხოველა", იგი ჯერ კიდევ 1993 წელს, აბაშაში ბავშვის გატაცების ფაქტის დაფარვაშია მხილებული, ლევან ბერუჩაშვილი, მეტსახელდ "ბაჩო", გოჩა ბრეგაძე (მას ორი მეტსახელი აქვს "ქუთაისელი" და "სვანი"); ხოლო გიორგი ბაბუნაშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს იზოლიატორში საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა. რაც შეეხება ბანდის დანარჩენ წევრებს, პროკურატურისთვის მათი ვინაობაც ცნობილია.

გამოძიების ინფორმაციით, აღნიშნული ჯგუფის ორგანოზატორი და აქტიური წევრი გახლდათ გელა ხარაბაძე, რომელიც ადრე ადამიანის გატაცებებისთვისაა ნასამართლევი. ბანდის დანარჩენი წევრები არიან: ვასილ ლოსაბერიძე, მეტსახელად "ლოსა", დავით ქოჩიაშვილი (ისიც ადამიანის გატაცებისთვისაა ნასამართლევი), მევლუდ მჟავანაძე ("გენო"), რამაზ შალიკიანი ("ჭუკი"), ალეკო მჟავია და ზეზვა სანიკიძე.

როგორც გამოძიებამ დაადგინა, ჯგუფის გარკვეულმა ნაწილმა, გასული წლის 2 დეკემბერს ქუთაისის ავტოქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ამირან ნაცვლიშვილიც გაიტაცა. იგი ქუთაისში, გრიგოლ რობაქიძის ქუჩაზე მდებარე მიტოვებული სახლის სარდაფში ჰყავდათ გადამალული. ნაცვლიშვილს პერიოდულად სცემდნენ და სიტყვიერ შეურაცხყოფასაც აყენებდნენ. გამოძიების ინფორმაციით, გამტაცებლები ნაცვლიშვილის მეუღლეს იმ დღესვე დაუკავშირდნენ და გამოსასყი - 50 ათასი დოლარი მოსთხოვეს. ნაცვლიშვილის ოჯახის წევრებმა ძიებასთან თანამშრომლობაზე თავიდანვე უარი განაცხადეს. მათი კატეგორიული მოთხოვნით, პოლიციამ ოჯახის წევრებზე თვალთვალიც კი შეწყვიტა.

ნაცვლიშვილის გატაცებიდან მესამე დღეს ქარხნის ერთ-ერთმა დირექტორმა მოთხოვნილი ფული გელათის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე მიიტანა და გამტაცებელთა მიერ მითითებულ ადგილზე დადო. სასტიკად ნაცემი ნაცლიშვილი მეორე დღეს, დილის 5 საათზე ბუაჩიძის ქუჩაზე იპოვეს. გამოძიებაში არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ დამნაშავეთა აღნიშნულ ჯგუფს ნაცლიშვილისგან მხლოდ ფულის გამოძალვა არ აინტერესებდა. ეჭვს აძლიერებს ისიც, რომ გატაცებამდე ორი თვით ადრე, ავტოქარხნის აქციათა მსხვილი პაკეტი ნულოვან აუქციონზე გაიყიდა. შედეგად ნაცვლიშვილი ქარხნის ერთ-ერთი მსხვილი აქციონერი გახდა. მასთან ერთად აქციათა პაკეტი შეიძინეს ნაცვლიშვილის მეუღლემ, ქარხნის რამდენიმე დირექტორმა და საკრებულოს წევრმა ბონდო შალიაკიანმა. ამავე პერიოდში იმერეთში პრეზიდენტის რწმუნებული, ქუთაისის "სატრაქტორო" და "ავტო ქარხნებში" ცნობილი კრიმინალური ავტორიტეტის ტარიელ ონიანის ინტერსებზე ალაპარაკდა. პროკურატურაში დღესაც ადასტურებენ, რომ "კანონიერი ქურდები" საწარმოთა აქციებს ყიდულობენ, თუმცა ძიების ინტერესებიდან გამომდინარე, სხვა დეტალებს არ აკონკრეტებენ. პროკურატურა არ გამორიცხავს, რომ კრიმინალურ ავტორიტეტებს, ფულის გამოძალვასთან ერთად, სურდათ, ნაცვლიშვილი თავიანთი გავლენის ქვეშ მოექციათ, რაც, ფაქტობრივად, განახორციელეს კიდეც. ამ ეჭვს ისიც აძლიერებს, რომ ამირან ნაცვლიშვილი სამართლადამცველებს დანაშაულის გახსნაში დახმარებას დღემდე არ უწევს. ამავე დროს ნაცვლიშვილის ოჯახის წევრებთან კონტაქტზე ასევე "ავტორიტეტული" სანდო პიროვნება გადიოდა, რომელმაც საკუთარ თავზე აიღო პასუხიმგებლობა, რომ თანხის გადახდის შემთხვევაში, გატაცებული ოჯახს უვნებლად დაუბრუნდებოდა. სამართალდამცველები არც ამ ინფორმაციას აკონკრეტებენ.

რაც შეეხება ავტოქარხნის სამეთვალყურეო საბჭოს დირექტორის ოჯახის მიერ გადახდილ 50 ათას დოლარს, ძიებას აქვს ეჭვი, რომ აღნიშნული თანხა ქარხნის კუთვნილებაა. არც ის არის გამორიცხული, რომ ქარხანაში სერიოზული თანხები თეთრდებოდა. გამოძიება ამ კუთხითაც მუშაობს.

იგივე ჯგუფის წევრებმა მომდევნო გატაცება 26 იანვარს დაგეგმეს. ზესტაფონში, რესტორან "გემოში" თავს დაესხნენ ზესტაფონელ ბიზნესმენს დიმიტრი სარდანაძეს, მეტსახელად "კულევიჩს". თუმცა, დამნაშავეებმა მაშინ სარდანაძის გატაცება ვერ შესძლეს. საქმე ისაა, რომ სარდანაძე, რესტორანში ზესტაფონის პოლიციის ყოფილ უფროსთან ხვიჩა გუმბარიძესთან და სხვა რამდენიმე პირთან ერთად ქეიფობდა. კრიმინალებმა სარდანაძეს და მის თანმხლებ პირებს მობილური ტელეფონები და იარაღი წაართვეს და მიიმალნენ. ერთ-ერთ დამნაშავეს იარაღი გაუვარდა და ფეხში დაიჭრა. ინციდენტს რამდენიმე პოლიციელი შეესწრო, მაგრამ დამნაშავეები ისე მიიმალნენ, რომ მათი დაკავება და ვინაობის დადგენა ვერ შესძლეს. ზესტაფონის პოლიციაში საქმე მხოლოდ ხულიგნობის მუხლით აღიძრა.

12 თებერვალს იგივე ჯგუფმა სარდანაძის 12 წლის შვილი გაიტაცა. გიორგი სარდანაძე, თანატოლებთან ერთად, ზესტაფონში, მაღაზია "ჰოლივუდში" იმყოფებოდა, როდესაც იგი უცნობმა პირებმა გაიტაცეს. გამოძიების მტკიცებით, ამ პერიოდში გამტაცებელთა შესახებ უკვე გარკვეული ინფორმაციები გააჩდათ და დამნაშავეებიც იძულებულნი გახდნენ, რომ 16 თებერვალს სარდანაძე უპირობოდ გაენთავისუფლებინათ. სარდანაძეების ოჯახმაც სამართალდამცველებთან თანამშრომლობაზე თავიდანვე უარი განაცხადა. ნაცვლიშვილის საქმის მსგავსად, გამოსასყიდის გადახდის ფაქტი საგამოძიებო მასალებში არ დევს, მაგრამ გავრცელებული ინფორმაციით, სარდანაძემ გამტაცებლებს სოლიდური თანხა გადაუხადა.

იმერეთის ოლქის პროკურორის თამაზ ჭუმბურიძის განცხადებით, გამოძიებამ გამტაცებელთა ჯგუფის დანაშაულებრივი ქმედებების შესახებ მტკიცებულებების მოპოვება მაქსიმალურად შესძლეს. ამოღებულია ერთი გადაჭრილი თოფი, ექვსი ხელყუმბარა, ავტომატი და ერთი ცალი პლასტმასის ციმციმა. ამოღებულია, ასევე, რეზინის ხელჯოხი, რომელსაც ნაცვლიშვილის ცემის დროს იყენებდნენ. გამოძიებას აქვს ინფორმაცია, რომ ადამიანის გამტაცებელთა ჯგუფში "კანონიერი ქურდების" გვარებიც ფიგურირებს. სავარაუდოდ ისინი ჯგუფს კოორდინირებას უწევდნენ.

## ინფორმაცია

### ღია კარის დღე ექიმებისთვის

ტუბერკულოზის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით დღეს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო კლინიკა და ტუბდისპანსერები აწყობენ ღია კარის დღეს, რომელიც ითვალისწინებს ექიმთა უფასო კონსულტაციებს.

**ტუბდისპანსერების მისამართებია:** ლაღიძის ქუჩა 2; ბორჯომის ქუჩა 10; სამგორის ქუჩა 8; მარუაშვილის ქუჩა 50; ჭიჭინაძის ქუჩა 4;

*"24 საათი"*

### "კავკასიონი" ისევ აღსადგენია

კვლავაც გაურკვეველი რჩება რუსეთთან დამაკავშირებელი ელექტროგადამცემი ხაზის „კავკასიონის" აღდგენის ზუსტი თარიღი. როგორც გაირკვა, ქარბუქის გამო, ქარბუქის გამო ვერ ხერხდება ავარიის ადგილზე მიტანილი ანძის დაყენება.

შეგახსენებთ, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში, კერძოდ, ყაბარდო-ბალყარეთში დასახლება ზელენჩეკთან, გადამცემი ანძა ორი დღის წინათ დაზიანდა. სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ინფორმაციით, სარემონტო სამუშაოებს ერთობლივად ასრულებენ რუსეთის ერთიანი ენერგოსისტემისა და „საქრუსენერგოს" სარემონტო ბრიგადები.

იმპორტის აღდგენამდე კი საქართველოს ენერგოსისტემაში დილის პიკზე 650 მეგავატი სიმძლავრე იყო, აქედან „ეი-ი-ეს მტკვრის" მე-9 ენერგობლოკი გამოიმუშავებს 190 მეგავატ ელექტროენერგიას.

თბილისს დღის განმავლობაში მიეწოდება 250 მეგავატი, რაც სამინისტროს ინფორმაციით, საკმარისია სასიცოცხლო ობიექტების ნორმალური მომარაგებისათვის. მოსახლეობას ელექტროენერგია შეფერხებებით მიეწოდება, გარდა იმ უბნებისა, რომელიც სომხეთიდან იმპორტირებული 80 მეგავატით მარაგდება.

*მედია-ნიუსი*

## სატელევიზიო ტოტალიზატორის "საოჯახო ტოტოს" გათამაშების წესები

გათამაშება გაიმართება სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი-2"-ის პირდაპირ ეთერში ყოველ შაბათს 22 საათზე.

გათამაშებაში მონაწილეობს **90** კოჭი - **1-დან 90-ის** ჩათვლით. მისი წესები მარტივია - იგი ტრადიციული ლოტოს პრინციპზეა აგებული. მთავარი ამოცანაა **15-ციფრიანი** დაფის შევსება **75 სვლის ჩათვლით**.

გათამაშებაში მონაწილეობს ორი ტიპის ბარათი:

1. ორგანიზატორის მიერ წინასწარ შევსებული (მზა) სხვადასხვა ფასიანი ბარათი, რომლის შეძენაც შესაძლებელია სარეალიზაციო პუნქტებში.

2. მოთამაშის მიერ თავისი სურვილით შერჩეული ნებისმიერი 15 ციფრი, რომლის შევსება შესაძლებელია სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში.

მოგებულად ჩაითვლება ბარათი, რომელზეც 75 სვლის ჩათვლით შეივსება ბარათზე არსებული თხუთმეტივე ციფრი.

ბარათის შევსების შემთხვევაში მოთამაშეს ეკუთვნის ფულადი მოგება, რომლის ოდენობა განისაზღვრება დადებული ფსონისა (ბარათის ღირებულება) და ბარათის შევსების მომენტში სვლის კოეფიციენტის ნამრავლით. მაგ: თუ თქვენი ბარათი შეივსო 30-ე სვლაზე, რომლის კოეფიციენტიც თქვენთვის წინასწარაა ცნობილი და პირველ გათამაშებაზე 16 000-ია, ე.ი. თქვენ მოიგეთ:

**50-თეთრიანი ბარათის შემთხვევაში - 0.5X16 000=8 000 ლარი.**
**1-ლარიანი ბარათის შემთხვევაში - 1X16 000=16 000 ლარი.**
**2-ლარიანი ბარათის შემთხვევაში - 2X16 000=32 000 ლარი.**

**გათამაშების შედეგები და მომდევნო ტირაჟის კოეფიციენტების ცხრილი გამოქვეყნდება გაზეთ "24 საათში".**

*დამატებითი ინფორმაციისათვის და დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ 96 38 47.*

*შეიძინეთ, გაერთეთ და მოიგეთ!*

*შპს "ფენიქსი" გისურვებთ წარმატებას!!!*

| სვლა | კოეფიციენტი | სვლა | კოეფიციენტი |
|---|---|---|---|
| 15 | 25 000 | 46 | 900 |
| 16 | 25 000 | 47 | 800 |
| 17 | 25 000 | 48 | 700 |
| 18 | 25 000 | 49 | 600 |
| 19 | 25 000 | 50 | 500 |
| 20 | 20 000 | 51 | 400 |
| 21 | 20 000 | 52 | 300 |
| 22 | 20 000 | 53 | 200 |
| 23 | 20 000 | 54 | 100 |
| 24 | 20 000 | 55 | 90 |
| 25 | 20 000 | 56 | 80 |
| 26 | 20 000 | 57 | 70 |
| 27 | 19 000 | 58 | 60 |
| 28 | 18 000 | 59 | 50 |
| 29 | 17 000 | 60 | 40 |
| 30 | 16 000 | 61 | 30 |
| 31 | 15 000 | 62 | 28 |
| 32 | 14 000 | 63 | 26 |
| 33 | 13 000 | 64 | 24 |
| 34 | 12 000 | 65 | 22 |
| 35 | 11 000 | 66 | 20 |
| 36 | 10 000 | 67 | 18 |
| 37 | 9 000 | 68 | 16 |
| 38 | 8 000 | 69 | 14 |
| 39 | 7 000 | 70 | 12 |
| 40 | 6 000 | 71 | 10 |
| 41 | 5 000 | 72 | 8 |
| 42 | 4 000 | 73 | 6 |
| 43 | 3 000 | 74 | 4 |
| 44 | 2 000 | 75 | 2 |
| 45 | 1 000 | | |




# პროცესი №2: პენსიონერები - „ბ.ქ.ბ."

მაკა ჭაიანი

*"გაერთიანებულ ქართულ ბანკს" საქმე სასამართლოში აქვს. იგი ასაჩივრებს დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 2 დეკემბრის გადაწყვეტილებას, რომლის მიხედვითაც ბანკს 190 პენსიონერისთვის 60979 ლარის გადახდა დაეკისრა. ბანკში მიიჩნევენ, რომ ეს გადაწყვეტილება კანონის უხეში დარღვევით არის გამოტანილი, რადგან სასამართლომ"გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა".*

დავის მოკლე ისტორია ასეთია:

1985 წლიდან მოყოლებული, ყოველთვიურად, მოსარჩელე პენსიონერების კუთვნილი პენსია სოცუზრუნველყოფის სამსახურიდან ნაძალადევის რაიონის სახელმწიფო შემნახველ ბანკში, მათ პირად ანგარიშებზე ირიცხებოდა. 1994 წლისთვის ბანკი სახელს იცვლის და "ახალ ქართულ ბანკად" იწოდება. უკვე მომდევნო წელს, პრეზიდენტის 21 მარტის №71 ბრძანებულების საფუძველზე - "ინდუსტრიაბანკის", "საქექსიმბანკისა" და "ახალი ქართული ბანკის" გაერთიანების შედეგად, სს "გაერთიანებული ქართული ბანკი" შეიქმნა. მოსარჩელეებს პენსია ახლა "გაერთიანებული ქართული ბანკიდან" გამოჰქონდათ. 1996 წელს "გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა" ბანკ "ელდორადოს" მიჰყიდა ნაძალადევის მე-4 ფილიალი და პენსიონერებისადმი დაგროვილი ანაბრებიც გადაულოცა. სამ წელიწადში "ელდორადო" გაკოტრებულად გამოცხადდა. 1999 წლის 14 აპრილიდან ეროვნულმა ბანკმა მას ლიცენზია გაუუქმა და პენსიონერებმა საკუთარი თანხების გამოტანა ვეღარ შეძლეს.

პენსიონერებმა სარჩელი "გაერთიანებული ქართული ბანკის", როგორც სახელმწიფო შემნახველი ბანკის სამართალმემკვიდრის წინააღმდეგ გასული წლის აპრილში შეიტანეს. "გაერთიანებული ქართული ბანკი" რომ სახელმწიფო შემნახველი ბანკის სამართალმემკვიდრეა, საქართველოს ეროვნული ბანკი ოფიციალური წერილით ადასტურებს. იგივე იკითხება სახალხო დამცველისა და პროფესიული გაერთიანების ოფიციალურ წერილებშიც. თავის მხრივ, "გაერთიანებულ ქართულ ბანკში" აცხადებენ, რომ მე-4 ფილიალის ბანკი "ელდორადოსთვის" მიყიდვის შემდეგ მეანაბრე პენსიონერების პრობლემის მოგვარება მათი საქმე აღარ არის. ამ განცხადებას იქ ორი არგუმენტით ამაგრებენ - 1994 წელს პრეზიდენტმა შემნახველი ბანკი პენსიონერების დავალიანებისგან გაათავისუფლა და მისი გასტუმრება სახელმწიფო ბიუჯეტს დააკისრა; და ის, რომ პენსიონერებმა კარგად იცოდნენ, მათ ფულს "ელდორადო" რომ გასცემდა.




*ბიუროკრატიული ბარიერები სიცოცხლის ბოლომდე?*

ამ უკანასკნელი არგუმენტის დასადასტურებლად "გაერთიანებულ ქართულ ბანკს", მასსა და ბანკ "ელდორადოს" შორის დადებული გარიგების შესახებ, "საქართველოს რესპუბლიკაში" გაკეთებული განცხადება მოჰყავს. მისი წარმომადგენლების განმარტებით, რადგან მოსარჩელეებს ამის თაობაზე არანაირი პრეტენზია არ გამოუთქვამთ, მათი არჩევანი, ითვლება, რომ ნათელია. გაზეთში განცხადების გამოქვეყნებას არასაკმარისად მიიჩნევს მეორე მხარე და აცხადებს, რომ მეანაბრემ არათუ ამგვარი ცვლილების, ნებისმიერი წვრილმანის შესახებ შეტყობინება წერილობით უნდა მიიღოს და მასზე რეაქცია ასევე წერილობით უნდა მისცეს. ეს აზრი დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომაც გაითვალისწინა და მიიჩნია, რომ, ანაბრების სხვა ბანკისთვის გადაცემით, "გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა" შელახა პენსიონერთა უფლებები და, რადგან "ელდორადო" გაკოტრდა, დავალიანების დაფარვა მას დაავალა.

სასამართლოში ერთხელ უკვე გამარჯვებული მეანაბრე პენსიონერები, თითქმის დარწმუნებულები არიან, რომ "გაერთიანებული ქართული ბანკის" მე-4 ფილიალი "ელდორადოს" შემთხვევით არ უყიდია. ამ ეჭვს მათ "გაერთიანებული ქართული ბანკის" სამეთვალყურეო საბჭოსა და "ელდორადოს" ლიკვიდატორთა ოფიციალური დოკუმენტები უძლიერებთ. პირველიდან ჩანს, რომ მე-4 ფილიალს ჰქონდა არადამაკმაყოფილებელი საფინანსო მდგომარეობა და სხვა უარყოფითი საბალანსო მონაცემები, რომლის უახლოეს პერიოდში გამოსწორების პერსპექტივა არ ჩანდა, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია "ელდორადოს" ხელმძღვანელობისთვის ფილიალი 195 ათას დოლარზე მეტ თანხად შეესყიდა. რაც შეეხება ლიკვიდატორებს, ისინი აცხადებენ, რომ "ელდორადოს" გაკოტრება გარანტიების გარეშე გაცემულმა დიდძალმა სესხებმა გამოიწვია. ამ სესხების ამღებთა ვინაობით პენსიონერები უკვე სერიოზულად არიან დაინტერესებულნი.

მათ შემდგომ ნაბიჯებს საოლქო სასამართლოში მოსალოდნელი პროცესის შედეგი განსაზღვრავს. ისინი მხოლოდ ერთ დათმობაზე წავიდნენ – მოპასუხე მხარეს ანაბრებზე დასარიცხ საპროცენტო განაკვეთს არ სთხოვენ. სხვაგვარი დათმობა ხსენებულიც არ არის. ჩვენ თუ არა, ჩვენი შვილები მაინც ხომ აიღებენ ჩვენს კუთვნილ ფულს, – ამბობენ ისინი. პენსიონერებს ისიც აიმედებს, რომ გასულ წელს საოლქო სასამართლომ ასმათ და ტარიელ ედილაშვილებს, თითქმის, იგივე ხასიათის სარჩელი დაუკმაყოფილა. რა თქმა უნდა, დათმობას არც "გაერთიანებული ქართული ბანკი" აპირებს. მისი იურისტების მიერ შედგენილი სააპელაციო სარჩელი ნამდვილი საბრძოლო სულიკვეთებითაა გაჟღენთილი. მთლიანობაში, ვითარება ერთობ საინტერესოა – ადამიანებმა თვალის დახამხამებაში დაკარგეს მთელი ცხოვრების მანძილზე შავი დღისთვის ნაგროვები კაპიკები, დაბრუნებას კი წლები და გაუთავებელი სასამართლო პროცესები სჭირდება.

## განათლების მართვის საერთაშორისო ინსტიტუტმა ძირითადი პრინციპები ჩამოაყალიბა

განათლების პოლიტიკის, დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტმა გაავრცელა პრეს-რელიზი, რომელშიც ნათქვამია - განათლების სამინისტროს მიერ ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებების ტიპიური დებულების საცდელი ვერსიის 31 სკოლაში პილოტირებამ "დაგვარწმუნა, რომ განათლების სისტემის გადასარჩენად აუცილებელია საზოგადოების აქტიური ჩართვა მართვის პროცესში და შემდეგი ძირითადი პრინციპების ცხოვრებაში რეალიზება:

-ვინაიდან სკოლას სრულიად აფინანსებს ადგილობრივი ბიუჯეტი, იგი უნდა იყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც დააფუძნებს ადგილობრივი თვითმმართველობა;

-ქონება სკოლებს უნდა გადაეცეს უსასყიდლოდ;

-მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს ფუნქციები მართვის სხვადასხვა რგოლს შორის. განათლების სამინისტრო უნდა გახდეს ფუნქციონალური რგოლი, რომელიც განსაზღვრავს განათლების პოლიტიკას, სტანდარტებს, სახელმძღვანელოებს, შეფასების სისტემას მთელს ქვეყანაში, დირექტორებისა და პედაგოგების შერჩევის ფორმალურ კრიტერიუმებსა და პროცედურებს. უზრუნველყოფს ზემოთხსენებულის შესრულების მონიტორინგს;

-სამეურვეო საბჭო უნდა შედგებოდეს მშობლებისა და პედაგოგებისაგან(ერთი მშობლით მეტი). სამეურვეო საბჭო დაამტკიცებს დირექტორის მიერ შერჩეული პედაგოგის კანდიდატურას, ორგანიზებას უწევს დირექტორის შესარჩევ კონკურსს. სამეურვეო საბჭო დაამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს და აწარმოებს კონტროლს მის შესრულებაზე;

-პედსაბჭო უნდა იყოს პროფესიული სათათბირო ორგანო, სადაც შევა ყველა მასწავლებელი, ხოლო ადმინისტრაცია იქნება აღმასრულებელი რგოლი სკოლის მართვაში"

დღეს, ინსტიტუტი, ფონდის "ღია საზოგადოება- საქართველო" ოფისში, არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად აწყობს პრესკონფერენციას აღნიშნულ საკითხებზე.

]*"24 საათი"*

# ვიდრე სახელმწიფო და საზოგადოება მოიცლის...

### უნარშეზღუდულები თავადვე ზრუნავენ

ირინე სანებლიძე

*საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ცხოვრების განსხვავებულ რიტმსა და გართულებულ ქართულ სინამდვილეში ჩაბმა არც ისე ადვილი აღმოჩნდა. მარტოხელა ხანდაზმულებს და განვითარებაშეფერხებულ ადამიანებს კი დღევანდელობაში ადგილის დამკვიდრება განსაკუთრებით გაუჭირდათ. სწორედ ასეთი მოქალაქეებისთვის დაარსდა, რამდენიმე ადამიანის თაოსნობით, „სოციალური თერაპიის სახლი."*

საქართველოში სოციალური თერაპიის პირველ მესვეურებს სურდათ, ისეთი თერაპიული დაწესებულებები დაეარსებინათ, სადაც ხანდაზმულ და განვითარებაშეფერხებულ ადამიანებს შრომით, მხატვრულ და კულტურულ საქმიანობებში ჩაბმით "უმკურნალებენ"; ამ დაწესებულებების წევრებს შორის თანასწორუფლებიანი ურთიერთობები დამყარებულიყო – ადამიანებს თითოეულის ინდივიდუალური თავისუფლებისთვის პატივი ეცათ და ერთმანეთს უანგაროდ დახმარებოდნენ.

„სახლის" დაარსების ერთ-ერთი მთავარი მიზანია განვითარებაშეფერხებულთა ინდივიდუალური, ყოველმხრივი განვითარება, მათი საზოგადოებაში ინტეგრაციის მოხერხება და საზოგადოების მხრიდან, ერთობლივ თანაცხოვრებისას, ამ ადამიანების წვლილის აღქმა...

ცამეტი წლის განმავლობაში „სახლის" მესვეურთა ჩანაფიქრი ნაწილობრივ ასრულდა: თავიდან სამუშაო პირობების უზრუნველყოფა და შენარჩუნება, ფაქტობრივად, ყოველდღიურად უხდებოდათ; ნელ-ნელა გადადგმული ნაბიჯები, რეალურად, ასევე ნელ-ნელა ხდებოდა თვალსაჩინო - ქართულად ითარგმნებოდა შესაბამისი ლიტერატურა, ამოქმედდა საკუთარი გამომცემლობა-სტამბა; პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ახალგაზრდა დამხმარეთათვის და მოხალისეებისთვის არაერთხელ ჩატარდა სპეციალური ტრენინგები თუ კონფერენციები.

საქართველოს რეგიონების გარდა, „სახლმა" საზღვარგარეთული კონტაქტებიც დაამყარა - გერმანიისა და შვეიცარიის სოციალურ-თერაპიულ დაწესებულებებს დაუკავშირდა. დღეს ამ "სახლის" არსებობას მხოლოდ ჰოლანდიელები უზრუნველყოფენ.

წლების მანძილზე თაოსანთა ზრუნვის შედეგად „სახლს" ახლა უკვე აქვს საკუთარი საქსოვი, სადურგლო, სანთლების დამამზადებელი სახელოსნოები, მინი სტამბა -საამკინძაო. განვითარებაშეზღუდულები ამ სახელოსნოებში ჩართულები არიან შრომის პროცესში, რომელიც მათი თავისებურებების გათვალიწინებითაა აწყობილი - ერთობლივ შრომაში მათი სრულფასოვანი მონაწილეობის გასაიოლებლად. აღსანიშნავია, რომ სახელოსნოს ხელმძღვანელი და დამხმარე მათთან ერთად მუშაობენ. უნარშეზღუდულები აქ თავიანთ არასრულფასოვნებას ვერ აღიქვამენ. სახელოსნოებში ისინი ამზადებენ ნატურალურ - ცვილისა და პარაფინის სანთლებს, რვეულებს და ბლოკნოტებს, საბეჭდ (შავ-თეთრ და ფერად) მასალას, გობელენებსა და სხვადასხვა ნაქსოვ ნივთებს. ეს პროდუქცია სხვებისთვისაც გამოსადეგი და საჭიროა, ხარისხიანია და ამიტომ რეალიზდება კიდეც.

„სახლის" მასპინძლები და სტუმრები (ორმოცამდე განვითარებაშეფერხებული ახალგაზრდა და ზრდასრული, რამდენიმე მარტოხელა, ხანდაზმული ქალი, ახალგაზრდა დამხმარეები, საშტატო პერსონალი და მოხალისეები) ერთად ხატავენ, ძერწავენ, კითხულობენ მხატვრულ და რელიგიურ ნაწარმოებებს, აწყობენ თავიანთი ნამუშევრების გამოფენებს, მართავენ კონცერტებს, სპექტაკლებს; აქ დღესასწაულებსაც აღნიშნავენ და ხანდახან ქალაქგარეთაც ერთად გადიან.

განვითარებაშეფერხებული ახალგაზრდები და ზრდასრულები თავიანთ ოჯახებში ცხოვრობენ, უბრალოდ, შაბათ-კვირის გარდა, „სახლში" ყოველ დღე მიდიან. ისინი „სახლში" მათთვის საგანგებოდ გამოყოფილ „მარშუტკას" მიჰყავს. ეს ადამიანები მუდმივად რაღაცას აკეთებენ. ეს მათ ყოველდღიურად მატებს თავდაჯერებას და არწმუნებს, რომ ქვეყნისთვის ისინიც საჭირონი არიან, თან ჩვეულ ურთიერთობის დეფიციტსაც არ განიცდიან.

„სახლის" საქმიანობის ძირითადი მიზანი ისაა, რომ საზოგადოებას განვითარებაშეფერხებულთა მიმართ ჯანსაღი დამოკიდებულება გაუჩნდეს, შეიცვალოს აქამდე არსებული სტერეოტიპები.

## მოკლედ

**თბილისი.** 26 მარტს, თავისუფლების მოედანზე, რუსთაველისა და ჭავჭავაძის გამზირებზე განთავსდება ნაგვის 300 ურნა, რომელსაც კოტე ყუბანეიშვილის მოწოდებები დაამშვენებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** არქიტექტურის სამსახური, გერმანიის ტექნიკური დახმარების საზოგადოებასთან ერთობლივ პროგრამას განახორციელებს. იგი მიწის, უძრავი ქონების აღრიცხვასა და შესაბამისი კანონმდებლობას შესწავლას ითვალისწინებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამედიცინო დახმარების, ფარმაცევტული საქმიანობისა და ნარკოტიკების ლეგალურ ბრუნვაზე კონტროლის ინსპექციამ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის სასამართლოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევების 63 ოქმი გადასცა.

ოქმები შედგენილია გასულ კვირას ვაგზლის მოედანზე, „ბავშვთა სამყაროსთან" ჩატარებული რეიდების შედეგად. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ვეტერინარული გაერთიანება 1 აპრილიდან ცოფთან ბრძოლის ორთვიან ღონისძიებას იწყებს. როგორც ვეტგაერთიანების ხელმძღვანელი ირაკლი მოსიძე აცხადებს, პირველ თვეს ვეტექიმები მთელი ქალაქის მასშტაბით იმუშავებენ, მეორე ეტაპზე კი ისინი ღონისძიებებს ცალკეულ რაიონებში ჩაატარებენ. 1 ივნისამდე დედაქალაქში ცოფის წინააღმდეგ უნდა აიცრას ყველა პატრონიანი ან მიკედლებული ძაღლი და კატა. ამ ღონისძიებებში ვეტგაერთიანების 60-80 ვეტექიმი იღებს მონაწილეობას. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** წინასწარი მონაცემებით, საქართველოში ტუბერკულოზით ექვსი ათასამდე ადამიანია დაავადებული. ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის გიორგი ხეჩინაშვილის ცნობით, ეს მაჩვენებელი პრაქტიკულად იგივეა, როგორც შარშან, ანუ დაავადების გავრცელება შეჩერებულია, რასაც ტუბერკულოზთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის განხორციელებამ და დონორი ორგანიზაციების დახმარებამ შეუწყო ხელი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ჟენევა.** ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ინფორმაციით, მძიმე რესპირატორული სინდრომის შემთხვევები უკვე შვეიცარიაშიც დაფიქსირდა. ბოლო მონაცემებით, მსოფლიოში ამ დაავადების 305 შემთხვევა აღირიცხა, მათგან დღემდე 12 ადამიანი გარდაიცვალა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** „სოციალური თერაპიის სახლის" სამეურნეო მენეჯერის კახა დათუაშვილის ინფორმაციით, მხოლოდ თბილისში 5 ათასამდე ადამიანი ბავშვობიდან ინვალიდია. არასამთავრობო ორგანიზაცია „სოციალური თერაპიის სახლი" 25 მარტს თბილისში აწყობს სპეციალურ კონფერენციას თემაზე „სოციალური თერაპია, როგორც შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოზრდილთა სოციალური ინტეგრაციის საშუალება". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის საქართველოს ოფისის ინიციატივით სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში ტარდება ტუბერკულოზის წინააღმდეგ მიმართული პროგრამა „Dots".

როგორც ამ ოფისის ხელმძღვანელმა დავით ახობაძემ განაცხადა, 7.000 პატიმრიდან ყოველწლიურად 500-ზე მეტი ტუბერკულოზით ავადდება. ამასთან, ერთ დავადებულ პატიმარს 100–150-მდე სასჯელმისჯილის დაავადება შეუძლია. ახობაძის თქმით, 1998 წლიდან 2000-ზე მეტს „Dots" პროგრამით უმკურნალეს და ამათგან 78 პროცენტი განიკურნა. **მედია-ნიუსი**

www.24hours.ge 24 B

ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge



ნოდარ ლადარია

ოდესღაც ხალიფა **ჰარუნ არ-რაშიდის**, აწ კი **სადამ ჰუსეინის** ქალაქი ცეცხლის ალშია გახვეული. ამის გამო ჩვენს გაზეთში კვირის დასაწყისიდან, ესე იგი ომამდე გამოქვეყნებული ბევრი მასალა უკვე მოძველდა. ომი, როგორც ცნობილია, ყველაფერს ჩამოწერს...

მეორე მხრივ, საქართველოს შიგა საქმეები, კერძოდ კი პარლამენტში გამართული ვნებათაღელვა იმდენად აჩქარებულია, იმდენად კალეიდოსკოპური, რომ გუშინდელ ინფორმაციას დღეს უკვე ყოველგვარი ღირებულება ეკარგება. საინტერესოა, რომ პარლამენტმა, სადაც მსოფლიოს სხვა საკანონმდებლო ორგანოებთან შედარებით, ალბათ, ყველაზე უფრო ხშირად ისმის საუკუნეების წინათ მცხოვრები ისტორიული პერსონაჟების სახელები, ყველაზე თანმიმდევრულად ერთი პრინციპი განახორციელა: წარსულს მნიშვნელობა არა აქვს...

მაგრამ ისევ ერაყის ომს დავუბრუნდეთ, რომელიც უკვე რამდენიმე დღეა მიმდინარეობს და პირველივე წუთებიდან შოუდ იქცა. ეს არაა ზნეობრივი შეფასება, ეს ემპირიული ფაქტია — ყველასათვის ცნობილი, ვის ბინასაც იმდენი ხანი მაინც მიეწოდება ელექტროენერგია, რომ ტელევიზორის ეკრანმა გახურება მოასწროს. თუმცა, ამ მდგომარეობაში CNN-ის მოცქერალი ქართველი მხოლოდ იმის გაფიქრებას ასწრებს, რომ ფრთოსანი რაკეტების ცეცხლქვეშ მყოფ ქალაქში შუქი არ ქვრება.

"24 საათმა" საკმაო ადგილი დაუთმო ომის შესახებ სხვადასხვა თვალსაზრისებს. ზოგი მათგანი (ქართველი "პაციფისტების" გამოსვლები და ზურაბ ჭიაბერაშვილის მიერ ერაყის ომის იდეური გამართლება) უკვე მიმოვიხილე წინა პუბლიკაციაში. მაგრამ ნაკადი არ შემცირებულა. ომის "მხარდამჭერებს" შეემატა **გიგი თევზაძე** (წერილი ქართველ მეგობარს — 18 მარტი), რომელმაც სათაურით ისიც მიგვანიშნა, რომ არაქართველი მეგობრებიც ჰყავს. ეს სრულიად ზედმეტი შენიშვნაა ჩემი მხრიდან, თუმცა კი იმაზე მიუთითებს, რომ ავტორი საკმაო სიმკაცრით ეპყრობა სიტყვებს და ამ სიმკაცრეში დაფარულ აზრსაც გამოთქვამს. აი, ვნახოთ: "მე იმ ადამიანებს მივეკუთვნები, ვისზეც ამბობენ, რომ ისინი ომს მხარს უჭერენ". დიახ, **ტონი ბლერი**, მაგალითად, ომს მხარს უჭერს, ხოლო ზურაბ ჭიაბერაშვილი, გიგი თევზაძე და, თუნდაც გელა ჩარკვიანი კი იმათ კატეგორიას მიეკუთვნებიან, ვისზედაც ამას ამბობენ. ეს არ ნიშნავს, რომ ეს ადამიანები, და მათთან ერთად ბევრი სხვა, გულწრფელნი არ არიან — უბრალოდ, მათი თვალსაზრისი უმცირეს გავლენასაც ვერ მოახდენს უმთავრეს მოვლენებზე. ერაყის ომის, როგორც უკვე განხორციელებული რეალობის შესახებ გამოთქმული ნებისმიერი შეფასება მხოლოდ შემფასებლის ადგილმდებარეობას განსაზღვრავს ღირებულებათა იმ შკალაში, რომელიც ამჟამად ჩამოყალიბების პროცესშია. ახალი ადგილების დასაკავებლად უკვე გრძელი რიგი დადგა: 21 მარტის B1 გვერდზე ვხედავთ ვეებერთელა სათაურს: მსოფლიოს შემოქმედთა კომენტარები ერაყის ომზე. რას იტყვის მსოფლიოს შემოქმედი, ამას ჩვენ დანამდვილებით ალბათ მხოლოდ მეორედ მოსვლისას გავიგებთ, მანამდე კი შემოქმედთა (მრავლობით რიცხვში) აზრებს გვთავაზობენ. მსხვილი პლანით: **ჯონ ლე კარე**, **პაულო კოელიო** (და არა კოელო, როგორც დაიბეჭდა), **სალმან რუშდი**, **გიუნტერ გრასი**; ფონს ქმნიან: **იოკო ონო** (ჯონ ლენონის ქვრივი), **აკი კაურისმიაკი** (ფინელი რეჟისორი), **რობი ვილიამსი** (ბრიტანელი პოპ-მომღერალი) და **მარტინ ვალზერი** (გერმანელი ბელეტრისტი). ყველანი, როგორც მოსალოდნელია, ომის წინააღმდეგნი არიან და სხვადასხვანაირად კიცხავენ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას. ჯონ ლე კარე, როგორც დეტექტივების ავტორს შეჰფერის, ომის დაფარულ მიზეზებს იკვლევს და უკვე ტრივიალურად ქცეული ნავთობის გარდა ამერიკის შინაგან პრობლემებზეც მიუთითებს. პაულო კოელიო — ისიც საკუთარი სტილის ერთგული — შთამბეჭდავ პოეტურ-რიტორიკულ სიტყვას გვთავაზობს, რომელიც, როგორც იტყვიან, ერთობ ხმამაღლაა დაწერილი (და, უნდა ითქვას, ასევე ხეირიანად ითარგმნა ქართულადაც არ ვიცი რომელი ენიდან). სალმან რუშდი ოდნავ იბნევა, რადგან ორი კურდღლის დაჭერა სურს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც ვერ წყდება საკრამენტულ შეკითხვას — ვის გვერდით დგახართ, კულტურის მოღვაწენო? — და ისიც კიცხავს ამერიკას. გიუნტერ გრასი ორიგინალური არგუმენტაციისთვის თავს არ იწუხებს, მისთვის მთავარია ომის მიმართ, როგორც ახლა ამბობენ, "ნეგატიური პოზიცია დააფიქსიროს". ასევე ნეგატიურად არიან განწყობილი ზემოთ ჩამოთვლილი შედარებით წვრილი მოღვაწეები.

რა შეგვიძლია ვთქვათ ყოველივე ამის შესახებ? პირველი და ყველაზე ცინიკური აზრი, რომელიც გამიჩნდა, ისაა, რომ სამხედრო მოქმედებების დასაწყისმა ინტელექტუალები ინტელიგენტებად აქცია. უფრო ღრმად ჩაფიქრებას ამ პირველი თვალსაზრისისგან ძალიან შორს არ წავუყვანივარ: ჯერ ის გამახსენდა, რომ ბუშმა ჩრდილოეთ კორეას, ირანსა და ერაყს "ბოროტების ღერძი" უწოდა (რეიგანის "ბოროტების იმპერიისგან" არც ის წასულა შორს), მერე კი გავიფიქრე, რომ გაგანია უცენტრო და ხილული ორიენტირების იერარქიას მოკლებულ პოსტმოდერნიზმში ერაყის ომი მართლაც რაღაც ღერძს ქმნის, რომელიც თვით ინტელექტუალებსაც მოენატრათ. ჰოდა, დააცხრნენ კიდეც საკბილოს, რადგანაც ყოველი მათგანი გულის სიღრმეში გრძნობს, რომ ყველაზე უბადრუკი სანახაობა გამარჯვებული ნონკონფორმისტია.

რაც შეეხება კონფორმისტებს, რომლებთაც გამარჯვება არ ემუქრებათ, რადგანაც მათი გამარჯვება ყოველთვის სხვისია, ამ შემთხვევაში უნდა მივმართოთ 21 მარტის ნომერში გამოქვეყნებულ **დავით გამყრელიძის** ("ახალი მემარჯვენეები") წერილს: რატომ ვუჭერ მხარს ერაყისა და მისი მოსახლეობის გათავისუფლებას. მხოლოდ ორიოდე სიტყვით შევჩერდეთ სათაურზე, რომელშიც სიტყვები "ერაყის გათავისუფლება" ყოველგვარი კონტექსტისგან დამოუკიდებლად დადებითი მნიშვნელობის მატარებელია და "ჭკუათმყოფელ კაცს", რომლის გონებისადმი ერთ ადგილას უკვე აპელირებს ავტორი, მხოლოდ მაშინ შეიძლება დასჭირდეს ამის ახსნა, როცა თვით "გათავისუფლებაში" ეპარება ეჭვი. ავტორი თავისი პოზიციის სამ მიზეზს ასახელებს: 1) "პრაგმატული" — საქართველოს ინტერესები ემთხვევა ამერიკის ინტერესებს, რომლის ინტერესები, თავის მხრივ, არ ემთხვევა რუსეთისას, ამიტომ გადამწყვეტ მომენტში მხარი უნდა დავუჭიროთ ამერიკას, რადგან ეს გარკვეულ პერსპექტივას გაგვიხსნის მომავალში; 2) "იდეოლოგიური" — ამერიკის მიერ ერაყში წარმოებული ომი სამართლიანია, რადგანაც სადამ ჰუსეინი თავისი ხალხის მტარვალია, თანაც არაბი ტერორისტების ქსელთან დაკავშირებული; 3) "დემაგოგიური" — როგორც ამერიკამ და დიდმა ბრიტანეთმა "დაადეს" გაერო-ს, დროა ჩვენც მათ მაგალითს მივბაძოთ და ჩვენს სუვერენიტეტზე დაყრდნობით, ყოველგვარი "ამორფული საერთაშორისო ორგანიზაციების" გარეშე გადავწყვიტოთ აფხაზეთის პრობლემები.

წერილი იწყება საკვირველი ფრაზით: "**ერაყთან დაკავშირებით ატეხილმა აჟიოტაჟმა ქართველი პოლიტიკოსისათვის უჩვეულო ნაბიჯის გადადგმა გადამაწყვეტინა**". ნუთუ ზემოხსენებულ სამ მიზეზში ვინმე ხედავს რაიმე "უჩვეულოს"? — 1) ოღონდ გვიპატრონოს და ეშმაკსაც მხარს დავუჭერ; 2) არავის ეგონოს, რომ მე დემოკრატიულ ღირებულებებს უგულებელვყოფ; 3) არავის ეგონოს, რამე მეშლება პატრიოტიზმში და აშშ-სა და დიდ ბრიტანეთზე ნაკლებ რომელიმე ქვეყანას დავატოლებ ჩემს საფიცარ სამშობლოს. დაინახეთ რამე უჩვეულო? — მე ვერა. პირიქით, "ახალ მემარჯვენეთა" ფრაქციის თავმჯდომარის სტატიაში სწორედ რომ ახალი არაფერი იგრძნობა, თუ ახლად ცუდად დავიწყებულ ძველს, ანუ რომელიმე "სერპ ი მოლოტის" მშრომელთა რომელიმე სალვადორ ალიენდეს მხარდასაჭერად გამართულ მიტინგზე პარტკომის მიერ წარმოთქმული სიტყვის სტილს არ მივიჩნევთ.

აშშ-ს აპოლოგიას თან ახლავს გაერო-ს დემონიზაცია: "**გარდა მორალური ვალდებულებისა, ჩემთვის, როგორც საქართველოს მოქალაქისთვის, უფრო დიდი მიზეზიც არსებობს, რათა აშშ-ს ბრძოლას ერაყში, გაერო-ს რეზოლუციის გარეშე, მხარი დავუჭირო. ჩვენ აფხაზეთი და სამაჩაბლო გვაქვს დასაბრუნებელი. უკვე ათი წელია, გაერო-ს იმედად ვართ, მაგრამ ერთადერთი, რასაც გაერო აფხაზეთში კონფლიქტის მოსაგვარებლად გვთავაზობს, დსთ-ს სამშვიდობო ძალებისათვის მანდატის გაგრძელებაა. ეს მაშინ, როცა ყველა ქართველმა და განსაკუთრებულად დევნილებმა, კარგად იციან, თუ რა როლს ასრულებენ რუსი მშვიდობისმყოფელები აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხში**". რა შემიძლია ვთქვა, როგორც საქართველოს მოქალაქემ? — მე ამ მხრივ არაფერი დამიმსახურებია, რადგან მთელი ამ დროის განმავლობაში თვითონაც პირდაფჩენილი ვუყურებ პოლიტიკოსებს, რომლებსაც უკვე ათი წელია ჰგონიათ, რომ გაერო-მ რაღაც დაკარგული უნდა დაგვიბრუნოს, საქმეები მოგვიგვაროს, ცხოვრება მოგვიწყოს. მე მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, ბატონო გამყრელიძევ, რომ სახელმწიფოსთვის, რომელიც თავისი შიგა პრობლემების მოსაგვარებლად ხან სხვას შესჩერებია ხელებში და ხანაც საკუთარი თავდაცვისუნარიანობის საკმარისობაზე მსჯელობს, ტერიტორიული მთლიანობა არამია.

მესამე არგუმენტს, თუ გახსოვთ, "დემაგოგიური" ვუწოდე. დემაგოგია ბერძნულად და სიტყვასიტყვით ხალხის წინამძღოლობას ნიშნავს. ქართველი პოლიტიკოსისთვის კი ისიც არაა უჩვეულო, როდესაც ხალხის წინამძღოლობას (მაგალითად, ომისკენ) ხალხისვე ტერმინოლოგიითა და ცნებობრივი აპარატით აპირებს, ან, ყოველ შემთხვევაში, დიდად არ შორდება მას. ომის დაწყებიდან ერთი დღის შემდეგ "მარშრუტკაში" გავიგონე ერთი ხანდაზმული და დარბაისელი კაცის სიტყვა: "ეჰ, ეს გაერო თუ გეერო მაგარი ნეხვი ყოფილა — ვერაფერი უქნა ბუშსა". როგორც ცნობილია, ნეხვი, რაგინდ მაგარი არ უნდა იყოს, ამორფულ ნივთიერებათა ტიპს მიეკუთვნება. ახლა კი გასაგებია, ვისზეა გათვლილი ბ-ნ გამყრელიძის რიტორიკა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ამორფულობის გამო წუწუნი.

ერთი სიტყვით, ომის მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა თვალსაზრისებმა უკვე დაკარგეს მნიშვნელობა და, იმედია, ჩვენი გაზეთის ფურცლებზეც აღარ ვიხილავთ ამ აწ უკვე ყავლგასულ მსჯელობებს.

უფრო საინტერესო ჟანრს განეკუთვნება შემდეგი ორი პუბლიკაცია: **გიორგი ხელაშვილი**, გულუბრყვილო პოზიცია ერაყის ომის მიმართ (17 მარტი) და **თემურ იაკობაშვილი**, რა უნდა ამერიკას ერაყში (18 მარტი). დავიწყოთ ბოლოდან: თემურ იაკობაშვილის სტატიას წინ უძღვის განცხადება, რომელიც, ერთი შეხედვით, სრულიად ზედმეტია: "კითხვა — იქნება თუ არა ომი? — უკვე არააქტუალურია. საინტერესოა სხვა კითხვა: რა უნდა ამერიკას ერაყში?". ეს ხომ ჩვენც ვიცით! მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ხალხის და, თქვენ წარმოიდგინეთ, დეპუტატების დაუინტერესებლობას სინამდვილის მიმართ, შეხსენება არა მარტო სასურველად, აუცილებლადაც წარმოგვიდგება. მახსოვს, საქართველოს პარლამენტის აპარატის კვლევითი დეპარტამენტის ყველა უფროსი ჩიოდა, რომ დეპუტატებს არაფერი აინტერესებთ და იშვიათად თუ ვინმე დასვამს რაღაც შეკითხვას ან რაიმე ინფორმაციას მოითხოვს. ასეთ მდგომარეობაში — მით უმეტეს, რომ კატა-თაგვობანით გართული დეპუტატები ერთმანეთსაც ვერ ხედავენ (იხ. **გიორგი ასანიშვილის** 19 მარტის პუბლიკაცია), ხომ შეიძლება ვინმეს ეგონოს, რომ ომი ჯერაც არ დაწყებულა.

ასეა თუ ისე, რეალობის რაციონალური გაგება, მისი დანაწევრება შემადგენელ ელემენტებად და მოქმედ ფაქტორებად, ფანქრით ხელში უბრალო გამოთვლა იმდენად იშვიათია ჩვენს ქართულ სინამდვილეში და, საბოლოოდ, ამ იშვიათობას იმდენი უბედურება მოჰყვება ხოლმე, რომ მსგავსად აგებული სტატიები მეტად სასარგებლო მოვლენად მიმაჩნია. ფიქრსა და განსჯასაც სწავლა სჭირდება.

გიორგი ხელაშვილმაც ერთგვარი პოლიტიკური პროგნოზის გაკეთება სცადა. პროგნოზის არსი შემდეგშია: შევარდნაძეს ძალაუფლების შესანარჩუნებლად სჭირდება გარეშე ძალის ხიშტები (ის რომ ეს ხიშტები მაინცდამაინც ჩვენს წინააღმდეგ არ იქნება მიმართული, არსებითი არაა), ამიტომ ის მხარს უჭერს ამერიკას, ეს უკანასკნელი კი დაინტერესებული იქნება შევარდნაძის რეჟიმისა და მისი პირდაპირი მემკვიდრეების შენარჩუნებაში. სტატიაში კიდევ რამდენიმე თითქმის აპოკალიფსური სურათია დახატული, რომელთა განხორციელება თვით ავტორსაც ნაკლებად ალბათურად მიაჩნია. მაგრამ სტატიის მოტივაცია სხვანაირია: საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების დაინტერესებულობა ჩვენი შორეული ან თუნდაც ახლო მომავლით იმდენად მცირეა, რომ თვით ოპტიმიზმით უსაზღვროდ დამუხტული პიროვნება, გიორგი ხელაშვილიც კი სასოწარკვეთით მიმართავს შავბნელი სურათების ხატვას მათი გაღვიძების მიზნით. ბოლოს და ბოლოს, მცირე იმედი მაინც ვიქონიოთ, რომ საქართველოს პრეზიდენტის განცხადება, რომ იგი "ყველაფრამდე მხარს უჭერს ბუშს" (ვაპატიოთ დიალექტიზმი — ასაკობრივია), მშვენივრად ეწერება იმ მოდელში, რომელიც სტატიაში ომისადმი გულუბრყვილო მიდგომად განისაზღვრა, და არანაირ შორსგამიზნულ განზრახვას არ შეიცავს.

მადლობა ღმერთს, ჭკვიანი ხალხი მართლაც ცოტაა ჩვენი ხელისუფლების შტოებში, თორემ რაც იმათ ერთმანეთი სძულთ და ჩვენც გულზე არ ვეხატებით, ხომ გაცილებით უფრო ადრე გამოგვიყვანდნენ წირვას.






## გასულ კვირას

# როცა ტყვიები ზუზუნებენ

### დადუმდებიან მუზები საქართველოში?

მადი სერებრიაკოვა

ერაყში დაწყებულ სამხედრო აქციას როგორც პოლიტიკურ, ისე სახელოვნებო წრეებში "მესამე მსოფლიოს ომს" უწოდებენ. სამხედრო აქციის ლოკალიზება, ალბათ, ერაყშივეა შესაძლებელი, მაგრამ ის რეაქცია, რაც მსოფლიოში ბუშის პოლიტიკამ გამოწვია, მართლაც, "მსოფლიო ომად" შეიძლება მოინათლოს: ომად - დიქტატურისა და აგრესიის, ძალადობისა და ძალადობისავე საპირისპიროდ მიმართული ძალადობის, ადამიანების გარკვეული ჯგუფის მიერ სხვათა ფიზიკური და მორალური ჩაგვრისა და ამავე დროს, თავსმოხვეული და კონკრეტული კულტურისათვის სრულიად მიუღებელი ახალი სახელმწიფოებრივი წესრიგის წინააღმდეგ. ბოროტების ხემ, რომელსაც წლების მანძილზე ვერ, თუ არ ვამჩნევდით და ინდიფერენტულობით კარგადაც ვუნოყიერებდით ნიადაგს, დღეს უფრო სახიფათო ნაყოფი გამოიღო. მონსტრების ბრძოლამ კი მთელ მსოფლიოში ხელოვანთა თითქოს ყველაზე განსხვავებული წრეები დააახლოვა. მიუხედავად ოფიციალური წრეების მცდელობისა, ჩაახშოს პროტესტი (მაგალითად "ოსკარის" ცერემონიაზე დაწესებული ცენზურაც გამოდგება), იგი მაინც პოულობს თავის გზას საზოგადოებაში. ომის საწინააღმდეგო სიმღერები შექმნეს პოპ-ვარსკვლავებმა, "ოსკარზე" უარი განაცხადა ზოგიერთმა ნომინანტმა, washingtom post-ის ფურცლებზე კი იოკო ონონს მიერ მამასისხლად ნაყიდ სარეკლამო ფართიზე სამშვიდობო მოწოდებები იბეჭდება.

როდესაც ქართულ კულტურაში ერაყის ომის გამოძახილის მოძიებაზე დავიწყე ზრუნვა, ერთმა კოლეგამ გულწრფელი ირონიით მითხრა: "ქართულ კულტურაზე აფხაზეთის ომი არ ასახულა, ერაყს ვინ ჩივისო". მართლაც, ნაკლებად მახსენდება ისეთი არტისტული აქციები, რომლებიც ცოტათი მაინც დაუახლოვებდა რეალობას საქართველოს ავტოტრასებზე გამართულ სარეკლამო ფარებზე ამაყად გამოჭიმულ "გვახსოვდეს აფხაზეთს". თუმცა, ლოკალური პრობლემები "მსოფლიო ომთან" სად მოვა?! ეს უკანასკნელი კი ჩვენში საკმაოდ უსუსური პაციფისტური აქციებით გახმოვანდა. რა თქმა უნდა, ამით აქციაში მონაწილე არტისტების პროფესიონალიზმი კი არა, უფრო მათი პოლიტიკური აქტივობის არგუმენტირებულობა დგება ეჭვქვეშ.

სამწუხაროდ, ერაყის ომი ჩვენს კულტურაზე მაინც აისახება, თუმცა, არა იმ თვალსაზრისით, როგორც ეს დანარჩენ მსოფლიოში ფიქსირდება. ერაყის კონფლიქტის შედეგები ჩვენში, ძირითადად, გადადებული თუ ეჭვქვეშ დაყენებული გასტროლებით გამოიხატა, თანაც საკმაოდ გრძელვადიან პროექტებში. ჰუსეინ-ბუშის ტანდემის დამსახურებით, ივლისში, თბილისის საერთაშორისო ჯაზ-ფესტივალზე ჩამოსვლა გადადეს ჩიკ კორეამა და მაიკლ ფრეკსმა, ეჭვქვეშ დადგა ჯორჯ ბენსონის ვიზიტიც. ამ უკანასკნელმა ჯერ კიდევ დაგვიტოვა იმედი, იმის მიხედვით, თუ როგორ წარიმართება კონფლიქტი. დანარჩენებმა კი, აღნიშნულ საკონცერტო სეზონზე არჩევანი ავსტრალიის – ომისგან ყველაზე მოშორებული რეგიონის სასარგებლოდ გააკეთეს. ჩიკ კორეამ საქართველოსთან ერთად, ისრაელში და კვიპროსზე დაგეგმილ გასტროლებზეც თქვა უარი.

ჩიკ კორეას სულ არ გვანან თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დასის წევრები. 28 მარტს ისინი საგასტროლოდ ისრაელში უნდა გაემგზავრონ. სპექტაკლის დეკორაციები უკვე დანიშნულების ადგილზეა გაგზავნილი. ისრაელში ჩვენმა დასმა 2 სპექტაკლი (დოლიძის "ქეთო და კოტე") და გალა-კონცერტი უნდა წარმოადგინონ. თბილისის საოპერო თეატრი ათი წელია გასტროლებზე არ წასულა. ამ მოვლენისთვის ისინი დიდი ხანია ემზადებოდნენ. "ქეთო და კოტე" ისრაელის დელეგაციამ (ამ უკანასკნელს საქართველოდან წასული ცნობილი მუსიკოსი იოსებ ბარდანაშვილი ხელმძღვანელობდა) შეარჩია. არჩევანი, ძირითადად, შერჩეული ოპერის ჟანრმა განაპირობა. სოლისტებს შორის კი თემურ გუგუშვილი, ლიანა კალმახელიძე, გია მახარაძე, ნინო ლეჟავა, ბესო გაბიტაშვილი, ირმა ბერძენიშვილი, რევაზ ლაგვილავა და სხვ. შეირჩა.

სხვა მხრივ კი ომთან დაკავშირებული კულტურული "ზასტოი" თბილისში არ დაფიქსირებულა. კვლავ ძველებურად იფინებიან ქართველი მხატვრები, საკუთარ ლექსებს კითხულობენ ახალგაზრდა პოეტები. თეატრალურ სარდაფში და "პარნასში" გამართული აქციებით თბილისელი ქალიშვილები რატი ამაღლობელმა ააღელვა. გოგი ძოძუაშვილთან ერთად განხორციელებული მისი პოეტურ-ლეტერატურული პერფორმანსი, ბევრად უფრო საამური ხმაურით წარიმართა, ვიდრე ბაღდადის ცაზე მოზუზუნე ბომბებია. საერთაშორისო არენაზე კი თბილისში გამართული ფრანკოფონიის დღეებიც დაფიქსირდა.

## კალენდარი

### 24 მარტი



ის იმ ვარსკვლავთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც თაყვანისმცემლებს არასოდეს კარგავენ. მისი გარდაცვალებიდან 22 წელი გავიდა, წიგნის მაღაზიებსა და ინტერნეტში კი დღემდე მრავლად ნახავთ მის ბიოგრაფიებს, ფილმოგრაფიებს, ფოტოსურათებს, ფილმები, რომლებშიც სტივ მაკქუინი თამაშობს, კვლავ აქტუალურია, და მის თაყვისმცემელთა კლუბებს მრავალ ქვეყანაში შეხვდებით.

"შესანიშნავ შვიდეულში" შესანიშნავი ვინი ყველას ახსოვს – მომხიბვლელი, კეთილშობილი მამაკაცი. ფილმის ეკრანებზე გამოსვლის დღიდან ბიჭები ცდილობდნენ, რამით მაინც დამსგავსებოდნენ, ქალები მისი დარი მამაკაცის გაცნობაზე ოცნებობდნენ...

"შესანიშნავ შვიდეულში" შესრულებული როლი ამერიკელი მსახიობის, სტივ მაკქუინის პირველი დიდი წარმატება იყო.

მანამდე მაკქუინი, იგივე ტერენს სტივენსი, მამასთან იზრდებოდა – მშობლები გაყრილი იყვნენ; 15 წლის ასაკში ძნელად აღსაზრდელთა ინტერნატში მოხვდა – "კანონთან ურთიერთობა გაურთულდა". სწრაფი მანქანები, მოტოციკლეტები და თავის მსახიობური ნიჭი საზღვაო ფლოტში სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ, ნიუ იორკში ჩასულმა აღმოაჩინა, სადაც სამსახიობო სასწავლებელში სწავლის ფულს პოკერის თამაშით აკეთებდა.

თავიდან ის პატარ-პატარა როლებს თამაშობდა – რომერტ უაიზის ფილმში "ზემოთ ვიღაცას ვუყვარვარ", ფრიც ლანგთან - "არაჩვეულებრივ სინამდვილეში".

მაკქიუნს მკვეთრად გამოხატული ამპლუა ჰქონდა: მძაფრსიუჟეტიანი ფილმის პერსონაჟი, ხშირად – აღმოსავლური ეგზოტიკის იდუმალებით შემკული, ან ამერიკის ველური დასავლეთის გმირი, რომლის სახე და ქცევა რთული ბედის, კანონის უძლურების რწმენისა და საკუთარი თავის ცინიკური იმედის დამღით იყო აღბეჭდილი.

პიტერ იეტსის ფილმში, "ბულიტში" შესრულებული როლის შემდეგ კი სტივ მაკქუინი თავისი ჟანრის ჭეშმარიტ ოსტატად აღიარეს. ეს ფილმი და "ფარვანა" მისი ყველაზე დიდი წარმატება იყო – ამ უკანასკნელში შექმნილი სახე თავისუფლების სიმბოლოდ იქცა.

მაკქუინი კვალავაც განაგრძობდა მძაფრსიუჟეტიანი კინოს ოსტატებთან – სემ პეკინპასთან, ჯონ გილერმინტთან მუშაობას და "სერიოზულ" კინოზე ოცნებას. როცა გამდიდრდა, ოცნება აისრულა – იბსენის სოციალური დრამის, "ხალხის მტრის" ეკრანიზაცია შეძლო და ფილმში მთავარი როლი თავადვე შეასრულა.

დიდი გამოხმაურება მოჰყვა მის უკანასკნელ როლსაც ვესტერნში "ტომ ჰორნი" – ამერიკულმა პრესამ ის მომაკვდავი მაკქუინის მიერ შექმნილ ერთ-ერთ საუკეთესო სახედ აღიარა. სულ მალე 50 წლის მსახიობი ფილტვის კიბოთი გარდაიცვალა.

ამერიკელი მსახიობი, **სტივ მაკქუინი**, დაიბადა 1930 წლის 24 მარტს.

# „ხმა ადეკვატური პიროვნებისა და პიროვნება ადეკვატური ხმისა„

### დღეს თენგიზ მუშკუდიანის 75 წლის იუბილე აღინიშნება

მადი სერებრიაკოვა



თენგიზ მუშკუდიანი

ფოტო: ბესარიონ ბუხაიძე

თენგიზ მუშკუდიანს საოპერო ხელოვნების მოყვარულები კარგად იცნობენ. განსაკუთრებით ისინი, ვინც მისი შემოქმედებითი ცხოვრების ზენიტს მოსწრებიან. ქართული საოპერო ხელოვნების ერთ-ერთი ყველაზე გამორჩენილი ბანის 75 წლის იუბილეს დღეს კონსერვატორიის დიდ დარბაზში მისი მოსწავლეები და კოლეგები კონცერტით აღნიშნავენ.

**"ბარიტონის სითბო, ტენორის ელვარე შარავანდედი და ამავე დროს ბანის სიღრმე** – ასე აფასებს თენგიზ მუშკუდიანის განსაკუთრებულ ხმას მისი კოლეგა, ცნობილი ქართველი მომღერალი და პედაგოგი, პროფესორი ნოდარ ანდღულაძე – **სცენაზე მას მოაქვს ქართული არისტოკრატიული სული. მისი ბუნება არაჩვეულებრივად კეთილშობილი, კეთილსინდისიარია და თავმდაბალია. ეს იგრძნობა მის ხმაშიც. ხმა ადეკვატურია პიროვნებისა და პიროვნება ადეკვატური ხმის."**

ვიდრე საბოლოო არჩევანს სიმღერაზე შეაჩერებდა, თენგიზ მუშკუდიანი სამედიცნო საქმიანობას მიჰყვებოდა. საბედნიეროდ, სოცილისტურ წარსულში უმაღლეს სასწავლებლებს ტრადიციად ჰქონდათ სტუდენტთა თვითშემოქმედების საღამოები მოეწყოთ. ასეთ საღამოებში მონაწილეობას თავის დროზე იუბილარი მომღერალიც იღებდა. სწორედ ამ დროს ურჩიეს კონსერვატორიაში ჩაებარებინა. საბოლოოდ, მუშკუდიანი კონსერვატორიის სტუდენტი გახდა, ხოლო ჯერ კიდევ მესამე კურსზე სწავლისას საოპერო თეატრში დაიწყო მუშაობა.

როდესაც თენგიზ მუშკუდიანის სრულყოფილ სიმღერაზე საუბრობენ, განსკუთრებით მის მიერ გავლილ ვოკალურ სკოლას უსვამენ ხაზს. თავდაპირველად მისი მასწავლებელი ცნობილი ქართველი პედაგოგი ვალერიან ქაშაკაშვილი იყო. სტაჟირებას კი იგი მოსკოვის დიდ თეატრში, გამოჩენილ მომღერალთან – მარკ რეიზენთან გადიოდა.

32 წლის მანძილზე თბილისის საოპერო თეატრის სოლისტი ბანის თითქმის ყველა მნიშვნელოვან პარტიას ასრულებდა. განსკუთრებული აღიარება მის მიერ შესრულებულ ბორის გოდუნოვის სახეს ხვდა წილად. თავისი ღირსებებით იგი მეტოქეობას იგი დიდ რუს ბანებსაც უწევდა: **"მუშკუდიანის შესრულებული მეფისტოფელი ოქროს ასოებით უნდა ჩაიწეროს ქართული ოპერის ისტორიაში** – აღნიშნავს ნოდარ ანდღულაძე – **არავითარ მიმბაძველობას არ ჰქონდა ადგილი, თვით შალიაპინის მიმართაც, ეს იყო მთლიანად მისი შინაგანი სამყაროდან წამოსული ბორისი, რომელიც ამავე დროს, სრულიად ადეკვატური იყო როგორც მუსორგსკის მუსიკის, ისე - პუშკინის სახისა."**

განსაკუთრებული აღფრთოვანებით მუშკუდიანის მიერ შესრულებულ მეფისტოფელის სახესაც იხსენებენ. მეფისტოფელთან ერთი არცთუ სასიამოვნო ისტორიაც არის დაკავშირებული. 1959 წელს, მაშინდელ ჩეხოსლოვაკიაში გასტროლების დროს, მეფისტოფელის სცენა ისე იყო დადგმული, რომ გმირი ბოლო რეპლიკის დროს დაზგიდან უნდა გადმოვარდნილიყო. ერთ-ერთი გადმოვარდნის დროს, მუშკუდიანი ცოტა უხერხულად დაეცა და ფეხი მოიტეხა. საბოლოოდ, იგი სცენაზე თაბაშირში ჩასმული ფეხით ნოდარ ანდღულაძეს მოჰყავდა. აღსანიშნავია, რომ ფეხმოტეხილ მეფისტოფელსაც არანაკლები წარმატება ხვდა წილად.

მუშკუდიანს გასტროლებით თითქმის მთელი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების საუკეთესო თეატრები აქვს შემოვლილი (ამაზე შორს გასვლა, სამწუხაროდ, მაშინ თითქმის წარმოუდგენელი იყო). პრაღის, ვარშავის, მოსკოვის, პეტერბურგისა, კიევისა და სხვათა გვერდით კი თავად მუშკუდიანმა აფრიკული გასტოლებიც მხიარულად გაიხსენა: **"არ გეგონოთ, იქ მხოლოდ ბეჰემოტები ჰყავთ, სამხრეთ აფრიკაში მშვენიერი თეატრიც არის"**

გარდა ბანისთვის განკუთვნილი თითქმის ყველა მნიშვნელოვანი პარტიისა - ზემოთ აღნიშნული ბორისი, მეფისტოფელი, დონ ბაზილიო ("სევილიელი დალაქი"), რამფისი ("აიდა"), რენე ("იოლანტა"), მეწისქვილე ("ალი"...) - მუშკუდიანი კამერულ რეპერტუარსაც ბრწყინვალედ ფლობდა. მასვე ეკუთვნის თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებების პრემიერები (ალექსანდრე ჭავჭავაძის როლი დავით თორაძის "ჩრდილოეთის პატარძალში"). სხვათა შორის, თენგიზ მუშკუდიანს კინოში შესრულებული როლებითაც გამოუჩენია თავი ("დიდოსტატის მარჯვენა").

აღიარება თენგიზ მუშკუდიანს არასოდეს დაჰკლებია: მას სრულიად ახალგაზრდას მიანიჭეს სახალხო არტისტის წოდება (1962 წელს), არის ფალიაშვილის პრემიის ლაურეატი და ღირსების ორდენის კავალერიც. ამჟამად, იგი თბილისის კონსერვატორიის პედაგოგი და პირველი მუსიკალური სასწავლებლის დირექტორია. დღეს კი მისი კოლეგები, მოწაფეები და კონსერვატორიის სხვა სტუდენტები კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამოჩენილი მომღერლის 75 წლის იუბილესადმი მიძღვნილ კონცერტს გამართავენ. იმღერებენ მუშკუდიანის უკვე ცნობილი და ჯერ უცნობი მოსწავლეებიც: ოთარ კუნჭულია, სულხან გველესიანი და სხვები. დღევანდელ საღამოს კი მაესტრო ნოდარ ანდღულაძე გაუძღვება.

# ხვავი და ბარაქა

### კახეთი გალერეა TMS-ში

ანა კორძაია-სამადაშვილი



ავტორი, ექსპონატი და თაყვანისმცემელი

ფოტო: ვახო ხეთაგური

თავიდან ასეთ საქართველოს მხოლოდ უცხოელები იღებდნენ – ღარიბლატაკ, უბედურ და მახინჯ ადამიანებს, ქალაქის ყველაზე ჭუჭყიან გარეუბნებს, ეკოლოგიური კატასტროფის პირას მისულ მიდამოს. მაშინ მეგონა, ასეთ კადრებს საგანგებოდ იმისთვის არჩევენ, რომ თავიანთი ხალხი დაარწმუნონ, ქვეყანა ინგრევა, მხოლოდ ჩვენ ვცხოვრობთ სამოთხეშიო. მაგრამ შემდეგ უკვე საქართველოში მცხოვრები ხელოვანებიც ამ სულისკვეთებით მიუდგნენ საქმეს, და ბოლო დროს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, სულ ისეთ ფოტოებს ფენენ, თავი ავღანეთ-პაკისტანის საზღვრის მკვიდრი მგონია ხოლმე, დაბომბილი და საბოლოოდ განადგურებული.

ამიტომ, რა დასამალია, გუშინდელი საძაგელი ამინდის შემყურეს ერთიორად არ მეხალისებოდა TMS-ში გიორგი შენგელაიას გამოფენაზე წასვლა: მიუხედავად ამ ხელოვანის მიმართ დიდი პატივისცემის, გამოფენის სახელწოდების გამო გულმა რეჩხი მიყო: "ჩემი სამშობლო გადებული გზაზე".

ახლა კი მინდა, ბატონ გიორგის ულრმესი მადლობა მოვახსენო, არამარტო ჩემი, არამედ ყველა იმ დამთვალიერებლის სახელითაც, რომელმაც პირადად ვერ შესძლო თავისი დადებითი ემოციების გამოხატვა. დარბაზში, რომელშიც დიდ ვერნისაჟებს მიჩვეული გალერეა TMS-ის კვალობაზეც კი უამრავი ხალხი ირეოდა – ქართველი თეატრისა და კინოს მოღვაწეები, მხატვრები, ფოტოგრაფები, ჟურნალისტები და, რა თქმა უნდა, ბატონ გიორგის ერთგული თაყვანისმცემლები – უზარმაზარი, ფერადი, სიცოცხლითა და ოპტიმიზმით სავსე ფოტოსურათები იყო გამოფენილი.

ჩემი მტკიცე რწმენით, ის, რომ რეალობა შემზარავია, მტკიცებას არ საჭიროებს. მაგრამ ის ხომ მხოლოდ ნაწილობრივაა შემზარავი?! ქართველებს, თუგინდ გზაზე გამოსულს, ბევრი რამა აქვთ საამაყო, თუნდაც უშრეტი ოპტიმიზმი, ნათელი ღიმილი, მდიდარი მოსავალი, ლამაზი ჩურჩხელები, ათასგვარი სიკეთე. მერე რა, რომ ეს გზაზეა გამოდებული – სამაგიეროდ, ბევრი რამა აქვს გამოსადები: ლამაზ-ლამაზი კომბოსტოს თავები, ათასნაირი გოგრა, იმდენნაირი ხილი, მტერსაც რომ თვალს დაუყენებს, მორთულ-მოკაზმული თიხის ქოთნები; თან ამის გზაზე გამომდები ქართველი სულ იღიმება, გახარებული, და არა დაყენებული ღიმილით.

რა კარგია, რომ ჩვენს ქვეყანაში მზე ანათებს, და რა კარგია, რომ ამას დღემდე ვხედავთ! მერე რა, რომ გზაზე ვართ გადებული და რაღაც დაუდგენელი გზის დამატებად ვიქეცით – бантик сбоку-П, იტყოდა ვინმე ბოროტი. სამაგიეროდ, ის მამლებიც კი, რომლებსაც გალიაში ამწყვდევენ და რომელთაც ერთადერთი პერსპექტივა აქვთ – დაკვლა – ძალიან ლამაზები არიან, მაშინაც კი, როცა ცალ ფეხზე, რომელსაც ამაყი დეზი უმშვენებთ, თოკი აქვთ წაჭერილი, და მათ ცეცხლივით წითელი ბიბილოსა და ამაყად მოღერებული კისრის შემყურე, იშვიათად თუ შეამჩნევს ვინმე, რომ გალიაზე დგანან...

TMS-ის დარბაზში გახსნის დღეს იმდენი ხალხი იყო და იმდენი ადამიანი უზიარებდა ერთმანეთს შთაბეჭდილებებს, რომ ექსპონატებთან ახლოს მისვლა ჭირდა. ამიტომ, თუ გამოფენა გუშინ არ გინახავთ, მხოლოდ მოსალოცად გქონიათ საქმე: ეწვიეთ გალერეა TMS-ს, დიდი სიამოვნება გელით.

# ვის ერგო „ოქროს ჟოლო"?

პირველი გვერდიდან



გაი რიჩი და მადონა

REUTERS

"ყველაზე ცუდი მსახიობი ქალის" ნომინაციაზე მადონა თინეიჯერების კუმირთან, მომღერალ ბრიტნი სპირსთან ერთად იყო წარდგენილი. ბრიტნის კინოდებიუტმა ფილმში "გზაჯვარედინი" (Crossroads) კრიტიკოსთა მწვავე რეაქცია გამოიწვია, მაგრამ მადონამ ახალგაზრდა კოლეგას პირველობა მაინც არ დაუთმო - ამ ნომინაციაში გამარჯვებულად სწორედ მადონა დაასახელეს.

მადონას არც მისი მეუღლე გაი რიჩი ჩამორჩა და "ყველაზე ცუდი რეჟისორის" ნომინაციაში გაიმარჯვა. "რეიზის" ჟიურის მხედველობიდან არც მადონას პარტნიორი ადრიანო ჯანინი გამორჩენია. ფილმმა Swept Away "რეიზის" პრიზი აიღო ნომინაციაში "ყველაზე ცუდი ეკრანული წყვილისათვის" - მადონა და ადრიანო ჯანინი. კიდევ ერთი ტიტული, რომელიც ამ ფილმს "რეიზის" დაჯილდოების ცერემონიალზე მიაკერეს, "ყველაზე ცუდი რიმეიკია". როგორც ამბობენ, გაი რიჩიმ გააფუჭა პოპულარული იტალიური ფილმი მდიდარ სნობ ქალბატონზე, გემის დაღუპვის შემდეგ სიმპათიურ მეზღვაურთან ერთად ტალღამ ნაპირზე რომ გამორიყა.

რაც შეეხება მადონას, მისი ჯილდოები მხოლოდ Swept Away-თი არ ამოწურულა. ნომინაციაში "ყველაზე ცუდი მეორეხარისხოვანი მსახიობი ქალი" კვლავ მადონამ გაიმარჯვა; ფილმში "მოკვდი სხვა დღეს" (Die Another Day), რომელიც ჯეიმს ბონდის ახალ თავგადასავალზე მოგვითხრობს, მადონა ერთ პატარა ეპიზოდში გამოჩნდება, ამ ფილმში მისი სიმღერაც გვესმის.

"მადონა სულ რაღაც ორიოდე წუთით ჩანს კადრში, მაგრამ ეს ორი წუთიც საკმარისია, რომ მისმა აუტანელმა და სულელურმა გამომეტყველებამ დაზაფროს მაყურებელი," – მოურიდებლად განაცხადა "რეზის" დამფუძნებელმა ჯონ უილსონმა.

ბოლო დროს "რეიზი" მადონას ძალიან "სწყალობს". ამერიკელ პოპ-ვარსკვლავს ჟოლოების მთელი კოლექცია აქვს - "რეიზის" 9 პრიზი. სამი წლის წინ "რეიზის" "ოქროს ჟოლოს" მფლობელები მადონა და სტალონე გახდნენ, ჟიურიმ ისინი XX საუკუნის ყველაზე ცუდ მსახიობებად დაასახელა.

ამჯერად კი Razzies-2002-ის დანარჩენი ნომინაციები Golden Raspberry Foundation-ის 500 წევრმა ასეთნაირად გადაანაწილეს:

**ყველაზე ცუდი მსახიობი კაცი:** რობერტო ბენინი, "პინოქიო"

**ყველაზე ცუდი მეორეხარისხოვანი მსახიობი:** ჰეიდენ კრისტენსენი, "ვარსკვლავეთის ომები: ეპიზოდი II – კლონების თავდასხმა"

**ყველაზე ცუდი ორიგინალური სიმღერა:** I'm Not a Girl, Not Yet a Woman, ფილმი Crossroads

**ყველაზე ცუდი პომპეზური ფილმი თინეიჯერებისათვის:** "ვირი: ფილმი" (Jackass: The Movie)

რიჩი და მადონა "რეიზის" "ოქროს ჟოლოს" მფლობელი პირველი ოჯახური წყვილია - ჯონ და ბო დერეკების შემდეგ. ჯონ და ბო დერეკებმა ყველაზე ცუდი რეჟისორისა და მსახიობი ქალის ნომინაციებში ორჯერ გაიმარჯვეს: 1984 წელს ფილმისათვის "ბოლერო" (Bolero), ხოლო 1990 წელს სურათისათვის "მოჩვენებებს ამის გაკეთება არ შეუძლიათ" (Ghosts Can't Do It).

წელსაც, ჩვეულებისამებრ, "რეზის" დამფუძნებელმა უილსონმა სულ ბოლოს მიიღო კენჭისყრაში მონაწილეობა. მართალია, უილსონს ხმამაღლა არ განუცხადებია, თუ რომელ ვარსკვლავს მიანიჭა "უპირატესობა" – მადონას თუ ბრიტნი სპირსს, მაგრამ ასეთი კომენტარი კი გააკეთა: "არცერთი არ უქნია ღმერთსო".

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:

დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:

საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

ხალხის პირისპირ

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

# რუსები იტალიაში ემზადებიან

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ქვეჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქე, რუსეთის ეროვნული გუნდი, იტალიაში გაემგზავრა, სადაც საწვრთნელ შეკრებას გამართავს.

29 მარტს, როდესაც ჩვენ ირლანდიელებს ვუმასპინძლებთ, რუსეთის ნაკრებს ალბანეთის ეროვნულ გუნდთან ელის მატჩი. ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა, ვალერი გაზაევმა, იტალიაში 23 ფეხბურთელი წაიყვანა. მან, ძირითადად, თავის კლუბზე, მოსკოვის "ცსკა"-ზე გააკეთა აქცენტი, საიდანაც ნაკრებში 8 ფეხბურთელი გამოიძახა. შედარებისთვის ვიტყვი, რომ რუსეთის ჩემპიონის, მოსკოვის "ლოკომოტივის" რიგებიდან ეროვნულ გუნდში მხოლოდ 5 ფეხბურთელი შევიდა. აქვე ვიტყვით, რომ გაზაევმა იტალიურ შეკრებაზე არ იახლა იქვე, საფრანგეთში მყოფი დმიტრი სიჩოვი, რომელიც ბრწყინვალე სპორტულ ფორმაშია. სიჩოვს თითქმის ყოველ მატჩში გოლი გააქვს და მარსელის "ოლიმპიკი", მნიშვნელოვანწილად, სწორედ მას უნდა უმადლოდეს, რომ ფრანგული ლიგის ერთ-ერთი ლიდერია. მეკარეები: სერგეი ოვჩინიკოვი ("ლოკომოტივი" მოსკოვი), ვალერი ჩიჟოვი ("სატურნ REN TV"), ვენიამინ მანდრიკინი (ცსკა); მცველები: ვიქტორ ონოპკო ("რაიო ვალეკანო" ესპანეთი), ანდრეი სოლომატინი, ვასილი ბერეზუცკი, ალექსეი ბერეზუცკი (სამივე – ცსკა), გენადი ნიჟეგოროდოვი, სერგეი იგნაშევიჩი ("ლოკომოტივი" მოსკოვი); ნახევარმცველები და თავდამსხმელები: ალექსეი სმერტინი ("ბორდო" საფრანგეთი), ევგენი ალდონინი ("როტორი" ვოლგოგრადი), როლან გუსევი, იგორ იანოვსკი, დენის პოპოვი, სერგეი სემაკი (ოთხივე – ცსკა), დმიტრი ხოხლოვი ("რეალ სოსიედადი" ესპანეთი), დმიტრი ლოსკოვი, პუსლან პიმენოვი (ორივე "ლოკომოტივი" მოსკოვი), ანდრეი კარიაკა ("კრილია სოვეტოვ" სამარა), ვლადიმირ ბესჩასტნიხი ("ფენერბახჩე" თურქეთი), ალექსანდრ კერჟაკოვი, კონსტანტინ კონოპლევი (ორივე - "ზენიტი" სანკტ-პეტერბურგი), ალექსანდრ ტოჩილინი ("დინამო" მოსკოვი).

იტალიაში რუსეთის ეროვნული გუნდი მარკის პროვინციაში, ადმინისტრაციულ ცენტრ ანკონასთან მდებარე პატარა ქალაქ ბეიში მოემზადება. გაზაევი თავის შეგირდებს ალბანეთში 28 მარტს გადაიყვანს, 29-ში კი ამ ქვეყნის ჩრდილოეთში მდებარე ქალაქ შკოდერში ალბანთა ეროვნულ ნაკრებს დაუპირისპირდება. რუსეთის ნაკრები მოსკოვში 30 მარტს დაბრუნდება.

## ინფორმაცია

### ხოსე მარი "ბარსელონას" მოუნდა

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ სეზონის ბოლოს "მილანისა" და "ბარსელონას" ბოსები აუცილებლად დასხდნებიან ერთ მაგიდასთან ესპანელი ფორვარდის, ხოსე მარის ბედის გადასაწყვეტად.

ხოსე მარიმ ერთი სეზონი ჩაატარა "მილანში", მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ფილიპო ინძაგი და ანდრეი შევჩენკო მაშინ ტრავმირებულნი იყვნენ და ანჩელოტის გუნდს ძალიან უჭირდა, ესპანელმა ფორვარდმა "მილანის" ძირითად შემადგენლობაში ფეხი მაინც ვერ მოიკიდა. 2001-02 წლის სეზონის ბოლოს კი მილანელებმა ხოსე მარი მადრიდის "ატლეტიკოს" ათხოვეს.

ხოსე მარი ახლაც მადრიდშია, საკმაოდ კარგად თამაშობს და არც გოლების გატანა უჭირს, რისი წყალობითაც მან კატალონიური "ბარსელონას" ყურადღება მიიქცია. "ბარსას" თავკაცმა რადომირ ანტიჩმა ესპანელი ფორვარდის შეძენა გადაწყვიტა. რაკი ხოსე მარი ჯერ ისევ "მილანის" საკუთრებაა, "ბარსელონას" სწორედ ადრიანო გალიანისთან მოუწევს ურთიერთობის გარკვევა.

### იან ჰარტი და "იუვენტუსი"

უკვე დიდი ხანია, ტურინის "იუვენტუსი" "ლიდს იუნაიტედის" ირლანდიელი მცველის, იან ჰარტის გადაბირებას ცდილობს. "იუვეს" ჰარტი მოსწონდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა "ლიდსი" ჩემპიონთა ლიგაში წარმატებით გამოდიოდა და ირლანდიელი ფეხბურთელი შიშის ზარს სცემდა მეტოქე გუნდის მეკარეებს. ტურინელთა ინტერესი ჰარტის მიმართ არც მაშინ განელებულა, როცა "ლიდსი" ჩემპიონთა ლიგიდან გაუჩინარდა.

"ბებერ სინიორას" ჰარტი ისევ აინტერესებს და, სხვათა შორის, ახლა უფრო დიდი შანსი აქვს, ირლანდიელი მცველი შეიძინოს, რადგან "ლიდსი" ფინანსურ კრიზისს განიცდის და ჯიბესქელ "იუვესთან" გარიგებაზე, ალბათ, უარს არ იტყვის. "იუვეში" გადასვლა თავად ჰარტსაც ძალიან უნდა. ახლა მთავარი მხოლოდ ირალნდიელის სატრანსფერო თანხაა.

თუ ჰარტი ტურინში გადავა, მარჩელო ლიპის დაცვა შესამჩნევად გაძლიერდება. "იუვეს" ნახევარმცველი ჯანლუკა ძამბროტა კი, ბოლოს და ბოლოს, თავის ძველ ამპლუას დაიბრუნებს მოედნის ცენტრში.

### ანგარიშსწორება ტიფოზებს შორის

შაბათს ტურინის "იუვენტუსი" მილანს სერია A-ს ლიდერის რანგში ეწვია, "სან-სიროდან" კი დამარცხებული და გუნებაწამხდარი გაემართა გასახდელისკენ. მილანის უკრაინელმა ფორვარდმა, ანდრეი შევჩენკომ, ტურინელ ტიფოზებს მატჩის პირველივე წუთები ჩაუმწარა, როცა მე-4 წუთზე ჯანლუიჯი ბუფონის კარი დალაშქრა. ჩეხმა პაველ ნედვედმა სწრაფად კი გაათანაბრა ანგარიში, მაგრამ "იუვემ" პირველი ტაიმიც კი ვერ ჩაამთავრა ფრედ: 25-ე წუთზე ექს-იუვენტუსელმა ფილიპო ინძაგიმ ყოფილ თანაკლუბელებს გამარჯვების გოლი გაუტანა.

"იუვეს" ტიფოზები მთელი მეორე ტაიმის განმავლობაში ელოდნენ მხსენლი გოლის გატანას, მაგრამ "მილანმა" კარი მშრალად შეინახა და ტურინელებს მეტად უსიამოვნო მარცხი აგემა. თუმცა, სატურნირო ცხრილში "მილანისთვის" ბევრი არაფერი შეცვლილა - ამ გამარჯვების შემდეგ მილანელები ისევ მესამე ადგილზე არიან.

მატჩის შემდეგ გაბრაზებულმა ტურინელმა ტიფოზებმა გადაწყვიტეს, მილანელ ფანებზე ეყარათ ჯავრი. თვრამეტი ტურინელი სტადიონის გასასვლელთან ჩასაფრდა და როცა მოზეიმე მილანელები გარეთ გავიდნენ და საჩხუბრად გამზადებულ იუვენტუსელებს გადააწყდნენ, "სან-სიროს" სიახლოვეს, რა თქმა უნდა, დიდი დაკა-დაკა ატყდა.

მოჩხუბართა დასაშოშმინებლად პოლიციამ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. ამ ინციდენტის გამო "სან-სიროს" მიმდებარე ტერიტორიაზე ტრანსპორტის მოძრაობა კარგა ხნით შეფერხდა. პოლიციას დიდი ჯაფა დაადგა, სანამ "მილანის" გულშემატკივრებს დააწყნარებდა, "იუვეს" განაწყენებულ ტიფოზებს კი ტურინისკენ გაისტუმრებდა.

### შაპიუი არ იყიდება

მარსელის „ოლიმპიკის" მწვრთნელმა ალენ პერენმა განაცხადა, რომ არავითარი მოლაპარაკებები შაპიუის ინგლისის „ნიუკასლში" შესაძლო ტრანსფერის შესახებ არ მიმდინარეობს. ადრე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ინგლისელებმა ფეხბურთელში „მარსელს" 9 მილიონი ევრო შესთავაზეს. შეგახსენებთ, რომ შაპიუი „მარსელში" 2002 წლის იანვარში „რენიდან" გადავიდა. ამ სეზონის 24 შეხვედრაში მან 3 გოლი გაიტანა.

### ნიკო კოვაჩს ტკივილის არ ეშინია

შაბათს მიუნხენის "ბაიერნმა" თავისი მორიგი მატჩი მოიგო, ბავარიელებმა ამჯერად როსტოკის "ჰანზა" დატოვეს ქულების გარეშე. ოტმარ ჰიტცფელდის გუნდის გამარჯვებას ხორვატი ნიკო კოვაჩის ცხვირი შეეწირა – 31 წლის ფეხბურთელმა როსტოკელებთან ბრძოლაში ცხვირი გაიტეხა და საოპერაციო გახდა.

29 მარტს ხორვატიის ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩს ატარებს ბელგიის ნაციონალურ გუნდთან, 2 აპრილს კი ხორვატები ანდორას ხვდებიან. ნიკო კოვაჩის მონაწილეობა ამ მატჩებში კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, რადგან ახლად ნაოპერაციევი ცხვირით მოედანზე გასვლა მეტად სახიფათოა.

ტრავმის მიუხედავად, კოვაჩი იმედოვნებს, რომ ეს მნიშვნელოვანი მატჩები უმისოდ არ ჩაივლის. "ოპერაციას ორშაბათს გამიკეთებენ, ცხვირს თავისი ფორმა უნდა დაუბრუნდეს. შემდეგ ექიმების გადაწყვეტილებას უნდა დაველოდო. ოპერაციის შემდეგ, შესაძლოა, ტკივილმა შემაწუხოს, მაგრამ, იმედი მაქვს, ყველაფერი კარგად იქნება და 29 მარტს ბელგიელების წინააღმდეგ ვითამაშებ", - ამბობს ხორვატი ფეხბურთელი.

### პაციფისტი ჰამბურგელები

შეუძლებელია, ერაყში მიმდინარე ომმა თავისი კვალი არ დატოვოს სპორტულ ცხოვრებაზე. ყველა სპორტსმენი ცდილობს, თავისებურად გამოხატოს საკუთარი დამოკიდებულება ომის მიმართ.

შაბათს, ბუნდესლიგის თითქმის ყველა მატჩის წინ, ტრიბუნები ფეხზე დგებოდა და წუთიერი დუმილით პატივს სცემდა ომის მსხვერპლთა ხსოვნას. ზოგიერთ გუნდს საერთოდ არ სურდა მოედანზე გასვლა. "ჰამბურგის" ფეხბურთელები ბუნდესლიგის კლუბებს მოუწოდებდნენ, უარი ეთქვათ მატჩების ჩატარებაზე, მაგრამ რაკი დანარჩენმა გუნდებმა პროტესტის ასეთი უკიდურესი ფორმის გამოყენება მიზანშეწონილად არ ჩათვალეს, ჰამბურგელები იძულებული გახდნენ, განზრახვაზე ხელი აეღოთ. "ჰამბურგს" თითქოს გული უგრძნობდა, რომ გლადბახში ჩასვლა კარგს არაფერს მოუტანდა - სტუმრებმა მიონხენგლადბახის "ბორუსიას" წინააღმდეგ ვერაფერი გააწყეს და შინ უქულოდ დაბრუნდნენ.

## ფეხბურთი

# „დინამო" ლიდერობას იბრუნებს

## დარასელიამ "ვიტ ჯორჯია" დაამარცხა, დინამოელმა შავგულიძემ - "ლოკომოტივი"

მიხეილ აბაიშვილი

*საქართველოს ჩემპიონატის მეორე ეტაპის მეორე ტურმა, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, სენსაციის მოყვარულები გაახარა. ყველა ელოდა, რომ ზეექვსეულის სამი შეხვედრიდან ორში ლიდერები მშვიდად მოიპოვებდნენ 3-3 ქულას, ხოლო ტურის ცენტრალურ მატჩად "დინამოსა" და "ვიტ ჯორჯიას" დაპირისპირება ითვლებოდა.*

"დინამოსა" და "ვიტ ჯორჯიას" შეხვედრა, რომელიც ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ამ გუნდების მეორე თბილისური "დერბი" იყო, სტატუსითაც, თამაშის ხარისხით და სანახაობრივი თვალსზრისითაც, მართლაც, ცენტრალური გამოდგა. რაც შეეხება დანარჩენ ორ მატჩს... თუმცა, მივყვეთ თანმიმდევრობით.

ლუის ცაკარიასი და მისი "ლოკომოტივი" გუშინწინ ბოლნისს სტუმრობდნენ, სადაც პირველი ექვსეულის ერთი შეხედვით უპრეტენზიო "სიონთან" მატჩში გამარჯვება არ უნდა გასჭირვებოდათ. მაგრამ თემურ მახარაძის თითქმის მთლიანად გადახალისებულმა გუნდმა (ბოლნისელთა მთავარმა მწვრთნელმა მეორე ეტაპის დაწყების წინ გუნდიდან ძირითადი შემადგენლობის 9 ფეხბურთელი გაუშვა) ჩემპიონობისთვის მებრძოლ რკინიგზელებს თავდაუზოგავი ბრძოლა გაუმართა. შავგულიძისა და გაბისკირიას გოლების წყალობით, რასაც თბილისელებმა მხოლოდ ონიანის გოლით უპასუხეს, "სიონმა" "ლოკომოტივი" "დეპოში" უქულოდ გააბრუნა. სხვათა შორის, შავგულიძე "დინამოს" ფეხბურთელია, რომელიც ბოლნისელთა რიგებში იჯარის წესით თამაშობს. ჰოდა, სხვა გუნდში თამაშითაც კი ეს ყმაწვილი (იგი სულ 19 წლისაა) თავისი გუნდის საქმეს აკეთებს – მისმა გოლმა "დინამოს" მთავარ კონკურენტს სამი ქულა დააკარგვინა.

"დინამოსთან" პირველი ტურის მატჩში მომხდარი არეულობების გამო ქუთაისის გივი კილაძის სტადიონს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს, რის გამოც ჩემპიონმა და წლეულსაც ჩემპიონობის მაძიებელმა "ტორპედომ" ფოთის "კოლხეთს" წყალტუბოში უმასპინძლა. "დინამოს" ძლევის შემდეგ, ქუთაისელებს ზღვისპირელებთან მატჩში სამი ქულის მოპოვება, წესით, არ უნდა გასჭირვებოდათ. მაგრამ, მეორე ტურია მტკიცდება, რომ ფინალურ ექვსეულში აუტსაიდერი არ არსებობს. ფოთელებმა ბოლომდე იბრძოლეს. მართალია, გოლი ვერ გაიტანეს, მაგრამ ეს არც მეტოქეს დაანებეს და "ტორპედოს" ძალიან საჭირო ორი ქულა დააკარგვინეს.



შეტევაზეა "დინამო"

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

თავის მხრივ, პირველი ტურის შემდეგ ლიდერობადაკარგულ და ერთბაშად მეოთხე ადგილზე ჩამოქვეითებულ "დინამოს", რომელსაც კონკურენტებმა ასეთი საჩუქრები მიუძღვნეს, დაკარგული პოზიციის დაბრუნების შანსი მიეცა, მაგრამ ამისთვის არცთუ ხელწამოსაკრავი მეტოქე, "ვიტ ჯორჯია" უნდა დაემარცხებინა. შეგახსენებთ, რომ ხუთი დღის წინ დავით ყიფიანის თასის პირველ მეოთხედფინალში გამართულ ამ გუნდების შეხვედრაში "დინამომ" უძნელეს ბრძოლაში, მინიმალური ანგარიშით, 1:0 დაამარცხა ვეტერინართა გუნდი. ბოლო სამი სეზონის განმავლობაში ამ გუნდების 11-მატჩიან დაპირისპირებაში ეს "დინამოს" მეორე გამარჯვება იყო, რაც ადასტურებს, რომ "ვიტ ჯორჯია" საქართველოს ათგზის ჩემპიონისთვის ერთობ უხერხული მეტოქეა.

მატჩმა გაამართლა სპეციალისტთა მოლოდინი.

საერთოდ, მწვრთნელები მომგებ შემადგენლობას არ ცვლიან, მაგრამ ამჯერად შუშაკს, მიზეზთა გამო, ერთბაშად სამი ცვლილების განხორციელება მოუხდა. მან, ვაშაკიძისა და გოგობერიშვილის ნაცვლად, ხიზანეიშვილი და კვირკველია ათამაშა. ამას ისიც დაერთო, რომ 38-ე წუთზე ტრავმა მიიღო ალექსიძემ, რომლის ნაცვლად სამხარაძემ გააგრძელა თამაში. თუ გავიხსენებთ, რომ ტრავმის გამო "დინამოს" ბურდული და ახალაიაც ვერ ეხმარებოდნენ, გასაგები გახდება, თუ რა საკადრო პრობლემების წინაშე იდგა ამ მატჩის წინ "დინამოს" მწვრთნელი. დანი კარნევალემაც გარკვეული კორექტივები შეიტანა შემადგენლობაში. ეს იტალიელი სპეციალისტი, ძლიერ გუნდებთან დაპირისპირებაში, როგორც წესი, უფრო დაცვით ვარიანტს ირჩევს, მაგრამ გუშინ ჩვეულებას უღალატა და სამი თავდამსხმელით დაუპირისპირდა მეტოქეს.

პირველივე წუთები ლაღი, გახსნილი თამაშით აღინიშნა, რითაც პირველმა "დინამომ" იხეირა. ვიტალი დარასელიამ მე-4 წუთზე დააშამათა მერლანის შემცვლელი ჭურაძე. მიუხედავად იმისა, რომ ორივე კართან შეიქმნა მომენტები, პირველ ტაიმში ვერც მასპინძლებმა, ვეღარც სტუმრებმა, ანგარიშის შეცვლა ვერ მოახერხეს.

შეხვედრის მეორე ნახევარი გაცილებით საინტერესო გამოდგა. ჯერ "ვიტ ჯორჯიამ" მოაწყო "დინამოს კარის ნამდვილი შტურმი. გვარამაძის კართან, ერთიმეორის მიყოლებით, სამი საგოლე მომენტი შეიქმნა. თუ გოჩაშვილმა და ადამიამ თავიანთი შანსები ვერ გამოიყენეს, "ვიტ ჯორჯიას" საუკეთესო ბომბარდირმა, მელქაძემ, 57-ე წუთზე შანსი ხელიდან არ გაუშვა და გაათანაბრა ანგარიში. "დინამომ" ცენტრიდან განაახლა თამაში და მასპინძელთა პრაქტიკულად პირველივე სერიოზული შეტევა გოლით დააგვირგვინა. ამჯერადაც თავი გამოიჩინა დარასელიამ, რომლის შორიდან უნაკლო დარტყმის შემდეგ ბურთი "ვიტ ჯორჯიას" კარის მარცხენა "ცხრიანში" გაეხვია.

ეს 61-ე წუთზე მოხდა. დარჩენილ დროში ვიტელები ბევრს ეცადნენ, რამდენიმე კარგი მომენტი ვერ გამოიყენეს, ხოლო მატჩის მიწურულს მთლიანად მოაშიშვლეს ზურგი, აშკარა ავანტიურაზე წავიდნენ და დაისაჯნენ კიდეც: "დინამოს" სწრაფი კონტრშეტევა კვირკველიას გოლით და მსაჯის საფინალო სასტვენით დასრულდა. შედეგად, თბილისის "დინამომ" სატურნირო ცხრილში დაიბრუნა "თავისი" პირველი ადგილი.

**სატურნირო მდგომარეობა II ტურის შემდეგ**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 2 | 1 | 0 | 1 | 3-2 | 31 |
| ტორპედო | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 30 |
| ლოკომოტივი | 2 | 1 | 0 | 1 | 6-2 | 28 |
| ვიტ ჯორჯია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 28 |
| სიონი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 18 |
| კოლხეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-5 | 16 |

# შევჩენკოს აგდებენ?

## „მილანი" დიდი ცვლილებების ზღვარზე

*ევროპული და, პირველ რიგში, იტალიური მასმედია აჭრელებულია ცნობებით იმის შესახებ, რომ „მილანი" და ტურინის „იუვენტუსი" ბარტერულ გაცვლას აწარმოებენ. კერძოდ, საუბარია უკრაინელი ანდრეი შევჩენკოსა და „იუვენტუსის" შემტევი ნახევარმცველის მარკო დი ვაიოს გაცვლაზე.*

უფრო ადრინდელი ინფორმაციით, „მილანი" იგივე კომბინაციის განხორციელებას, ოღონდ სხვა გუნდთან და სხვა ფეხბურთელთან - ჩვენს თანამემამულე კახა კალაძესთან დაკავშირებითაც აპირებდა, მაგრამ ეს საკითხი ჯერჯერობით დაკონსერვებულია. იტალიური მასმედიისთვისაც, როგორც ჩანს, ანდრეი შევჩენკოს ბარტერი უფრო აქტუალურია.

რა ხდება? შევჩენკოს აგდებენ? - სხვა სახელს ვერ დაარქმევ „მილანის" მოქმედებას, რომელიც უკრაინელი სუპერფორვარდის გაცვლას აპირებს. ანდრეის სხვადასხვა დროს ნაირნაირ კლუბებში ყიდდნენ. ერთხანს თითქმის „მანჩესტერ იუნაიტედშიც" კი ჩარიცხეს, მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, ყველაფერი გადაწყვეტილია... „მილანისა" და „იუვენტუსის" წარმომადგენლებმა მოითათბირეს ბარტერის განხორციელების შესაძლებლობებზე და ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ შეთანხმება ზაფხულში, წლევანდელი სეზონის დასრულების შემდეგ განხორციელდება.

ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ „მილანს" ძალიან სჭირდება მარკო დი ვაიო? რა თქმა უნდა, არა. შევჩენკო ერთ-ერთი საუკეთესო იყო „მილან"-"იუვენტუსის" შაბათის მატჩში. ესეც რომ არა, თუ რაიმე ღირსშესანიშნავი ვნახეთ წლევანდელი „მილანის" თამაშებში, ეს, უდავოდ, ნახევარდაცვის ხაზია. რედონდოსა და გატუზოს ნებისმიერი ვაკუუმის დროულად შევსება შეუძლიათ. ამდენად, დი ვაიოს შეძენის საჭიროება, ამ ეტაპზე მაინც, არ არსებობს.

ერთადერთი რგოლი, რაც მართლა გაძლიერებას საჭიროებს - შეტევის ხაზია. ეს იტალიის ჩემპიონატის უკანასკნელი ტურის შეხვედრებმაც აშკარად დაგვანახა. „მილანმა" სერია A-ს უკანასკნელ ოთხ მატჩში მხოლოდ „იუვენტუსს" გაუტანა გოლები. 2:1 მოიგო,



ანდრეი შევჩენკო

მაგრამ, ამის მიუხედავად (პირველი გოლი სწორედ ანდრეი შევჩენკოს ანგარიშზეა. საგულისხმოა, რომ შევჩენკომ იტალიის ჩემპიონატში ჩატარებულ 113 მატჩში 68 გოლი გაიტანა, რაც ფორვარდისთვისაც კი უნიკალური შედეგია), ფაქტობრივად, დაკარგა „სკუდეტოს" მოპოვების შანსი.

აქ ისიც ვიკითხოთ: ხომ არ ნიშნავს „როსონიერის" მოქმედება იმას, რომ „მილანს" შევჩენკო, უბრალოდ, აღარ სჭირდება? - არავითარ შემთხვევაში. თავად განსაჯეთ: დანიელი იონ დალ ტომასონი, რომელიც შეტევის გასაძლიერებლად შარშან შეიძინეს, ვერაფრით მოერგო „მილანის" სათამაშო სქემას და მხოლოდ თანაგუნდელებს ცვლის. გოლები კი, რომლებიც მას გააქვს, ძირითადად, პარტნიორთა დამსახურებაა. ნაკლებად სავარაუდოა, რომ „მილანს" ასეთი ფორვარდი სჭირდებოდეს. რასაკვირველია, არსებობს ფილიპო ინძაგი, მაგრამ ეყოფა კი ინძაგის ძალა, მარტო გაუძლვეს გუნდის შეტევებს? თუ საკითხს ამ თვალსაზრისით განვიხილავთ, მაშინ დავრწმუნდებით, რომ ტრავმის გამო დიდი ხნით გუნდს ჩამოშორებული და, თუნდაც, არც ისე შედეგიანი, მაგრამ აშკარად ნიჭიერი შევჩენკოს დაკარგვის პერსპექტივა „მილანს" არ უნდა ხიბლავდეს. ამასთან, უნდა გვახსოვდეს ფეხბურთელის ავტორიტეტიც, რომელიც მან გულშემატკივართა წრეში მოიპოვა. შევჩენკოს დაკარგვა არ შეიძლება არ აისახოს „მილანის" იმიჯზე. მაშ, რას უნდა ნიშნავდეს მთელი ეს აურზაური?

პასუხი ხარჯთაღრიცხვის სისტემაშია - ანუ იმ 5 მილიონ დოლარში, რომელიც, კონტრაქტის მიხედვით, ფეხბურთელს ყოველწლიურად ეკუთვნის. ცნობილია, რომ, ზოგადად, სერია A-ს კლუბების და, კერძოდ კი, „მილანის" ფინანსური მდგომარეობა ამჟამად უკეთესს მოითხოვს. ამიტომ კლუბის ხელმძღვანელობამ უკვე გადახედა თავის წამყვან ფეხბურთელთა საკონტრაქტო პირობებს. დანაკარგს ვერც ერთი ფეხბურთელი ვერ გადაურჩა. დანაკარგი განიცადა თვით გუნდის სიმბოლომ - პაოლო მალდინიმაც, რომელმაც „მილანის" შემადგენლობაში შაბათს 501-ე მატჩი ჩაატარა. ახლა შევჩენკოზე დიდი ხელფასი გუნდში არავის აქვს. მხოლოდ რივალდო თუ უთანაბრდება მას ამ მაჩვენებლით. „მილანმა" რომ რივალდო გაყიდოს, ეს კლუბის საკადრო პოლიტიკის შეცდომის აღიარება იქნება. არჩევანი არ არის: თუ კლუბს ფინანსური ტვირთის ჩამოცილება სურს, შევჩენკოს უნდა შეელიოს.

ვინ მოიგებს ამ ავანტიურით? ის, რომ შევჩენკო სერია A-ში დარჩება, მისთვის ცუდი არ უნდა იყოს - ინგლისში ან ესპანეთში გადასვლა შეიძლება რამდენადმე მტკივნეულიც კი ყოფილიყო, მაგრამ ტრეზეგეს, დელ პიეროსა და ნედვედის გვერდით შევჩენკო შეიძლება აბსოლუტურად სხვა კუთხით წარმოჩნდეს. ამასთან, „სკუდეტოს" მოგების შანსი, როგორც ბოლო დროს იკვეთება, „იუვენტუსში" შედარებით უფრო მაღალია. ასე რომ, ეს გადასვლა შევჩენკოს ცუდს და კატასტროფულს არაფერს უქადის. სხვა საქმეა თვითონ „მილანი".

უნდა თუ არა, „მილანს" შეტევაში ინძაგის პარტნიორის მოძებნა მოუწევს, რადგან დალ ტომასონის იმედად ყოფნა მეტისმეტად სარისკოა. ვისზე გააკეთებს ფსონს კარლო ანჩელოტი და ამ ახალი ფორვარდის შეძენა „მილანს" შევჩენკოზე იაფი დაუჯდება თუ არა, ამას მომავალი გვიჩვენებს. ფაქტი კი ის არის, რომ თუ თანამედროვე საფეხბურთო ბაზარს გადავხედავთ, უმაღლესი კლასის სუპერფორვარდის ვაკანსია „მილანისთვის" ამჟამად არ არსებობს. ასე რომ, „მილანს" შეიძლება დაემუქროს ის სიტუაცია, რომელშიც ამას წინათ რომის „ლაციო" აღმოჩნდა. ფინანსური მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება, მაგრამ კლუბისთვის დამახასიათებელი თამაშის სტილი სადღაც იკარგება და ეძებე შემდეგ მინდორში ქარი...

# რობერ პირესი და კომპანია შირაკის გვერდით დგას

ერაყულმა კრიზისმა მსოფლიოს არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ერთნი ემხრობიან საომარ მოქმედებებს, მეორენი მის წინააღმდეგ ილაშქრებენ. მოწინააღმდეგეთა ერთი ნაწილი სპორტსმენები არიან.

აი, მაგალითად, "არსენალის" ფრანგი ნახევარმცველი რობერ პირესი აცხადებს, რომ თუ საფეხბურთო სამყარო გადაწყვეტს, ომის წინააღმდეგ გაილაშქროს, მაშინ ისიც ადეკვატურ ნაბიჯს გადადგამს.

რადიოსადგურ "Europe 1"-ის მიერ დასმულ კითხვაზე, ვალდებულნი არიან თუ არა ფეხბურთელები, საკუთარი პროტესტი მინდორზე გაუსვლელობით აღნიშნონ, ფრანგმა ნახევარმცველმა უპასუხა: "სპორტი ძალზე მნიშვნელოვანი რამაა, მაგრამ ის, რაც ახლა მსოფლიოში ხდება, ბევრად უფრო მნიშვნელოვანია. ერაყში მიმდინარე მოვლენების გამო საფეხბურთო ჩემპიონატი რომ შეწყდეს, მაშინ, უეჭველია, მეც პროტესტს შევუერთდები. უნდა გვახსოვდეს ის ადამიანები, რომელთა სიცოცხლესაც დღეს საფრთხე ემუქრება", - აცხადებს პირესი.

ფრანგი ფეხბურთელი იმასაც დასძენს, რომ ნებისმიერი ფორმის ნებისმიერი საპროტესტო აქცია აუცილებელია. ამასთან, ბევრი რამ იმაზეცაა დამოკიდებული, თუ როგორ განვითარდება მოვლენები ფრონტის ხაზზე.

"სიტუაციას თვალყურს ვადევნებთ. სამწუხაროდ, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ, ალბათ, გარკვეული ზომები უნდა მივიღოთ", - კატეგორიულია პირესი.

აღსანიშნავია, რომ პირესის იდეებს იზიარებენ მწვრთნელი არსენ ვენგერი და მისი ექვსი თანაგუნდელი: ტიერი ანრი, პატრიკ ვიეირა, პასკალ სიგანი, გიიომ ვარმუზი, ჟერემი ალიადერი და სილვენ ვილტორი.

"Europe 1"-ის მორიგ კითხვაზე, თუ რას ლაპარაკობენ ლა-მანშის ორივე ნაპირზე ერაყის ომის თაობაზე მისი მეგობრები, ან ამასთან დაკავშირებით რაიმე კონფლიქტი ხომ არ მომხდარაო, პირესი პასუხობს: "ერთი სიტყვით, ასე შეიძლება ითქვას: აქ, ინგლისში, უმრავლესობა ტონი ბლერს უჭერს მხარს, ჩვენ, ფრანგები კი, საკუთარ პრეზიდენტს – ჟაკ შირაკს ვუდგავართ გვერდით და ძალიან ვაფასებთ იმას, რაც მან გააკეთა".

*ფორმულა 1*

# ახალი ბატონები და შევიწროებული „წითელი ბარონი"

გიგა გურასაშვილი

*მცხუნვარე მზე, ტენიანი ჰავა, სასტარტო მღელვარება, ბოლიდების ბღუილი, დაკლაკნილი "სეპანგის" ტრასა. ერთი სიტყვით, მალაიზიური გრან-პრი. ასეთი იყო ფორმულა 1-ის გუშინდელი სურათი – ბევრად სანახაობრივი, კალეიდოსკოპური მოვლენებითა თუ მოულოდნელი შედეგებით. მოულოდნელი? შესაძლოა, არა. ყოველ შემთხვევაში, შარშან ასეთი რამ არ ყოფილა.*



კიმი რაიკონენის ბანაკმა გამარჯვება ასე აღნიშნა

REUTERS

მალაიზიური გრან-პრის არსებობის განმავლობაში, ფერარელი მიხაელ შუმახერი ერთადერთი პილოტი გახლდათ, რომელიც სასტარტო ბადიდან რბოლებში პირველი ეშვებოდა. მიმდინარე სეზონში კი მოვლენები ისე მიმდინარეობს, რომ Ferrari-ს "სეპანგის" ტრასაზე კონსტრუქტორთა თასისთვის დავაში მეორეობისთვის მოუწია ბრძოლაც და რბოლაც. თუმცა, ფაქტია, "წითელი ბარონისა" და შარშანდელი ტრიუმფატორის მიხაელ შუმახერის ტახტიდან ჩამოგდებაც ყოფილა შესაძლებელი. ფერარელებს პირში ჩალა გამოავლო Renault-ს საჯინიბომ, რაც, გარკვეულწილად, სამეფო რბოლებში დღესაც საკამათო სიახლეების დამსახურებაცაა. სარბოლო სიახლეებისა თუ ნოვატორული იდეების ერთ-ერთ ინიციატორად კი ფორმულა 1-ის უხუცესი იმპრესარიო ბერნი ეკლსტოუნი გვევლინებოდა. მალაიზიური გრან-პრის დასრულების შემდეგ ეკლსტოუნმა დაასკვნა, რომ ასე გაგრძელებაც აღარ შეიძლება. საუბარია რბოლისწინა, საკვალიფიკაციო სისტემაზე. თუმცა, ახლებური საკვალიფიკაციო სისტემის ყოფნა-არყოფნის საკითხი ბრაზილიური გრან-პრის შემდეგ გაირკვევა. აი, მაშინ კი, იმავე ეკლსტოუნის თქმით, ცვლილებებიც განხორციელდება.

"კიდევ ცოტას მოვიცდით. მერე კი აუცილებლად შევცვლით რამეს. გვინდა, ჩვენი სპორტი საინტერესო და სანახაობრივი იყოს. დღეს ასე არ იყო", - მალაიზიური გრან-პრით უკმაყოფილოა იმპრესარიო.

ეკლსტოუნისგან განსხვავებით, კმაყოფილი არიან McLaren-Mercedes-ისა და Renault-ს საჯინიბოები. ერთი ჩემპიონობასა და საერთო ჩათვლაში ლიდერობას ზეიმობს, მეორე – სამეულში მოხვედრას.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ შუმახერმა McLaren-Mercedes-ის ფინელ პილოტს, კიმი რაიკონენს, მალაიზიური გრან-პრის ტიტულის დასაუფლებლად "გზა გაუწმინდა". სწორედ ასეთი რეაქცია ჰქონდათ ჟურნალისტებს მას შემდეგ, რაც ასპარეზობა დასრულდა. რა თქმა უნდა, წლეულს McLaren-Mercedes-ი უკეთ გამოიყურება, მაგრამ ერთნი მათ დამსახურებას პირველ მოსახვევში მომხდარ აურზაურს მიაწერენ. საქმე ის არის, რომ შუმახერი McLaren-Mercedes-ის პილოტთან, დევიდ კულჰარდთან ძიძგილაობაში, იტალიელ იარნო ტრულის Renault-ს შეეჯახა და ტრასიდან გადააგდო. შემთხვევამ კოლუმბიელი ხუან პაბლო მონტოიას Williamsi-ც დააზიანა, რამაც ეს უკანასკნელი იძულებული გახადა, ბოქსებისკენ გადაეხვია. იგივეს გაკეთება მოუხდა შუმახერსაც. ტრულისთვის გვერდის აქცევა და ბოქსებში შესვლა გერმანელ პილოტს ათეულს მიღმა ჩამოქვეითებად დაუჯდა. ერთი სიტყვით, ქაოსით სხვებმა ისარგებლეს. თუმცა, აურზაური მერეც გაგრძელდა.

კარგად აღებული სტარტის შემდეგ უკან დახევა მოუწია ავსტრალიური გრან-პრის ტრიუმფატორს დევიდ კულჰარდს. უფრო სწორად, სამი წრის შემდეგ კულჰარდის McLaren-Mercedes-ი დამუნჯდა და ასპარეზობასაც გამოეთიშა. კულჰარდისგან ესტაფეტა მისმა ფინელმა თანაგუნდელმა კიმი რაიკონენმა ჩაიბარა. აქვე უნდა ითქვას, რომ კულჰარდის ტრასიდან გასვლის შემდეგ პაექრობა, ძირითადად, წარიმართა რაიკონენს, Renault-ს ესპანელ პილოტს, ფერნანდო ალონსოსა და რუბენს ბარიკელოს შორის. ალონსომ, რომელმაც ჯერ კიდევ წინა დღის კვალიფიკაციის მოგებით მიიპყრო ყველას ყურადღება, გუშინაც გამოიჩინა თავი. სტარტიდანვე დაწინაურებულს, ლიდერობა ხელიდან არც გაუშვია, მაგრამ მას შემდეგ, რაც პიტ-სტოპზე შევიდა, ტრასაზე დაბრუნებულს, საქმის თავიდან დაწყება მოუხდა. რაც შეეხება Ferrari-ს პილოტებს: შუმახერისგან განსხვავებით, რომელიც ადგილებს შორის მომთაბარეობდა და საბოლოოდ მეექვსე ადგილი დაიკავა, რუბენს ბარიკელო ბევრად მშვიდად და თავდაჯერებულად გამოიყურებოდა. მან მეორემ გადაკვეთა ფინიშის ხაზი. აი, რაიკონენმა კი, ავსტრალიურ მარცხზე რევანში აიღო. ფინელმა პილოტმა მალაიზიური გრან-პრის და, საერთოდ, ფორმულა 1-ის პირველი გამარჯვება იზეიმა. თუმცა, რაიკონენის ჩემპიონობაზე მეტად სენსაციის ავტორი უფრო ფერნანდო ალონსოა. მანაც, ისევე როგორც ფინელმა პილოტმა, ამასთან, გრიპიანმა და სიცხიანმა, კარიერაში პირველად მოიპოვა კვარცხლბეკის საფეხურზე შედგომის პატივი.

**პირადი ჩათვლა**

1. კიმი რაიკონენი (ფინეთი) McLaren 10
2. რუბენს ბარიკელო (იტალია) Ferrari 8
3. ფერნანდო ალონსო (ესპანეთი) Renault 6
4. რალფ შუმახერი (გერმანია) Williams 5
5. იარნო ტრული (იტალია) Renault 4
6. მიხაელ შუმახერი (გერმანია) Ferrari 3
7. ჯეისონ ბატონი (დიდი ბრიტანეთი) BAR 2
8. ნიკ ჰაიდფელდი (გერმანია) Sauber 1

*ჩოგბურთი*

# ADIDAS-ს კურნიკოვას წარუმატებლობა მობეზრდა

"დღევანდელ კურნიკოვას გვირჩევნია კურნიკოვა, რომელიც უიმბლდონს მოიგებს"

*გულშემატკივრებსა და ფოტორეპორტიორებს შორის ის დღემდე არნახულ ინტერესს იწვევს. ასეა 1995 წლის შემდეგ. სწორედ მაშინ გახდა ანა კურნიკოვა პროფესიონალი ჩოგბურთელი. თუმცა, თავისი ქონების უდიდესი ნაწილი მან ჩოგბურთის თამაშით კი არა, კორტებს მიღმა პოზირებით დააგროვა.*



ანა კურნიკოვა

სარეკლამო რგოლებსა და სპონსორებთან კონტრაქტებს მისთვის არნახული შემოსავალი მოაქვთ, მაშინ, როცა თავისი 7-წლიანი სპორტული კარიერის განმავლობაში კურნიკოვას არც ერთი ტურნირი არ მოუგია. არადა, უკვე 100-ზე მეტ შეჯიბრებაში მიიღო მონაწილეობა. ტრადიცია არც უკანასკნელ, მაიამის ტურნირზე დაირღვა: ხანგრძლივი პაუზის შემდეგ კურნიკოვა ჩოგბურთს დაუბრუნდა და მაიამიში, პირველივე წრეში, დინარა საფინასთან დამარცხდა.

კითხვა, რომელიც სულ უფრო ხშირად გაისმის, სრულიად ლოგიკურია: იმსახურებს კი კურნიკოვა თავისი სპორტული შედეგებით იმ ჰონორარებს, რომელსაც მას უხდიან? "სპორტსმენისთვის საკმარისი არ არის, რომ მხოლოდ გარეგნობით გამოირჩეოდეს. სპორტული წარმატებები აუცილებელია", - აცხადებს კურნიკოვას მთავარი სპონსორის, adidas-ის პრესმდივანი ოლივერ ბრიუგენი.

მიუხედავად იმისა, რომ რუსმა ჩოგბურთელმა დღემდე ვერანაირი სპორტული შედეგით ვერ გამოიჩინა თავი, adidas-ი კვლავინდებურად განაგრძობს მასთან თანამშრომლობას. ბრიუგენის აზრით, კურნიკოვა მსოფლიოში საუკეთესო სარეკლამო სახე იქნება, თუ ის ჩოგბურთელთა რეიტინგში ზევით აიწევს.

მაგრამ უახლოეს ხანებში კურნიკოვას აღზევება მეტისმეტად ძნელი წარმოსადგენია. მაიამიში განცდილ მარცხს წინ უძღოდა ავსტრალიის ღია ტურნირი. თავისი პირველი დუელი, ჩეხი ჰენრიეტა ნაგიოვას წინააღმდეგ, კურნიკოვამ დამაჯერებლად მოიგო, თუმცა, მომდევნო შეხვედრაში ის, პრაქტიკულად, მიწასთან გაასწორეს – ბელგიელმა იუსტინ ჰენინ-ჰარდენმა მას თითქმის მშრალი ანგარიშით მოუგო (6:0, 6:1). სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია: ავსტრალიის ღია ტურნირის მეორე წრეში გაღწევა კურნიკოვას საუკეთესო შედეგია უკანასკნელი ორი წლის მანძილზე. და ეს ყველაფერი ხდება იმ ჩოგბურთელის თავს, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს, მსოფლიო რეიტინგის ზედა ათეულში მოხვდეს...

ჩოგბურთის სამყაროს ერთ-ერთი უდიდესი მწვრთნელი, ნიკ ბოლეტიერი, თავისი ყოფილი შეგირდის წარუმატებლობით შოკირებულია. ბოლეტიერი ყოველთვის მიიჩნევდა, რომ კურნიკოვა ტალანტია და ის ჩოგბურთს სჭირდება, თუმცა, ამასაც ამბობს: "ანას უდიდესი ნაკლი ის არის, რომ მან არ იცის, რა უნდა".

მელბურნში განცდილი მარცხის შემდეგ კურნიკოვამ ოთხი ტურნირი გამოტოვა. ტოკიოს, პარიზის, მემფისისა და ინდიანა უოლსის ტურნირების ორგანიზატორებს მან მონაწილეობაზე უარი განუცხადა, მიზეზად კი ზურგის ტრავმა დაასახელა.

სპონსორები იმედს არ კარგავენ, რომ მალე დადგება დღე, როდესაც ანა გამარჯვებას დაიწყებს. მიუხედავად იმისა, რომ მისი წარუმატებლობით adidas-ი დიდ თანხებს ზოგავს, კომპანიას მაინც ურჩევნია, ანამ შედეგებს მიაღწიოს. "ისევე, როგორც ყველა ჩვენს ათლეტთან, კურნიკოვასთანაც შედეგებზე დამოკიდებული ხელშეკრულება გვაკავშირებს. გამარჯვების შემთხვევაში, ჩვენ მას პრემია უნდა გადავუხადოთ", - ამბობს ბრიუგენი. მიუხედავად იმისა, რომ adidas-ი კურნიკოვას, კვლავინდებურად, კარგ პარტნიორად მიიჩნევს, ბრიუგენი აღნიშნავს, რომ მასზე კარგი სარეკლამო სახეც არსებობს – "კურნიკოვა, რომელიც უიმბლდონის ტურნირს მოიგებს"...

*მოკლედ*

**ჩოგბურთი.** ამერიკელმა მონიკა სელეშმა უარი განაცხადა მაიამის პრესტიჟულ ტურნირში მონაწილეობაზე. მას ისევ მარცხენა ფეხი აწუხებს. შეგახსენებთ, რომ წინა კვირაშიც ტრავმამ აიძულა სელეში, უარი ეთქვა ინდიანა-უელსის ტურნირზე. მის ნაცვლად ტურნირის მე-10 ნომერი ავსტრალიელ ევი დომინიკოვიჩს ერგო.

■ ■ ■

**კრივი.** IBF-ისა და WBA-ის ვერსიით, პირველ ქვემძიმე წონაში მსოფლიო ჩემპიონმა, გერმანელმა სვენ ოტკემ გადაწყვიტა, წლის ბოლოს სპორტული კარიერა დაასრულოს. 35 წლის მოკრივის გეგმებში, სულ ცოტა, კიდევ სამი ბრძოლა შედის. ამის შემდეგ ოტკე ტელეკომპანია ARD-სთან ითანამშრომლებს, ან კომპანია Mercedes-ში სპორტული მარკეტინგით შეიქცევს თავს.

■ ■ ■

**სპორტული თამაშები.** ერაყში მიმდინარე საომარმა მოქმედებებმა პაკისტანის ხელისუფლებას ხელი აალებინა განზრახვაზე, უმასპინძლოს მე-9 სამხრეთაზიულ სპორტულ თამაშებს. პაკისტანის დედაქალაქს, ისლამაბადს, 29 მარტიდან 7 აპრილამდე კრიკეტის, ბალახის ჰოკეისა და სხვა, რეგიონისთვის დამახასიათებელი თუ პოპულარული საერთაშორისო ასპარეზობებისთვის უნდა ემასპინძლა. ახლა კი მათ ამის არც ხალისი აქვთ და არც შესაძლებლობა. ასეთივე მდგომარეობაში არიან სპორტული თამაშების მონაწილე ქვეყნებიც, რომლებიც შინ დარჩენას ამჯობინებენ.

■ ■ ■

**ტრამპლინიდან ხტომა.** გუშინ ფინელმა მატი ჰაუტემიაკიმ სლოვენიის პლანიცეში მიმდინარე მსოფლიო თასის დასკვნით ეტაპზე მის მიერვე ორი დღით ადრე დამყარებული მსოფლიო რეკორდი გააუმჯობესა. 21 წლის სპორტსმენმა 231 მეტრი იფრინა.

შეჯიბრება პლანიცეში 185-მეტრიან ტრამპლინზე მიმდინარეობს. ორი დღით ადრე, ოფიციალურ ვარჯიშზე, ის 227,5 მეტრზე გაფრინდა, რაც მსოფლიო რეკორდი იყო.

■ ■ ■

**ბიატლონი.** მსოფლიო ჩემპიონატი რუსი ბიატლოსტების ტრიუმფით დასრულდა. მათთვის წარუმატებლად დაწყებულმა ტურნირმა ცოტა ხანში სახე იცვალა - რუსებმაც ჯერ ესტაფეტა მოიგეს, გუშინ კი ალბინა ახატოვამ და სვეტლანა იშმურატოვამ სლავებს კიდევ ორი მედალი მოუტანეს.

■ ■ ■

**ფრენბურთი.** მილანში გაიმართა ჩემპიონთა ლიგის პირველი ნახევარფინალური მატჩი რუსეთის "ლოკომოტივ-ბელოგორიესა" და საფრანგეთის ჩემპიონ "პარი ვოლეის" შორის. გამარჯვებული გაირკვა მეხუთე პარტიაში, რომელიც რუსთა გამარჯვებით დასრულდა. ფინალში ისინი იტალიურ "კერაკოლსა" და პოლონურ "მოსტოსტალს" შორის გამარჯვებულს შეხვდებიან.

■ ■ ■

**ფორმულა 1.** მალაიზიის გრან-პრის დასრულების შემდეგ ფორმულა 1-ის დებიუტანტი ჯასტინ უილსონი საავადმყოფოში წაიყვანეს. "როიტერის" ინფორმაციით, რბოლისას პილოტს მარცხენა ხელი და მხარი წაერთვა. "მხარს და ხელს საერთოდ ვერ ვგრძნობდი. ეს საშინელება იყო", - განაცხადა პილოტმა. როგორც გაირკვა, ტრავმის მიზეზი კისრის დამცავი საშუალება ყოფილა, რომელიც, გინდა თუ არა, ნერვს აწვება. სწორედ ნერვზე დაწოლის შედეგად წაერთვა პილოტს მხარი და ხელი. პირველი ეტაპის შემდეგ ამ დამცავი საშუალების გარეშე რბოლა ითხოვა რუბენს ბარიკელომ. ბრაზილიელმა პილოტმა თავისი სურვილი იმით დაასაბუთა, რომ დისკომფორტს განიცდის, რაც, შესაძლოა, ავარიის მიზეზი გახდეს.

*რაგბი*

# პორტუგალია შეუჩერებელია

ქართველები წლეულს ერთა თასის გარეშე დარჩნენ

პაატა თოთაძე

*ევროპის ერთა თასის მეოთხე ტურის მატჩში პორტუგალიამ საკუთარ მოედანზე დაამარცხა ესპანეთის ეროვნული გუნდი და ქართველებს თასის მოპოვების შანსი მოუსპო.*



ესპანელებმა ვერც ქართველებს დააკლეს რამე და ვერც პორტუგალიელებს

რუმინეთში რუსთა მარცხის შემდეგ ბორჯღალოსნებს თასის მოპოვების შანსი ესპანელთა გამარჯვების შემთხვევაში ჰქონდათ. სტუმრები ტაიმნახევარი უძალიანდებოდნენ მასპინძელ პორტუგალიელებს, ბოლოს კი გატყდნენ. დასკვნით 15 წუთში მასპინძლებმა 16 ქულის მოპოვება შეძლეს და 32:16 გაიმარჯვეს.

ერთა თასის მატჩების პარალელურად ექვსი ერის პირველობაზე სამი შეხვედრა გაიმართა. ინგლისი და საფრანგეთი თავიანთ შეხვედრებს რომ მოიგებდნენ ეჭვს არ იწვევდა. ინგლისი აუტსაიდერ შოტლანდიას მასპინძლობდა და იოლად - 40:9 დაამარცხა, ფრანგებმა კი სტუმრად აჯობეს იტალიელებს - 53:27. ფრანგთა შემადგენლობაში თავი დიმიტრი იაშვილმა გამოიჩინა. თანაგუნდელთა მიერ გატანილი ექვსივე ლელო ზუსტად გარდასახა და ორი საჯარიმოც მიაყოლა. საერთო ჯამში მის ანგარიშზე 18 ქულაა. წინა ტურების შედეგებიდან გამომდინარე არც ირლანდიას უნდა გასჭირვებოდა აუტსაიდერ უელსის დამარცხება, სხვაგვარად კი მოხდა. ყველასთვის მოულოდნელად ირლანდიამ გამარჯვებას რონან ოგარას მიერ ბოლო წუთზე გატანილი არეკნით მიაღწია – 24:25. ტურნირის გამარჯვებულის ვინაობა მომავალ კვირას ირლანდიისა და ინგლისის ნაკრებების მატჩში გადაწყდება. რაგბის გულშემატკივართა უმეტესობა უპირატესობას ირლანდიელებს ანიჭებს, რადგან საკუთარ "ლენსდაუნ როუდზე" კელტები თითქმის არასდროს მარცხდებიან, თანაც ეს მატჩი ამ სტადიონისთვის უკანასკნელი იქნება – მას "უემბლივით" დანგრევას უპირებენ, თუმცა ჯერაც არაა გადაწყვეტილი ახალი სტადიონი ძველის ადგილას აიგება, თუ სხვაგან.

ისევ ერთა თასს და საქართველოს ნაკრებს დავუბრუნდეთ. მართალია ერთა თასი არც ამჯერად გვერგო, მაგრამ სულ მთლად უთასოდაც არ უნდა დავასრულოთ ტურნირი. ქართველები და რუმინელები ურთიერთშეხვედრაში, გარდა იმისა, რომ ერთა თასზე მეორეადგილოსნის ვინაობას გაარკვევენ, ერთმანეთს ანთიმოზ ივერიელის თასსაც შეეცილებიან. შარშან რუმინელებმა თასი ბუქარესტში წაიღეს, ეგებ წლეულს დავიბრუნოთ და ტურნირი ხელცარიელმა არ დავასრულოთ.

САТУРНИРО

**სატურნირო მდგომარეობა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 4 | 4 | 0 | 0 | 128:71 | 12 |
| საქართველო | 4 | 3 | 0 | 1 | 117:69 | 10 |
| რუმინეთი | 3 | 2 | 0 | 1 | 69:34 | 7 |
| რუსეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 81:65 | 5 |
| ესპანეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 44:152 | 4 |
| ჩეხეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 25:73 | 2 |

*ისტორიული ფოტო*

# ეს იყო 24 წლის წინათ...



1979 წლის 1 აგვისტო, მილანი, იტალია.
"მილანის" ახალგაზრდა მცველი
ფრანკო ბარეზი.

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45 ამ მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე $9^{00}$-დან $20^{00}$-მდე.
"ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)

**თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის**

**ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

## ა ც ხ ა დ ე ბ ს

**სტუდენტთა მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის.**

ფაკულტეტზე მომავალი სტუდენტების მიღების პროცესი დასრულდება 2003 წლის 10 ივნისს.
ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა სია გამოქვეყნდება არა უგვიანეს ა.წ. 15 ივნისისა.
საბუთების მიღება 2003-2004 სასწავლო წლისათვის დამთავრდება ა.წ. 15 მაისს.

მიღების წესები იხილეთ www. dphss.org ან მიაკითხეთ ინფორმაციისათვის ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამდივნოს.
**მისამართი:** თბილისი, ჭავჭავაძის 45, II სართული. ტელ. 223742

**ბალანსის**
შედგენა, აუდიტი-დასკვნა, დეკლარაციების შევსება.
**ფირმების რეგისტრაცია**
შ.პ.ს; კავშირი (არასამთავრობო), სადამფუძნებლო დოკუმენტაციის მომზადება, აუდიტორული დასკვნის გაცემა საწესდებო კაპიტალზე.
1 საათში. მოგემსახურებით ადგილზე
მის: კოსტავას 76. (სააკაძის მოედანთან). ტ: 33 73 54; 899-57 73 15; 877-71 18 22

## ბინები

### იყიდება

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით, რემონტით, მე-5 სართ. ფასი 18 000. ტელ: 899 901729

**იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 - 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.**

იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ., N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

საშუამავლო ფირმა „კახი-98" დაგეხმარებათ ბინების ყიდვა-გაყიდვა-გაქირავებაში. აღმაშენებლის 72/2. 23 70 91, 96 66 24, 8(77) 71 05 90

საშუამავლო ფირმა „კახი-98" დაგეხმარებათ თანხის სესხება-გასესხებაში ბინის მყარი გარანტიით. აღმაშენებლის 72/2. 23 70 91, 96 66 24, 8(77) 71 05 90

## მიწის ნაკვეთი

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## კომერც. ფართი

ვიქირავებ რესტორანს დიღმის გზაზე. ტელ: 95 21 46 (10-სთ-დან 17 სთ-მდე). იკითხეთ ირაკლი ან ნუგზარი

## ბინები

### ქირა, ბირაო

ქირავდება!
სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.
ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097

ვიქირავებ 2 ან 3-ოთახიან გარემონტებულ ბინას ვერაზე ან ვაკეში. 23 58 07

## მანქანები

### იყიდება !

ა/მ AUDI 90 Coupe GT. 1988 სპორტული, ოქროსფერი, ძრავი 2,3 ხუთცილინდრიანი, ტყავის სალონი, გიდრავლიკა, ლუქი. კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 1500$
ტელ: 899 16 28 68

## სწავლება

ვამზადებ აბიტურიენტებს ბიოლოგია-გეოგრაფიაში ინდივიდუალურად სახელმწიფო და სამედიცინო უნივერსიტეტის პროგრამებით. ასევე სტუდენტებს და მოსწავლეებსაც. ტელ: 93-88-22 (საკუთარი) 98-59-60 (მეზობელი), მეტრო "რუსთაველთან".

შევასწავლი გერმანულ ენას. 32-03-71, 899 298805.

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12, 893 219442.

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. ტელ: 44 43 საღამოს, 61 29 76

**იყიდება Sony Playstation, ორიგინალი (შეძენილია გერმანიაში). 2 ჯოისტიკით, 2 Memory Card-ით და 30 სათამაშო დისკით. შესანიშნავ მდგომარეობაში. ფასი 150 დოლარი. ტელ: 877-400410**

**იყიდება კომპიუტერი Pentium I. ფასი 120$**
**ტელ: 30-56-90 ზურა.**

**ვამზადებ სტუდენტებსა და ექიმებს სასერტიფიკაციო გამოცდისთვის სპეციალობებში (ექიმი თერაპევტი, ზოგადი პროფილის ექიმი-მკურნალი). tel: 64-63-40, 893 282-559**

## სხვადასხვა

იყიდება ჯეოსელის სიმ-ბარათი, ხელშეკრულებით. ფასი 7 ლარი. 8(24) 17 41 04

გვესაჭიროება თანამშრომლები დაცვის სამსახურში. 8(77) 79 06 61 გიორგი

სილამაზის სალონი "ცია" გთავაზობთ მაღალკვალიფიციურ მომსახურებას, (სტილისტები, კოსმეტოლოგი, პედიკური, მანიკური) დ. აღმაშენებლის 146, ტელ: 95-66-82

თქვენი კიბეების დიზაინი და მისი მოწყობა. ტელ: 22 06 22




**კომპანია "InterCor .comServis" გთავაზოგთ შემდეგი სახის კომპიუტერულ მომსახურებას:**
ინსტალაცია/მოწყობილობების გაუქმება, კომპიუტერის კონფიგურაცია კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, სისტემის ოპტიმიზაცია, ინტერნეტში ჩართვა, ადგილობრივი ქსელების დაყენება და მომსახურება, მათი მუშაობის უზრუნველყოფა, ინდივიდუალური პროგრამების შედგენა. ყველა სამუშაო ჩატარდება ადგილზე, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაშიც.
**ტელ: 92 17 74, 98 22 87, 92 02 49**







## აფიშა

### საკონცერტო დარბაზები

**ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი**
"იუმორინა - 2003"
დას: 19:00 სთ; ფასი 5-9 ლარი

### თეატრები

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო„**
"დედა დედოფალი", რეჟ. თენგიზ კოშკაძე; მთავარ როლებში: სოფიკო ჭიაურელი და მურმან ჯინორია

### საგამოფენო დარბაზები

**ეროვნული გალერეა**
თემო გოცაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
**ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა ნახატების გამოფენა**
გალერეის ოქროს ფონდის გამოფენა
**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**
ხალხური რეწვა

### კინოთეატრები

**„ამირანი„**
"სიყვარულის ისტორია"
დას: 18:00 სთ; ფასი 7,8 ლარი
"ზარი"
დას: 15:30 სთ; ფასი 5,6 ლარი
"სიყვარულის შეტყობინებით"
დას: 13:00; 20:00; 22:00 სთ; ფასი 7,8 ლარი

**„რუსთაველი„**
"განძთა კუნძული"
დას: 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"მოახლე მანჰეტენიდან"
დას: 19:00 სთ; ფასი 5 ლარი
"თანამშრომლები"
დას: 21:30; ფასი 7 ლარი

**„ელისო„**
"განძთა პლანეტა"
დას: 15:00; 17:00 სთ; ფასი 5 ლარი
"თანამშრომლები"
დას: 19:00 ფასი 5 ლარი
"მოახლე მანჰეტენიდან"
დას: 21:00 სთ; ფასი 5 ლარი

**კინოს სახლი**
ჰერბერტ ახტერნბუშის ფილმების რეტროსპექტივა
"ოლიმპიური ჩემპიონი"
დას: 18:30 სთ; დასწრება თავისუფალია

## TV პროგრამა 24 მარტი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
10.40 სერიალი „ალფი"
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.15 სერიალი „დათვების ქალაქის ზღაპრები"
18.40 დოკ. ფილმი „კანონის უზენაესობა"
19.00 სერიალი „კუსტოს წყალქვეშა ოდისეა"
19.55 სერიალი „დატყვევებული გულები"
22.00 ხალხის პირისპირ
22.50 ღამის კურიერი
00.20 მხ. ფილმი „მისი ოცნების ქალი" მთ. რ-ში: ჯეიმ სპეიდერი.
02.00 კლასიკა

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „ჯაშუშები"
10.10 მხ. ფილმი „სახალხო რომანი"
12.00, 15.00, 20.00 „მოამბე"
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
13.00 ნაშუადღევს
14.00 ოქროს მართვე
14.30 დოკ. სერიალი „ეგვიპტოლოგიის პიონერები"
15.15 მხ. ფილმი „ჰომერი და ედი"
16.50 დოკ. სერიალი „ყველანი ორბიტაზე"
17.00 ტელესერიალი „ძილის წინ"
17.15 „რამპა"
17.20 50-50
18.00 „ვესტნიკი"
18.20 დოკ. სერიალი „ხელოვნების სცენარები"
18.30 ბასიტი-ბუბუ
18.50 „მრავალჟამიერ"
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
20.55 მუს.პაუზა
21.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
21.50 დოკ. სერიალი „ყველაზე, ყველაზე საკვირველი"
22.35 ტელესერიალი „ძილის წინ"
23.00 „რა ხდება?"
23.55 მხ. ფილმი „შეიძლება"

### პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 განმეორებით ქართული მუსათეული
11.45 ფილმი
14.00 ფილმი
16.00 ფილმი „ვარსკვლავთომები 1"
19.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.30 ვიდეორადიო
20.50 ათი ლექსი
21.15 უცხოური მუსათეული
22.35 პაპარაცი
23.00 აბა გამოიცანი კადრი
00.00 ფილმი ბრავო „ვარსკვლავთომები 2" მთ.როლში ნატალი პორტმანი
01.40 ფილმი ღამურა „კოსმოსური კოვბოები"
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „ოჯახური ურთიერთობები"
20.30 მოგზაურობა სასიტყვეთში
21.00 ჯანმრთელობა
21.30 დოკ. ფილმი
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 23.30, 01.05 მუსიკა
08.30 მხ.ფ. „მოთამაშე"
10.20 მხ.ფ. „მარტოხელები"
13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. სერიალი „ექსპედიცია"
14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
20.00 მხ.ფ. „ვიქტორ ფოგელი, რეკლამების მეფე"
22.40 „ბურთი და მოედანი"
22.00 დიალოგი
23.45 მხ.ფ. „სიკვდილი ზღვაში"
01.30 ღამის ფილმი

### ევრიკა

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
12.00 „ვარსკვლავები გვამცნობენ"
13.00 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი
14.00 მხ. ფილმი „რეგთაიმი"
15.00, 21.00 ვესტი
15.30 ფილმის გაგრძელება
18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს
19.30 ექსტრაორდინარული
20.30 „გვარიშვილობა"
21.30 ტალანტები და თაყვანისმცემლები
22.30 პირველი ნაბიჯები
23.00 მუსიკალური პაუზა
23.25 ინდური მხ. ფილმი „მე შენ ძალიან მომწონხარ"

### მეცხრე არხი

09.30 მხ. ფილმი „ლიბერეისი. მუსიკის მიღმა"
11.00, 15.15, 17.50, 18.25, 21.55, 23.50 მუსიკა
11.10 მხ. ფილმი „ძმაკაცები"
12.50 დოკ. ფილმი „ფოტორობოტი" მე-5 ს.
13.40 მარიონეტების ფილმი „ყოჩაღები". „მძევალი"
13.55 „ოსტატები"-მოდელიორი
14.15 „ბელისიმო"
14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
14.45 „მსოფლიო ფეხბურთი"
15.30 მულტფილმი „წითელქუდა"
16.30 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება"
18.00 მხ. სერიალი „ჰორასი და თინა"
18.40 მულტფილმი „მხიარული მელოდიები"
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება" 141-ე სერია
20.00 გადაცემა „მსოფლიო რაგბი"
21.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი"
22.00 „ტელემეტრი"
22.15 მხ.ფილმი „რეინჯერები"
00.20 მხ. სერიალი „თოჯინების ველი"
00.45 მხ.ფ. „სიკვდილის დევნაში"

### იმედი

01.00 იმედის მელოდიები
17.56, 20.57, 00.50 ახალი ამბების დაიჯესტი
18.00 სერიალი „გოგონები ესპანეთის მოედნიდან"
19.00, 22.00 ქრონიკა
19.30 სერიალი „ბანდიტური პეტერბურგი"
20.30 8 1 2 სპორტული პროგრამა „გოლი"
21.00 სერიალი „ამაზონი"
22.45 კინონოსტალგია „იდეალური პარასკევი" (ურსულა ანდერსი)

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.15 კომედია „ტრაგიკული ფანტოცი"
11.10 დოკუმენტური ფილმი
12.10 ისტორიული ფილმი „ნაპოლეონი" 1 ს.
14.00 სათავგადასავლო ფილმი „ვინ ვარ მე"
16.10 მულტფილმი „მეფე ლომი"
17.40 კომედია „დიდი ტურნე"
19.00, 22.00, 00.00 „დღეს"
19.20, 22.30, 00.30 „ნოვოსტი"
19.40, 22.40, 00.40 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
19.50 ფილმი-კატასტროფა „აპოკალიფსის საათები"
22.55, 00.55 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.05 „ალტერნატივა" საავტორო გადაცემა 01.00 მხატვრული ფილმი „ანჟელიკა ანგელოზების მარკიზა" 03.20 დრამა „ტელევიქტორინა"

### VII არხი

09.25 „აჩიკუდა"
09.45 აუდიო-ვიდეო-ტელე
10.25 სპორტი
10.30 საყოფაცხოვრებო ტექნიკა მელოდია
11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
12.00 „ობიექტივი"-სტუმარი (განმეორებით)
12.50 კომპიუტერული ტექნიკა
13.40 დისნეი და მისი მეგობრები
14.00 კომპიუტერული თამაშები
14.15 მობილურები
18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე
19.00 „აჩიკუდა"
19.25 ვალუტის კურსი
19.35 კომპიუტერული ტექნიკა
20.20 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი"
20.55 კომპიუტერული თამაშები
21.10 „ლა-ლა-ლა"
22.00 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
22.30 „კინოკლუბი „ - „აბსოლუტური ხელისუფლება"
00.20 მობილურები
01.10 „ბიორითმი"

### ОРТ

07.00 „Доброе утро!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости
10.15 „Парк юрского периода: Затерянный мир"
12.30, 19.30, 00.55 „Фабрика звезд-2"
13.15 Что? Где? Когда?
14.40 Смак
15.00 Путешествие натуралиста
15.30 Док. детектив „Роковой тост"
16.15 Док.сериал „Дикие штучки"
16.50 Сериал „ПАРИЖСКИЙ АНТИКВАР"
18.00 „Большая стирка"
20.00 Жди меня
21.00 „Кто хочет стать миллионером?"
22.00, 00.30 Время
22.40 „Последний герой-3"
23.45 „Тайны века". Смерть принцессы Дианы
01.10 „Новый день". „Райский сад"
01.40 „Новый день". Теория невероятности.

### РТР

06.45 Доброе утро, Россия!
09.45 Худ. фильм „МЕЖДУ АНГЕЛОМ И БЕСОМ"
11.45, 18.20, 20.50, 05.50 Вести. Дежурная часть
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 06.00 Вести
12.20 Ток-шоу „Короткое замыкание"
13.20 В „Городке"
13.30 Вести недели
14.30 Вести-Москва
15.20 „Что хочет женщина"
16.10 Сериал „Трое против всех-2"
17.15 „Честный детектив"
18.50 Дорожный патруль
19.05, 00.30 Вести-Спорт
19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс"
21.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Сериал „Провинциалы"
23.00 Сериал „Кобра". „АНТИТЕРРОР"
00.00 „Вести +"
00.40 Худ. фильм „Тайна борта 25-16"
02.20 „Футбол России"
02.45 Худ. фильм „Шугар Хилл"
04.35 Специальный кореспондент
05.00 Комната смеха

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით*



ოსკარი 2003

# ოსკარი და პოლიტიკა, ოსკარი და ომი

თამარ ბაბუაძე

უილ სმიტი, მაიკლ მური, სტივენ დალდრი, დევიდ ჰარი, ანჯელინა ჯოლი, პიტერ ჯექსონი, ჯულიენ მური, ელვის კოსტელო, კევინ სპეისი, ნიკოლ კიდმანი, პოლ ნიუმანი, დასტინ ჰოფმანი, სიუზენ სარანდონი – ეს ის ცნობილი სახეები არიან, რომლებიც წლევანდელ "ოსკარზე" ან მისვლას არ აპირებდნენ, ანდა, კოდაკის თეატრში გამოცხადება პროტესტის გამოსახატად სურდათ. ანუ, ერაყში მიმდინარე ომის გამო, მხოლოდ ჰოლივუდში იმდენი უარყოფითი ემოცია დაგროვდა, რომ წლევანდელი "ოსკარის" ცერემონიალი აშკარად პოლიტიკური დებატებისთვის გაიწირა.

თუმცა, ეს არ გახლავთ პირველი შემთხვევა, როდესაც კინო და დიდი პოლიტიკა ერთმანეთს პირისპირ შეხვდნენ. უწინ მათ დაკავშირებაზე ისრაელის მიმართ გამოთქმული კრიტიკით ვანესა რედგრეივი ზრუნავდა. უფრო ადრე კი, "ოსკარი" და პოლიტიკა გაცილებით მშვიდ ვითარებაშიც მეგობრობდნენ. ამ ტრადიციას ფრანკლინ დელანო რუზველტმა ჩაუყარა საფუძველი. აკადემიის პრეზიდენტმა უოლტერ ვანგერმა 1941 წელს რუზველტი ცერემონიალზე პირადად მიიპატიჟა. თუმცა, აშშ-ს პრეზიდენტმა მსოფლიოში შექმნილი საომარი კლიმატი მოიმიზეზა, ლოს ანჯელესში არ ჩავიდა, მაგრამ 27 თებერვალს, "ოსკარის" მე-13 ცერემონია რადიო-ჩართვით მაინც გახსნა: სასტუმრო "ბილტმორ ჰოტელის" დარბაზში შეკრებილ მსახიობებს რუზველტმა ექვსწუთიანი სიტყვით პირდაპირ თეთრი სახლიდან მიმართა. ის მადლობას უხდიდა ჰოლივუდს იმის გამო, რომ მათ "ამერიკული ცხოვრების წესის" პროპაგანდისათვის საჭირო თანხები გამონახეს.

როგორც ჩანს, შოუში დიდი პოლიტიკოსის მონაწილეობა მსახიობებს იმდენად მოეწონათ, რომ შემდეგ წელს მიწვევა მომავალ პოლიტიკურ ვარსკვლავს, პრეზიდენტობის კანდიდატ უენდელ ვილკის გაუგზავნეს: 1942 წლის 26 თებერვალს, ამერიკის მეორე მსოფლიო ომში ჩართვამდე ბოლო "ოსკარი" გაიმართა. რადიო-მსმენელები CBS-ის ეთერში უსმენდნენ რესპუბლიკელ ვილკის და მის მადლობებს, კვლავ და კვლავ, ამერიკული ფასეულობების წინა პლანზე წამოწევის გამო. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მსახიობებს ვილკი არ გამოადგათ – ამ რესპუბლიკელმა არჩევნებში გამარჯვებას ვერ მიაღწია.



REUTERS

"ოსკარის" სამზადისში

შემდეგ მეორე მსოფლიო ომი ამერიკელებისთვისაც დაიწყო. თუმცა, "ოსკარის" ცერემონიალის გადადებაზე არავის უფიქრია. პირიქით, პოლიტიკოსებმა კინო-აკადემიის შოუ ომში წასული ამერიკელი ჯარისკაცების გასამხნევებლად გამოიყენეს. 1944 წლის 2 მარტის მე-16 "ოსკარის" რადიო-ჩანაწერი ფრონტის ხაზზე მყოფ სამხედროებს გაუგზავნეს. ასე "დამეგობრდნენ" ომი და "ოსკარი".

1953 წელს კი, კინო-აკადემიისა და პოლიტიკის ურთიერთობებში ე.წ. რეიგანის ხანა დადგა. 19 მარტს გაიმართა საიუბილეო – 25-ე ცერემონიალი, რომლითაც შოუმ ტელევიზიის ეპოქაშიც შეაბიჯა. ტელეკომპანია NBC-მ პირველმა გადასცა კინო-აკადემიის დაჯილდოების ცერემონიალი, რომელსაც ბობ ჰოუპი მასპინძლობდა, ერთ-ერთი გამომცხადებელი კი ჯერ კიდევ მსახიობი რონალდ რეიგანი გახლდათ.

...ასე ტკბილ-მწარე ურთიერთობებით მოაღწიეს 75-ე, ბრილიანტის შოუმდე ძია ოსკარმა და პოლიტიკამ. თუმცა, წინასწარვე ამბობდნენ, რომ წლევანდელ საღამოს გაცილებით უფრო მეტი სამშვიდობო გამოსვლები, მკერდზე მიბნეული საპროტესტო ბროშები, პლაკატები და დემონსტრაციები ექნებოდა, ვიდრე ბრილიანტები.

იყო კიდევ ერთი რამ, რაც 75-ე "ოსკარს" მუდმივ ფონად გასდევდა, რა თქმა უნდა, დაბომბილი ბაღდადის, საფრთხის ქვეშ დამდგარი ბიუჯეტის, გარდერობების ღრმა კუთხეში საგულდაგულოდ გადამალული ჭრელი კაბებისა და წინა პლანზე წამოწეული შავი სამოსის გარდა. ეს გახლდათ სიტყვა "მართებული":

ერაყზე განხორციელებული პირველივე დარტყმის შემდეგ უილ სმიტმა განაცხადა, რომ მისი მხრიდან ცერემონიალზე დასწრება "არ იქნებოდა მართებული". ხოლო როცა საბოლოოდ დადგინდა, რომ მსახიობების გასაპრანჭად კოდაკის თეატრთან არ დააფენდნენ წითელ ხალიჩას, სტუმრებმა "მართებულ" ჩასაცმელზე დაიწყეს ზრუნვა. მიუზიკლ "ჩიკაგოს" ქორეოგრაფი დენის ფეი თავიდან ვარდისფერი კაბის ჩაცმას აპირებდა. მაგრამ დაარტყა თუ არა ამერიკამ ერაყს, მან უფრო მართებული – შავი ფერის ჩასაცმელი გამოძებნა.

ამ მოულოდნელად მოდაში შემოსულმა სიტყვამ დიდად ავნო ბრილიანტების პრესტიჟულ გამქირავებლებსაც – De Beers-სა და ჰარი უინსტონს: ვარსკლავებმა აღარ იცოდნენ, "ოსკარის" 75-ე, ბრილიანტის იუბილესთან დაკავშირებით, მორთულიყვნენ თუ არა უძვირფასესი ბრილიანტის სამკაულებით.

ომის დაწყებასთან დაკავშირებით, მილანიდან ლოს ანეჯელსში არც დიზაინერი გაი მატოლო გადაფრინდა. თუმცა, ბევერლი ჰილსზე, სასტუმრო "ერმიტაჟში" თავისი თანაშემწეები დააბინავა და თან კინო-ვარსკვლავებისთვის უძვირფასესი კაბები გაატანა. კიდევ კარგი, მატოლომ მოიფიქრა და მსახიობებისთვის განკუთვნილი ჩასაცმელი მუქ ტონებში შეარჩია, რადგან დაიან ლეინმა და კეიტ ჰადსონმა მატოლოს სწორედ შავი ფერის კაბები მოსთხოვეს.

"მართებულობის" ამ ტენდენციას ფეხი აუწყო ფეხსაცმლის ცნობილმა იტალიელმა დიზაინერმა ჩეზარე პაჩოტიმაც – მან ჰოლივუდში ოცი წყვილი შავი ფერის ფეხსაცმელი ჩაიტანა. ბუნებრივია, მისი ქმნილებები ვარსკვლავებმა უმალ დაიტაცეს – "მართებულად" რომ ჩაეცვათ.

როგორც ხედავთ, "ოსკარი", ომი და პოლიტიკა, მართებულად თუ უმართებულოდ, მთელი ამ წლების განმავლობაში განუწყვეტლივ ურთიერთობდნენ. ისევ ისტორიას რომ მივმართოთ და მეორე მსოფლიო ომი გავიხსენოთ, რამდენიმე არანაკლებ საინტერესო დეტალს წავაწყდებით: 1944 წლამდე კინო-აკადემიის ცერემონიალს პომპეზური საცეკვაო წვეულების სახე ჰქონდა, რომელიც მდიდრულ სასტუმროებში იმართებოდა. ომის დაწყების შემდეგ კი "ოსკარი" თეატრში გადაიტანეს – მისთვის უფრო სერიოზული და პროფესიონალური იმიჯი რომ მიენიჭებინათ. ახლა მსახიობები უბრალოდ შავ სამოსს არჩევენ, ომის წლებში კი ბევრ სტუმარს და რამდენიმე გამარჯვებულს სამხედრო უნიფორმაც კი ეცვა. "ოსკარის" ისტორიკოსი, ტომ ო`ნილი იგონებს: "საორგანიზაციო კომიტეტმა ორქიდეებიც კი აკრძალა".

**P.S.** დაბოლოს, ომის ცოტა ხნით დასავიწყებლად "ოსკარის" ისტორიიდან ერთი საინტერესო დეტალი გავიხსენოთ: 1955 წელს ყველას ეგონა, რომ "ოსკარს" საუკეთესო ქალი მსახიობისთვის ჯუდი გარლანდი მოიპოვებდა. ის კი ცერემონიალზე დასწრებას ვერ ახერხებდა – ზუსტად წინა დღით ჯუდიმ იმშობიარა და ჯერ კიდევ კლინიკაში იმყოფებოდა. NBC-ის არ სურდა, გარლანდის პირველი რეაქცია ტელე-ფირზე აღუბეჭდავი დარჩენოდა. ამიტომაც, მართალია, გარლანდი ვერ მივიდა "ოსკართან", მაგრამ სამაგიეროდ "ოსკარი" ეახლა გარლანდს საავადმყოფოში: NBC-მ მის პალატასთან კამერები მოამზადა და წინასწარ ტკბებოდა იმ ფაქტით, რომ გამარჯვებული მსახიობი ქალის რეაქციას პირდაპირ ეთერში საავადმყოფოდანაც კი გადასცემდა. თუმცა, არ გაუმართლა არც გარლანდს, არც "ოსკარს" და არც NBC-ის – იმ წელს საუკეთესო მსახიობი ქალი გრეის კელი გახდა ფილმში Country Girl შექმნილი სახისთვის.

## საუკეთესო მამაკაცი მსახიობი

ედრიენ ბროდი ("პაინისტი")
ნიკოლას კეიჯი ("ადაპტაცია")
მაიკლ კეინი ("ჩუმი ამერიკელი")
დენიელ დეი ლუისი ("ნიუ იორკის ბანდები")
ჯეკ ნიკოლსონი ("შმიდტის შესახებ")

## საუკეთესო მსახიობი ქალი

სალმა ჰაიეკი ("ფრიდა")
ნიკოლ კიდმანი ("საათები")
დაიან ლეინი ("მოღალატე")
ჯულიენ მური ("ზეცისგან შორს")
რენე ზელვეგერი ("ჩიკაგო")

## საუკეთესო ფილმი

"ჩიკაგო"
"ნიუ იორკის ბანდები"
"საათები"
"ბეჭდების მბრძანებელი: ორი ციხე-სიმაგრე"
"პიანისტი"

## საუკეთესო რეჟისორი

"ჩიკაგო" – რობ მარშალი
"ნიუ იორკის ბანდები" – მარტინ სკორსეზე
"საათები" – სტივენ დალდრი
"პიანისტი" – რომან პოლანსკი
"ელაპარაკე მას" – პედრო ალმოდოვარი

## საუკეთესო სცენარი

"ზეცისგან შორს"
"ნიუ იორკის ბანდები"
"ჩემი დიდი, ბერძნული ქორწილი"
"ელაპარაკე მას"
"შენი დედაც..."

## საუკეთესო მსახიობი ქალი მეორეხარისხოვანი როლისთვის

ქეტი ბეიტსი ("შმიდტის შესახებ")
ჯულიენ მური ("საათები")
ქუინ ლატიფა ("ჩიკაგო")
მერილ სტრიპი ("ადაპტაცია")
კეტრინ ზეტა ჯონსი ("ჩიკაგო")

## საუკეთესო მსახიობი მამაკაცი მეორეხარისხოვანი როლისთვის

კრის კუპერი ("ადაპტაცია")
ედ ჰარისი ("საათები")
პოლ ნიუმენი ("დაცემის გზა")
ჯონ რილი ("ჩიკაგო")
კრისტოფერ უოკენი ("აბა, დამიჭირე")

## საუკეთესო უცხოური ფილმი

"მამა ამაროს ცოდვები" (მექსიკა)
"გმირი" (ჩინეთი)
"უწარსულო კაცი" (ფინეთი)
"არსად აფრიკაში" (გერმანია)
"ზუს და ზო" (ჰოლანდია)

## საუკეთესო მუსიკა (სიმღერა)

"ჩიკაგო" (ჯონ კანდერის მუსიკა)
"რვა მილი" (ემინემი)
"ფრიდა" (ელიოტ გონდენტალი)
"ნიუ იორკის ბანდები" (ბონო)
The Wild Thornberrys Movie (პოლ საიმონი)

## საუკეთესო ვიზუალური ეფექტები

"ბეჭდების მბრძანებელი: ოცი ციხე-სიმაგრე"
"კაცი-ობობა"
"ვარსკლავეთის ომები: კლონების თავდასხმა"

# ჩაგრული კომედიების მომავალი



დენზელ ვაშინგტონი და კარენ გატსონი



ბონო თავის მეუღლესთან ერთად



ჰალი ბერი

"ჩიკაგო" – გახლდათ სახელი, რომელიც ლოს ანჯელესის დროით საღამოს, ხოლო თბილისის დროით გამთენიას კოდაკის თეატრში ყველაზე ხშირად გაისმოდა. 20-იანი წლების მუსიკალურად გადათამაშებული დრამა, რომელიც ძველი მიუზიკლის წარმატებული რიმეიკი გახლავთ, თავიდანვე კინო-კრიტიკოსთა ფავორიტად ითვლებოდა. კინომცოდნეებს ყველა მთავარი ჯილდო – საუკეთესო ფილმის, რეჟისორის, მსახიობებისთვის – სწორედ "ჩიკაგოსთვის" ემეტებოდათ.

ეს გარემოება ოდნავ მაინც ამშვიდებდა გაზეთ "ვაშინგტონ პოსტის" მიმომხილველს სტივენ ჰანტერს, რომელიც ცერემონიალის წინა დღეს, მსოფლიოში შექმნილი საომარი განწყობის მიუხედავად, წუწუნებდა, რომ ჰოლივუდი კარგ კომედიას სათანადო პატივს არ სცემს. მისი აზრით, ამაზე მეტყველებს ისიც, რომ წლევანდელ "ოსკარზე" წარდგენილი ფილმებიდან კომედიური ჟანრისას თითქმის ვერ წააწყდებით. **"წელს ვერავინ გაიცინებს, ყოველი შემთხვევისთვის ამერიკაში მაინც. ერთადერთი, ვინც ამერიკული კინოს შემხედვარე, სიცილის გუნებაზე შეიძლება დადგეს, ზეცაში მოხვედრილი ბილ უაილდერია. დიდი რეჟისორი, ბოთლი მარტინის თანხლებით, ალბათ, გულიანად დასცინებს ჰოლივუდს** (იმის შესახებ, თუ რატომ მაინცდამაინც უაილდერი და არა რომელიმე სხვა დიდი რეჟისორი, ოდნავ ქვემოთ ვისაუბროთ)" – ასკვნიდა ჰანტერი.

და მართლაც, თუ ამ სიას გადახედავთ, თავადაც დარწმუნდებით, რომ დანარჩენი "საოსკარე" ფილმები არათუ შეიცავს კომედიურ მომენტებს, არამედ თავისი სტრესული გავლენის ქვეშ მოქცეულ მაყურებელს სიცილის სურვილს საერთოდ უკარგავს:

მაგალითად, ავიღოთ **"საათები"** (ნომინაცია – საუკეთესო ფილმის ერთ-ერთი ლიდერი). ის რამდენიმე "არაჩვეულებრივ" თემას გვთავაზობს: თვითმკვლელობას, ჰომოსექსუალიზმს, საკუთარი თავისადმი ზიზღს, ლიტერატურასა და ვირჯინია ვულფს.

**"ნიუ იორკის ბანდები"**: დაჭრას, ჩეხვას, ხოცვას, ჟლეტას, და, რა თქმა უნდა, აფეთქებას.

**"ბეჭდების მბრძანებელი: ორი ციხესიმაგრე"**: ისევ დაჭრა, ჩეხვა, ხოცვა, ჟლეტა, და აფეთქება, ოღონდ, წინა ფილმისგან განსხვავებით, მოქმედება ქვედა მანჰეტენზე კი არ ვითარდება, არამედ ძველ დროში.

**"პიანისტი"**: პოლანსკის ეს ნამუშევარიც გენოციდის, გეტოს, გაზის კამერებისა და ფაშისტების თემების წინა პლანზე წამოწევით, გამხიარულების ბოლო იმედს წყალში გვიყრის.

საინტერესოა, რას ნიშნავს ეს? იმას, რომ ამერიკული კინო-აკადემია კომედიის ჟანრს ხელოვნების ძირითად ფორმად არ აღიარებს, თუ იმას, რომ კომედიებს მხოლოდ წელს არ გაუმართლა? სტივენ ჰანტერის აზრით, ალბათ, უფრო პირველი მოსაზრებაა გამართლებული. თუ ისტორიას ერთად გადავხედავთ, ამაში თავადაც დარწმუნდებით.

2000 წლის ივნისში ამერიკული ფილმის ინსტიტუტმა ყველა დროის საუკეთესო კომედიების ნუსხა გამოაქვეყნა. პირველ ოცეულში შესული სურათებიდან საუკეთესო ფილმის კატეგორიაში მხოლოდ სამი აღმოჩნდა ძირითადი "ოსკარის" მფლობელი. ისინი გახლავთ:

მეოთხე ნომრად გასული კომედია **"ენი ჰოლი"** (ვუდი ალენის ფილმი, ალენისა და დაიან კიტონის მონაწილეობით), ფრენკ კაპრას **"ეს მოხდა ერთ ღამეს"** (მერვე პოზიცია) – ის "ოსკარით" 1934 წელს დაჯილდოვდა და მეოცე ადგილზე გასული **"ბინა"**. ანუ, საუკეთესო ასი კომედიიდან კინო-აკადემიამ "ოსკარის" ღირსად მხოლოდ რამდენიმე მათგანი ჩათვალა. კიდევ უფრო რომ დავკონკრეტდეთ: 1960-2000 წლების ინტერვალში "საუკეთესო ფილმად" ნომინირებული 200 სურათიდან, მხოლოდ 24 იყო კომედია.

თუმცა, ჯერ სად ხართ – მთავარი სკანდალი ისევ წინ გელით. მისი მთავარი მოქმედი პირი ბილი უაილდერი და კომედია-კლასიკა – Some Like it Hot (რუსული ვარიანტიდან ქართულად ნათარგმნი, როგორც "ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან") გახლავთ. უაილდერის ეს დაუვიწყარი სურათი, რომელსაც, ძველთან ერთად, თანამედროვე მაყურებელიც სიამოვნებით უყურებს და რომელიც ამერიკული ფილმის ინსტიტუტის გამოკითხვაში "ყველა დროის ყველაზე სასაცილო კომედიად" აღიარეს, ექვს ნომინაციაზე იყო წარდგენილი. მიმომხილველები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ ტონი კერტისის, ჯეკ ლემონისა და მერილინ მონროს შესანიშნავი თამაშის, უაილდერის ჭკვიანური რეჟისურისა და მისი ფანტასტიკური სცენარის, შავ-თეთრი, მაგრამ საოცრად გამომსახველი ოპერატორული ნამუშევრისა და ფილმის მხატვრული გაფორმების გამო. სწორედ ამ დამსახურებათა გამო, იმ წელს ყველა დარწმუნებული იყო, რომ უდავოდ მაღალი კლასის კომედია – **"ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან"** "ოსკარის" ცერემონიალის მთავარი მოქმედი პირი გახდებოდა. თუმცა, მოხდა ნამდვილი სასწაული – უაილდერის ფილმს ერთადერთი, ისიც მეათეხარისხოვანი "ოსკარი" არგუნეს "საუკეთესო დიზაინისთვის".

ეს გარემოება კინო-მიმომხილველის, სტივენ ჰანტერის მწვავე ირონიას დღემდე იწვევს: "აბა, რა გეგონათ, როცა კი ეს ძველი, შესანიშნავი ფილმი მახსენდება, სულ ვფიქრობ ხოლმე, ღმერთო, რა ფანტასტიკური კოსტუმების დიზაინია მასში გამოყენებული!", - დასცინის ჰანტერი კინო-აკადემიის არჩევანს.

იმ წელს "საუკეთესო ფილმი" **"ბენ ჰური"** გახდა, რომელშიც მთავარ როლს ჩარლტონ ჰესტონი ასრულებს, ხოლო თავად ფილმი ამერიკულ კინემატოგრაფში მნიშვნელოვან ნამუშევრად ითვლება (თუმცა, ფაქტია, სწორედ მის გამო დაიჩაგრა უაილდერის შესანიშნავი კომედია).

"ჯაზში მხოლოდ ქალიშვილები არიან" მარტო არ არის. აი, თავადაც ნახეთ როგორ იჩაგრებოდნენ კარგი კომედიები წლების განმავლობაში, ანუ როგორ ართმევდნენ მათ "საუკეთესო ფილმის" ტიტულს სხვა ჟანრის ფილმები:

ერთ-ერთ "ოსკარზე", **"ათასი მასხარა" "მუსიკის ჰანგებმა"** დაჩაგრა, **"დოქტორი სტრეინჯლავი"** (სტენლი კუბრიკის კომედია) – **"ჩემმა მშვენიერმა ლედიმ"** (ჰანტერის აზრით, ეს გახლავთ ყველაზე უარესი სურათი, რომელმაც "ოსკარი" საუკეთესო ფილმის კატეგორიაში მოიპოვა); "**კურსდამთავრებულს"** (დასტინ ჰოფმანის მონაწილეობით) ამჯობინეს **"ღამის სიცხეში"**, **"ქსელს"** (ფეი დანავეი) კი – **"როკი"** (სილვესტერ სტალონე), ხოლო **"ტუტსის"** (დასტინ ჰოფმანი) – **"განდი"** (რიჩარდ ატენბოროს ფილმი).

სტივენ ჰანტერი გვთავაზობს იმ მაღალი კლასის კომედიების ჩამონათვალსაც, რომლებიც "საუკეთესო ფილმზე" ნომინირებულნი არც ყოფილან: **"ახალგაზრდა ფრანკენშტაინი"** და **"პროდიუსერები"** (ორივე მელ ბრუკსის მონაწილეობით), **"ყოფნა არ ყოფნა"** და ვუდი ალენის ფილმები: **"ბანანები"**, **"სიყვარული და სიკვდილი"**, **"ყველაფერი რაც სექსის შესახებ გინდოდა, გცოდნოდა"**, **"თავიდან, სემ"** და **"მძინარე"**.

აი, ასე იჩაგრებოდა კომედია წლების განმავლობაში. სიტუაციის გამოსწორება ან ამ ჟანრისადმი დამოკიდებულების შეცვლით ანდა, ახალი ნომინაციის გამოყოფით შეიძლება – იქნებ კინო-აკადემიამ დანარჩენ ჰოლივუდურ ნაწარმზე ხშირად უკეთესი დონის კომედიები "საუკეთესო კომედიის" კატეგორიის დაწესებით მაინც დააფასოს.

დღეს
ორშაბათს, 24 მარტს




1882 წელს გერმანელმა მეცნიერმა რობერტ კოხმა განაცხადა, რომ აღმოაჩინა ტუბერკულოზის გამომწვევი ბაქტერია.

1911 წელს დანიაში გაუქმდა სიკვდილით დასჯა.

1989 წელს ალასკის სანაპიროს ნავთობ-ტანკერი "ექსონ ვალდეზი" შეეჯახა და გარემოს საშინელი დაბინძურება გამოიწვია.

1999 წელს დაიწყო ნატოს საჰაერო შეტევები სერბეთსა და კოსოვოში. ნატოს 50-წლიანი ისტორიაში ეს გახლდათ პირველი დარტყმა სუვერენულ ქვეყანაზე.

2000 წელს რომის პაპმა იოანე პავლე მეორემ წმინდა მიწაზე იქადაგა.

© GRAPHIC NEWS

# ახლა კი ქალბატონებო და ბატონებო!

## პატრიცია კაასმა ახალი ტურნე დაიწყო



გარეკანი ალბომისა "პიანო ბარი"




პატრიცია კაასი

პატრიცია კაასმა, მომღერალმა, რომელიც საფრანგეთმა და გერმანიამ დღემდე "ვერ გაიყვეს", თავისი დიდი ტურნე გერმანიის ქალაქებში "პიანო ბარის" მოტივებით დაიწყო. ტურნე ფრანკფურტის "საუკუნის დარბაზში" დაიწყო და 21 აპრილს ამავე ქალაქში, ძველი ოპერის შენობაში დასრულდება. ერთი თვის განმავლობაში მომღერალი რვა გერმანულ ქალაქს მოივლის.

"პიანო ბარის" რეპერტუარი კლასიკურ შანსონებს მოიცავს, რომლებიც კაასმა ფილმ "ახლა კი... ქალბატონებო და ბატონებოს" საუნდტრეკისთვის ინგლისურ ენაზე ჩაწერა.

დღევანდელ მუსიკალურ სამყაროში, რომელშიც ანგლო-საქსები დომინირებენ, მხოლოდ რამდენიმე ფრანგ შემსრულებელს შეუძლია მსოფლიო აღიარება დაიკვეხნოს. მათ რიცხვს პატრიცია კაასიც მიეკუთვნება, რომლის ყოველი ახალი ალბომი და ყოველი ახალი ტურნე საერთაშორისო მაშტაბის მოვლენად იქცევა ხოლმე.

პარტიცია სცენაზე პირველად რვა წლისა ამღერდა – ბაზრობებსა და საცეკვაო მოედნებზე, ბარებსა და დამწყებ შემსრულებელთა კონკურსებზე ის შესანიშნავად ასრულებდა იმ დროის პოპულარულ სიმღერებს. თერთმეტი წლის გოგონამ საარბრიუკენის პოპულარულ კლუბში, "ლიუმპენკამერში" დაიწყო გამოსვლა. აქ ის შვიდი წლის განმავლობაში ხიბლავდა მსმენელს თავისი დაბალი ხმითა და შესრულების იდუმალი მანერით, რომელიც მარლენ დიტრიხს მოგაგონებდათ. სწორედ აქ მოუსმინა მას ფრანსუა ბერნჰაიმმა და პარიზში დაპატიჟა.

"პარიზის ექსპერიმენტმა" იმდენად კარგად ჩაიარა, რომ ბერნჰაიმმა საგანგებოდ კაასისთვის სიმღერა დაწერა, და ასე დაიწყო პატრიციას ბრწყინვალე კარიერა: პლატინის ალბომები საფრანგეთში, ბელგიასა და შვეიცარიაში, ოქროს ალბომები კანადაში, კორეაში, გერმანიასა და ფინეთში, პრემია "ვიქტუარ დე ლა მიუზიკ"... 1991 და 1993 წლების მსოფლიო ტურნე ლეგენდად იქცა: 210 კონცერტი, რომლებზეც ყველა ბილეთი გაყიდული იყო.

უამრავი კონცერტის, მსოფლიო ტურნეებისა და გაყიდული 14 მილიონი დისკის შემდეგ კაასმა ერთი წლით დასვენება გადაწყვიტა. და სწორედ მაშინ დაურეკა კლოდ ლელუშმა.

საქმე ის გახლავთ, რომ კინოში პატრიციას მრავალი წლის განმავლობაში იწვევდნენ. მაგრამ ის ყოველთვის უარს ამბობდა, მისი თქმით, ნამდვილ როლს ელოდა. ერთხელ დათანხმდა მხოლოდ მარლენ დიტრიხის როლის შესრულებაზე, მაგრამ ეს პროექტი ფინანსური სირთულეების გამო ვერ განხორციელდა.

კლოდ ლელუშის ზარი საბედისწერო აღმოჩნდა. პატრიცია მას შეხვდა და მთელი დღე ერთად გაატარეს. ლელუშმა მას ფილმის სიუჟეტი უამბო და დიდხანს ელაპარაკა იმ გმირის შესახებ, რომლის სახეც მომღერალს უნდა შეექმნა. პატრიცია დათანხმდა.

ლელუშის ფილმში, რომელიც 2002 წელს კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე იყო ნაჩვენები და წელს, იანვრიდან, ევროპის კინოთეატრებშიც გადის, კაასი ვნებიან მომღერალს თამაშობს, ოსკარის ლაურეატი, ჯერემი აირონსი კი – მომხიბვლელ განგსტერს. მათი თავგადასავალი და სასიყვარულო ამბავი მაროკოში ვითარდება.

ფილმის მუსიკალური თანხლება - ალბომი "პიანო ბარი" 14 სიმღერას შეიცავს, ინგლისურ და ფრანგულ ბალადებს. პატრიცია კაასმა უკვდავი ფრანგული შანსონები, ჟაკ ბრელისა თუ შარლ აზნაურისეული მელანქოლიური მელოდიები შეასრულა. ამას მღერის ბარში, პიანინოსთან მჯდომი მომღერალი ქალი. ის ყოველდღე მღერის, მაგრამ ყველა გულგრილია, სანამ ერთხელაც, ერთ მშვენიერ დღეს...

# ვერსაჩეს მოდის მუზეუმი



მაიამიში, იმ სახლში, რომელიც ოდესღაც ცნობილ მოდელიორს, ჯანი ვერსაჩეს ეკუთვნოდა, მოდის მუზეუმის გახსნას გეგმავენ. ეს სწორედ ის ვილა გახლავთ, რომელის კიბეზეც 1997 წელს ვერსაჩე იყო მოკლული.

2000 წელს სასახლე Casa Casuarina ტელეკომუნიკაციების მაგნატმა, პიტერ ლოფტინმა, 19 მილიონ ამერიკულ დოლარად შეიძინა. თავდაპირველად ის მას კერძო რეზიდენციად იყენებდა, შემდეგ კი ხან სასტუმროს, ხან ექსკლუზიური კლუბის გახსნას აპირებდა.

ახლა კი, გარდაცვლილი მოდელიორის თაყვნისმცემელთა გულის გასახარად, გადაწყდა, რომ ვილაში ვერსაჩესა და სხვა დიდი დიზაინერების ნამუშევრები გამოიფინება და ის, როგორც მუზეუმი, დათვალიერების ყველა მსურველისთვის იქნება გახსნილი.

ერთ-ერთ ინტერვიუში ლოფტინის წარმომადგენელმა განაცხადა: "ვილა იმავე სახით შენარჩუნდება, რა სახეც ვერსაჩეს სიცოცხლის დროს ჰქონდა, რადგან ეს ნამდვილი შედევრია. ლოფტინს უნდა, რომ შენობა სხვა ადამიანებმაც ნახონ".

20%-იანი ფასდაკლება კუპონით

პირველი ელექტრონული ენციკლოპედია საქართველოს შესახებ ინგლისურ ენაზე - "Discover Georgia"

43 ვიდეო ჩვენება, 95 აუდიო ნაწარმოები, 3,000 ილუსტრაცია, 100 გვერდი შემეცნებითი ტექსტი

DIGITAL ENCYCLOPEDIA ON GEORGIA




NeoMedia

ადგილზე მიტანით

მხოლოდ 33 ლარად!

დაგვირეკეთ (920162) და შეუკვეთეთ!



# წამალი "სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

## კროსვორდი



***ჰორიზონტალურად***: 1. ძველ ქართულ სამართალში - სადავო საქმის გამრჩევი, მოსამართლე; 3. ძვ. სოფელი და ციხე მდ. ლიახვის მარჯვენა ნაპირზე (ცხინვალის რაიონში); 5. შორისდებული, გამოხატავს შეგულიანებას; დამუქრებას; გაკვირვებას; 7. ხელოვნების სახე; 9. თაფლაისძე, ქართველი ხუროთმოძღვარი (IX-X ს.); 10. ქართველი საბავშვო მწერლის, მღვიმელის სახელი; 11. საფარველი, რომელიც ლამპას უკეთდება მხედველობის დასაცავად; 13. მდინარე შვეიცარიაში; 15. სოფელი სამაჩაბლოში; 16. მდ. ურალის შენაკადი; 17. ქართული ჰიმნოგრაფიული კრებული, რომელშიც კალენდარული თანმიმდევრობითაა დალაგებული მთელი წლის ყოველდღიური საგალობლები; 19. საგანგებოდ დამუშავებული ხის (უმთავრესად წიფლის) სოკო. უძველესი დროიდანვე იყენებდნენ ცეცხლის დასანთებად; 21. სოფელი აჭარაში, ქობულეთის რაიონში; 22. იგივეა, რაც ჩრდილი; 23. მოლდავური და რუმინული მრავალყელიანი ფლეიტა; 24. სოფელი მარტვილის რაიონში; 26. ესპანეთისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მოღვაწე; 29. სოფელი ონის რაიონში; 30. რუსი ადმირალი; 31. ქალაქი ნიგერიაში, ოიოს შტატში;

***ვერტიკალურად:*** 1. (კუთხ) მოლი, ახალი ბალახი ეზოში; 2. საბრძოლო ან ოპერატიული ამოცანის გადასაწყვეტად ჯარების სიღრმეზე დანაწევრებული საბრძოლო მწყობრის შემადგენელი ნაწილი; 3. სოფელი დუშეთის რაიონში; 4. ქართველი საბჭოთა მწერლის, მოსაშვილის სახელი; 5. ძველბერძნულ მითოლოგიაში: სახელი ლამაზი ჭაბუკისა, აფროდიტეს სატრფოსი; 6. შეძახილი ვირის გასარეკად; 8. კაპასი, ანჩხლი; 9. ამბროლაურის რაიონის ორი სოფლის ძველი სახელწოდება; 10. დამარილებული თევზის, ხორცისა და სხვა საკვები პროდუქტების კვამლით დამუშავება მათი შენახვის დროის გასახანგრძლივებლად, აგრეთვე სასიამოვნო გემოსა და არომატის მისაცემად; 11. ახირება; 12. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს ქართველი ტომების სახელწოდება ანტიკური და ბიზანტიური წყაროების მიხედვით; 14. სოფელი ჭიათურის რაიონში; 17. ქართველი საბჭ. მსახიობი; 18. ქალაქი აშშ-ში, პენსილვანიის შტატში; 19. იგივეა, რაც ავშარა; 20. სოფელი ჩოხატაურის რაიონში; 24. ნასოფლარი ახალციხის რნში, ახალციხიდან 2 კმ.; 25. შეძახილი ცხენის გასარეკად; 27. ნიკო ლომოურის მოთხრობა; 28. სოფელი დუშეთის რაიონში;